პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ.-ფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 21 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 42 (2388)

## დ ღ ი უ რ ი

- ბრძოლა ტომებს შორის ავღანისტანში.—დანგრეულია ჯელალაბადი.
- საფრანგეთ-ესპანეთის ურთიერთობის გამწვავება.
- საფრანგეთის მემარჯვენე პრესა მხარს უჭერს პოლონეთის პოლიტიკას ზემო-სილეზიაში.
- დასრულდა ავსტრიის კომპარტიის ყრილობა.
- მეორე ინტერნაციონალის მოლაპარაკება იტალიის ფაშისტურ ორგანიზაციებთან.
- ამხ. ანდრე მარტის სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმზე უარიებენ გადაყვანას.
- ამხ. დობროჯეანუ მეოცდაოთხე დღეა შიმშილობს.
- დიდი გრიგალი შავ ზღვაზე.

ხუთშაბათს, ა/წ. თებერვლის 28-ს, დილის 10 საათზე

ქ. თბილისში, სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება

### საქ. ცაკის მე-5 სესია

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ
2) ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ სესიიდან სესიამდე მიღებულ საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცება
3) საორგანიზაციო საკითხები
4) მიმდინარე საკითხები

ს. ს. ცაკ-ის მდივანი—ვარძიელი

# ბრიტანეთის იმპერიალიზმის კრიზისი

რაღაც უცნაური საქმე ემართება ბრიტანეთის იმპერიალიზმის უძველესსა და უაღრესად მოქნილ დიპლომატიას. გუშინ მისი უდიდებულესობის ელჩი ვაშინგტონში ერთს აცხადებს, დღეს კი მეფის საგარეო საქმეთა მინისტრი სულ საწინააღმდეგო რამეს ამტკიცებს და გაურკვეველია, თუ როგორია, ბოლოს და ბოლოს, მთავრობის პოლიტიკა საერთოდ. თითქოს სიმტკიცემ და საკუთარი ძალის რწმენამ უმტყუნა იმათ, ვინც მართავს „ზღვების მბრძანებელი" ბრიტანეთის სახელმწიფო გემის საჭეს.

მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ინგლისის ელჩი გოვარდი წინადადებას აძლევს ვაშინგტონის მთავრობას გამართოს მოლაპარაკება შეიარაღების შემცირების შესახებ, ეხლა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს, რომ იმ საკითხებს, რომლებსაც გოვარდი შეეხო, ჯერ-ჯერობით კაბინეტი მხოლოდ „გულდასმით იხილავს". უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კაბინეტი სრულებითაც არ იჩქარის მოლაპარაკების დაწყებას. ეს ნახტომები — შემთხვევითი არაა.

ინგლისის ელჩი ვაშინგტონში, რა თქმა უნდა, თავისი პირადი პასუხისმგებლობითა და რისკით არ მოქმედებდა. მან, როგორც ჩანს, მიიღო მეტად ბუნდოვანი ინსტრუქციები, რომლებსაც მან მისცა განსაზღვრული განმარტება, რაც არ ეთანხმება მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს. ამას გადაკვრით აღნიშნავს „დეილი ქრონიკლ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობის საზღვაო პოლიტიკამ „უკანასკნელ დროს ისეთი ცვლილებები განიცადა, რაც გოვარდისათვის არ შეუტყობინებიათო".

მეორე ლიბერალურმა ორგანომ „ნეიშენ"-მა ამას წინად მოათავსა ცნობა, რომ „კაბინეტში სწარმოებს ბრძოლა იმ წინადადების ირგვლივ, რომელიც მოითხოვს მიმდინარე პროგრამით გათვალისწინებული ორი კრეისერის აგებაზე ხელის აღებას — ეს წინადადება შეიძლება განხილულ იქნას ან როგორც ჟესტი, ან როგორც ფინანსიური აუცილებლობაო". ამასთან დაკავშირებით „ნეიშენ"-მა გაბრაზებით აღნიშნა, რომ საჭიროა არა ჟესტები და ფინანსიური მანევრები, არამედ პოლიტიკაო.

მაგრამ მომენტის განსაკუთრებულ თავისებურობას სწორედ ის წარმოადგენს, რომ ინგლისის იმპერიალიზმს უკვე აღარ შეუძლია ჰქონდეს მტკიცე და გარკვეული პოლიტიკა, რომ ერთი მისი მიმდინარეობა, რომელსაც მთავრობაში ჩერჩილი და საადმირალოს პირველი ლორდი ბრიჯმენი მეთაურობენ, მოქმედებს, ასე ვთქვათ, ისტორიული ინერციით, სცდილობს იაროს პირდაპირი ხაზით, ისინი წინააღმდეგი არიან ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ დათმობაზე წასვლის, წინააღმდეგი არიან შეიარაღების რაიმე შემცირების, წინააღმდეგი არიან ეგრედ წოდებული „საერთაშორისო სამართლის" გადასინჯვისა ბლოკადის საკითხებში. ისინი აგრეთვე ენერგიულად ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ შერბილებულ იქნას ეხლანდელი შეურიგებელი აგრესიული კურსი საბჭოთა კავშირის მიმართ. მათ არ სურთ „აღიარონ" იმპერიის ისტორიული ბედიღბლის ცვალებადობა და მოქმედებენ ძველი მეთოდებით ახალ პირობებში. ბრიტანეთი უნდა დარჩეს მსოფლიო ფაბრიკად, ბრიტანეთი უნდა ბატონობდეს ზღვაზე და ხმელეთზე — ასეთია მათი ლოზუნგი.

მაგრამ ასეთი აზარტული პოლიტიკა ერთგვარ შიშსა და ნერვიულობას იწვევს იმპერიალიზმის მეორე ბანაკში, ზომიერ კონსერვატორებსა, ლიბერალებსა და ლაბორისტებს (მუშათა პარტიის) შორის. მათ აშინებს ისეთ მძლავრ მეტოქესთან შეტაკების შესაძლებლობა, როგორიცაა ამერიკული იმპერიალისტური გიგანტი.

ლიბერალების ლიდერმა ლლოიდ ჯორჯმა, მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, გააძლიერა იერიშების მიტანა ბოლდუინისა და ჩერჩილის მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე. ამას წინად ის გამოვიდა ოქსფორდში და მკაცრად გააკრიტიკა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება. მან განაცხადა, რომ მას „მეტად აფიქრებს ამერიკასთან ურთიერთობის გაუარესება". მის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში, რომელიც მოთავსებულია ამერიკის ჟურნალ „ნეიშენ"-ში, იგი სწერს: „შეერთებულ შტატებისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა პრაქტიკულად იმეორებს იმ პოლიტიკას, რომელიც წინ უძღოდა მსოფლიო ომს და რომელმაც მოამზადა ეს ომი. საჭიროა — განაგრძობს იგი — მოისპოს ეს სულელური და მავნე გრძნობა, რომელიც ჰყოფს შეერთებულ შტატებსა და დიდბრიტანეთს". ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ბატონი ლოიდ-ჯორჯები და მაკდონალდები ილაშქრებენ ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ. ჩვენ კარგად გვახსოვს „მშვიდობიანობის მოყვარე" ლოიდ - ჯორჯის „საქმენი საგმირონი" მსოფლიო ომში, ანტისაბჭოთა ინტერვენციაში, საბერძნეთ - თურქეთის (არსებითად ინგლის - თურქეთის) ომში და სხვ. რაც შეეხება მისი უდიდებულესობის ყოფილ პირველ მინისტრს „სოციალისტ" მაკდონალდს, სწორედ მისი მოკლევადიანი მმართველობის დროს მოხდა იმ კრეისერების აგება, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ სადავო საგანს ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის.

ყალბი პაციფიზმით სპეკულიაცია წარმოადგენს ამ „ზომიერი" მილიტარისტების ძირითად პროფესიას. ამიტომ ისინი ყოველნაირად უფარავენ მასებს შეიარაღებისა და ომების ჭეშმარიტ მიზეზებს. მაკდონალდი გაფთრებით ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც „განუწყვეტლივ იმეორებს, რომ დიდი ეკონომიური იმპერიები ყოველთვის ეჯახებოდნენ და ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ კაპიტალისტური კონკურენციას ყოველთვის მოსდევდა შეჯიბრება შეიარაღების საქმეში, რაც თავის მხრივ ომს იწვევდაო". ოსაზიზღრესი ფარისეველი! თუ კაპიტალისტური კონკურენციის მოსაზრებებით არა, რატომ აგებდა კრეისერებს „მუშათა" მთავრობა, რომელსაც იგი მეთაურობდა, რატომ ელაპარაკებოდა ეს მთავრობა ეგვიპტესა და ინდოეთს ულტიმატუმების, მუქარისა და სამხედრო ძალადობის ენით? რატომ აძლევენ მაკდონალდის მიმდევარნი ხმას ასიგნობებს ფლოტისათვის, რომელიც, როგორც თითონ მათ აღიარეს, შეერთებულ შტატებთან ომისათვის შენდება? დასასრულ, განა აშკარა არ არის, რომ თუ მომავალ არჩევნების შედეგად ეხლანდელი ლიბერალურ - ლაბორისტული ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში ჩადგა, ინგლის-ამერიკის ურთიერთობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მოხდება?

შესაძლებელია დროებითი დამპალი კომპრომისი, შესაძლებელია წინააღმდეგობათა გამწვავების ტემპის ერთგვარი შენელება, მაგრამ შეუძლებელია ორ „დიდ ეკონომიურ იმპერიას" შორის არსებული კონფლიქტის ძირითადი მიზეზების მოსპობა, იმ „კაპიტალისტური კონკურენციის" მოსპობა, რომლის ხსენებაც მეტად არასასიამოვნოა საეკლესიო გალობის მოსმენას მიჩვეულ მაკდონალდის ყურისათვის.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მომავალში პოლიტიკა, „ლაბ-კოალიციისა" (როგორც მას შემოკლებით უწოდებენ ინგლისში), ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მყოფი შუბლმაგარი კონსერვატორები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ მუშათა მასების უკმაყოფილებას იმის გამო, რომ უფრო და უფრო იზრდება გადასახადები სამხედრო მიზნებისათვის. ახალი ომის საფრთხის გამო მათ ძალიან ეშინიათ წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის და იმ მსხვილი კაპიტალისტური ჯგუფების ცივი, ფრთხილი ანგარიშიანობის, რომლებიც ფხიზლად აფასებენ მძიმე კრიზისში მყოფი დიდი ბრიტანეთის და აყვავების ხანაში მყოფი შეერთებული შტატების ძალთა ერთიერთ განწყობილებას. აქედან გამომდინარეობს ინგლისის იმპერიალიზმის განუწყვეტლივ ნერვიული, მიხვეულ - მოხვეული პოლიტიკური ხაზი თავისი საშიში მეტოქის მიმართ, აქედან — კონფუზი გოვარდის გამოსვლის გამო, პასუხის დაგვიანება ამერიკის ნოტაზე, რომელიც წარსული წლის 28 სექტემბერს იქნა გაგზავნილი განიარაღების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბრიტანეთის იმპერიალიზმის აგრესიულმა შეურიგებელმა პოლიტიკამ საბჭ. კავშირის მიმართ უკანასკნელ ხანებში მარცხი განიცადა. იმ დროს, როცა პირწავარდნილი ზუბრები განაგრძობენ თავის ძველ პოლიტიკას, ბევრი გავლენიანი კაპიტალისტი - კონსერვატორი თავს აცხადებს რევიზიონისტად, საბჭოთა კავშირთან ეკონომიური დაახლოების მომხრედ. იქმნება დიდი არევ-დარევა და გზა-კვალის აბნევა. ჩერჩილი გამოდის ტიპიური ჩერჩილისებური, ბოლშევიკებისადმი უაღრესი მძულვარებით აღსავსე სიტყვით და ილაშქრებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ, ხოლო მისი საპარლამენტო მდივანი ბუტბი ამავე დროს თავის ამომრჩეველთა წინაშე ამბობს ცოტად თუ ბევრად შემარიგებელ სიტყვას. მრეწველები, რომლებსაც კავშირი აქვთ ბოლდუინთან, როგორც ბევრ სამრეწველო წარმოებათა აქციონერთან, დელეგაციას გზავნიან საბჭოთა კავშირში, ხოლო იგივე ბოლდუინი — პრემიერი ერთსა და იმავე დროს ხელს აფარებს ჩერჩილის გაფთრებულ ანტისაბჭოთა გალაშქრებას და დუმილით აძლევს თანხმობას დელეგაციის გამგზავრებაზე.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის ზოგიერთი გავლენიანი წრეების ეს „რევიზიონისტული" მისწრაფება მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლის-ამერიკის მეტოქეობასთან. ბევრი ინგლისელი კაპიტალისტი რწმუნდება, რომ ამ მეტოქეობის გამო (და აგრეთვე სხვა მიზეზების გამო) საბჭოთა კავშირის ბლოკადით გარემოცვის გეგმა არ იძლევა მათთვის სასურველ შედეგებს. შეერთებულმა შტატებმა ინგლის - საბჭოთა დამოკიდებულების შეწყვეტის შემდეგ გააფართოვეს თავისი ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. იგივე უნდა ითქვას, გერმანიის შესახებ. ამას მხოლოდ ის მოჰყვა შედეგად, რომ ინგლისის ვაჭრობამ იზარალა. ყოველივე ეს ხდება ინგლისის მრეწველობის სერიოზული დეპრესიის პირობებში, რომელსაც, მიუხედავად მიღწევებისა ზოგიერთ დარგში, არ შეუძლია წარმოების პროცესში ჩააბას 1 ნახ. — 2 მილიონი უმუშევარი, რომელთა რიცხვი 8 წლის განმავლობაში არ იჩენს საგრძნობი შემცირების ტენდენციას. ყოველივე ამას აქვს ადგილი, როცა ინგლისის საგარეო ვაჭრობამ 10 წლის განმავლობაში ომის შემდეგ ვერ შესძლო ომის წინადროინდელი დონემდე მიღწევა.

რაღა გასაკვირველია, რომ კონსერვატიული მთავრობის პოზიციის გონიერებაში ეჭვი შესდის ზოგიერთ მართლმორწმუნე კონსერვატიულ კაპიტალისტს? ბრიტანეთის იმპერიალიზმი, რომელიც ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის ჩიხშია მომწყვდეული, ეძებს გამოსავალს და ხან ერთ მხარეს ეხეთქება და ხან მეორეს. ამას დიდი მერყეობა შეაქვს მსოფლიო იმპერიალიზმის მთელ სისტემაში და იგი დიდი ისტორიული სიურპრიზების და გადატრიალებათა წინამორბედია.

„პრავდა", 20 თებერვალი.

# კრიზისი ექსპერტთა კონფერენციაზე

## დელეგაციები გაურბიან გარკვეული წინადადებების წამოყენებას

## ა. ტომა აღიარებს საბჭ. წყობილების სიმტკიცეს და საბჭ. ხელისუფლების უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას

### „პირველი დაბრკოლებები" ექსპერტთა კონფერენციაზე

#### არც ერთი კონკრეტული წინადადება

ბერლინი, 19 თებერვალი. სოციალ - დემოკრატიული „ფორვერტს"-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით რეპარაციების გადამსინჯავი ექსპერტების კონფერენციაზე წარმოიშვა პირველი დაბრკოლებები, რადგან საერთო კამათის დამთავრების შემდეგ არც ერთმა დელეგაციამ არ შეიტანა დადებითი წინადადება კამათის შემდგომი მიმდინარეობის შესახებ, ამრიგად, სხდომაზე აღმოჩნდა „ცარიელი ადგილი", რომლის შესავსებად საჭირო გახდა უკვე განხილული საკითხების ხელახლა განხილვა.

18 თებერვლის საღამოს სხდომა არ შემდგარა, რომ დელეგაციებს მისცემოდა არაოფიციალური მოლაპარაკების საშუალება უახლოესი სხდომის მუშაობის პროგრამის შესახებ. (ადს)

პარიზი, 19 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ექსპერტთა კომიტეტმა სთხოვა ინგლისის დელეგატ სტემპს და გერმანიის დელეგატ შახტს განაგრძონ თავიანთი მუშაობა საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის დელეგატებთან თანამშრომლობისათვის და გამონახონ საუკეთესო მეთოდები კონფერენციის მუშაობის გასაგრძელებლად" (ადს).

#### საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი, ექსპერტთა კომისიის მუშაობის შეფერხება, გამოწვეულია იმით, რომ არც ერთ დელეგაციას არ სურს გამოააშკარაოს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება და ამიტომ არ შეაქვს კონკრეტული წინადადებანი გერმანიის გადასახადების რაოდენობის შესახებ, გაცხოველებულ კომენტარიებს იწვევს საფრანგეთის პრესაში.

„ეკო დე პარი" აღნიშნავს, რომ საერთო დისკუსიიდან გადასვლა ციფრების კონკრეტულ განხილვაზე ერთბაშათ შეამცირებდა კონფერენც. წარმატებით დამთავრების შანსებს, რადგან დაუყონებლივ გამოააშკარავებდა ღრმა უთანხმოებას სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ეს უთანხმოება ერთბაშად გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია დაუყოვნებლივ შეუდგება ფართო დისკუსიას.

„ევარ"-ის აზრით, შახტს რომ ეხლავე წარედგინა წინადადება, რომ გერმანიამ გადასახადის ანგარიშში ყოველწლიურად შეიტანოს 1.750 მილიონი მარკა 37 წლის განმავლობაში, მაშინ კონფერენციის გაგრძელება უიმედო იქნებოდა, რადგან არავითარი წინადადება, რომელიც არ ითვალისწინებს გერმანიის გადასახადების შეტანას 60 წლის განმავლობაში მოკავშირეთა სამხედრო ვალების გადახდის ვადასთან შეფარდებით, არ შეიძლება დისკუსიის საგნად გახდეს. საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ გერმანია, რომელიც კონფერენციის ინიციატორია, პირველი უნდა გამოვიდეს კონკრეტულ წინადადებით. პრესა აღიარებს, რომ გერმანია რეპარაციების გადახდის უნარიანობის უკავშირებს შემდეგ ფაქტორებს: გადასახადების უცხოეთის სესხების დასაფარავად, სავაჭრო და საგადასახადო ბალანსების მდგომარეობას, საგარეო ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობას იმ საბაჟო პირობებში, რომლებიც არსებობს კრედიტის გამცემ ქვეყნებში და აგრეთვე გერმანიის მოსახლეობის საარსებო დონეს. (ადს).

### ალბერტ ტომა საბჭოთა კავშირის შესახებ

პარიზი, 19 თებერვალი. „პოპიულერი" ბეჭდავს საუბარს ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორთან ალბერტ ტომთან უკანასკნელის მიერ საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. ტომამ კვლავ განაცხადა, რომ მისი შთაბეჭდილებანი დადებითი ხასიათისაა. მისმა თანამოსაუბრემ ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ტომას ჰქონდა საშუალება თავისუფლად გასცნობოდა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. ტომამ ხაზგასმით განაცხადა, რომ მას ერთი წუთითაც არ უგრძვნია, თითქო მას თვალყურს ადევნებდნენ და აღნიშნა, რომ მოსკოვი კულტურული ცხოვრების ინტენსივობის მხრივ არ განსხვავდება ევროპის დედა-ქალაქისაგან. ტომა დაესწრო ოქტომბრის დემონსტრაციებს და ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ ხალხი საბჭოთა კავშირში არსებული რეჟიმის დიდი ერთგულია. რომ ეს რეჟიმი და წესწყობილება მის საკუთარ რეჟიმს და წესწყობილებას წარმოადგენს და ისინი სახელმწიფოს ბატონპატრონნი და თავისუფალი არიან.

ტომა ამბობს: „ხალხის ერთგულება რეჟიმისადმი ყოველ ეჭვს გარეშეა. ისინი იმდენად ერთგული არიან, ამ რეჟიმისა, რომ მზად არიან გადაიტანონ ტანჯვა, იმუშაონ მეტი და მიიღონ ნაკლები. გრძნობ, რომ მთელი ხალხი მთელი თავისი ძალ-ღონით, ენერგიით სცდილობს თავი დაალწიოს დაბრკოლებებს, სძლიოს ეკონომიური სიძნელენი და გაადიდოს პროდუქცია. არაფერი არ არის საერთო ამ ხალხსა და იმ ბრელ ზარმაც რუს ხალხს შორის, რომელიც ომის წინ იყო. რაც შეეხება მთავრობის მოღვაწეებს, მათი შრომის უნარიანობა და საქმისადმი ერთგულება არა ჩვეულებრივია". ტომამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია ობიექტიური ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ, რადგან საზოგადოებრიობას უკვე აღარ სწამს პრესის სიყალბე, რომელიც 10 წლის განმავლობაში წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის მალე დაღუპვას.

„მე ვიმედოვნებ. — განაცხადა ტომამ,— რომ გამოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც შეისწავლიან ყოველივე იმას, რაც განხორციელდა საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირი ევროპის ეკონომიკის განუყრელი ნაწილია და მისი მონაწილეობის გარეშე ნაყოფიერი ვერ იქნება ვერც ერთი საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება. საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც განიარაღების, ისე ეკონომიკის, ფინანსების და სოციალური კანონმდებლობის დარგში" (ადს).

### მდგომარეობა ავღანისტანში

#### ამანულას მოწვევით

ბერლინი, 19 თებერვალი. ავღანისტანის მისიამ ბერლინში გამოაქვეყნა ცნობა იმ ხმების შესახებ, თითქოს ნიციდან ავღანისტანის ტახტის დასაკავებლად გაემგზავრა ავღანისტანის ყოფილი ელჩი პარიზში ნადირ-ხანი, მისის ცნობაში ნათქვამია, რომ ნადირ-ხანი ავღანისტანში გაემგზავრა მეფე ამანულას მიწვევით და სურვილით, რომ მასთან ერთად იმუშაოს (ადს).

#### ალი ახმედ-ხანმა „თავი ისახელა"

ლონდონი, 20 თებერვალი. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი დელიდან (ინდოეთის დედაქალაქი) იუწყება, რომ ახმედ ალი-ხანმა თავისი მოკლე ხნის ბატონობის რომს „თავი ისახელა" და ინდოეთის მეფის მოადგილეს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ის გამოსთქვამს იმედს, რომ მეგობრული ურთიერთობა ინდოეთსა და ავღანისტანს შორის განუწყვეტლივ დარჩება. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინდოეთის საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობა ამანულასადმი აიხსნება შიშით, რომ ინგლისი შეეცდება ამანულას დამარცხება გამოიყენოს ინდოეთში რადიკალურ რეფორმათა „უეცარი" შემოღების არაკეთილგონიერების დამამტკიცებელ ფაქტად.

#### ნადირ - ხანი ფარულად გაემგზავრა ნიციდან?

ლონდონი, 19 თებერვალი. რეიტერის სასააგენტო იუწყება: „პეშევარიდან გადმოცემულ ნადირ-ხანი (ავღანელი პრინცი, რომელმაც ავღანისტანი 1925 წელს დასტოვა ამანულასთან უთანხმოების გამო), ფარულად გაემგზავრა ნიციდან, ფიქრობენ, რომ ნადირ-ხანი ავღანისტანში მიემგზავრება (ადს).

#### ხაბიბულას პროკლამაცია

ლონდონი, 19 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „პეშევარიდან გადმოცემული ცნობების მიხედვით, ხაბიბულამ, მეთაულუხის შვილმა (ბაჩე-საკაომ); რომელმაც ტახტი მიითვისა ქაბულში გამოაქვეყნა პროკლამაცია იმის შესახებ, რომ მან აღუდგინა სახელმწიფო დახმარება რელიგიურ ლიდერებს, რომელთაც ეს დახმარება წაართვა ამანულამ, და აგრეთვე იმ ტომებს, რომლებიც წინედ მხარს უჭერდნენ ტახტის მაძიებელს ალი ახმედ-ხანს, ჟანდამკთან ამ უკანასკნელის დამარცხებამდე, ხოლო ამჟამად შეჰფიცეს ხაბიბულას. ეს უკანასკნელი სცდილობს მოიპოვოს შინვარის ტომის დახმარება. უკანონობა მეფობს აღმოსავლეთის პროვინციაში ჯელალაბადის ირგვლივ, სადაც ხელისუფლებამ სრულიად დაჰკარგა მართვა-გამგეობის სადავეები". (ადს).

#### გააფთრებული ბრძოლა ჯელალაბადში

ქაბული, 19 თებერვალი. ჯელალაბადი გადაიქცა გააფთრებული შეტაკებების ასპარეზად შინვარისა და მომანდამის და შინვარისა და კუგიანის ტომებს შორის. ტომების შეტაკების დროს ქალაქი გაძარცვეს, მოხდა გამანადგურებელი აფეთქება (ადს).

#### ჯელალაბადი დანგრეულია

ლონდონი, 19 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის პეშევარელი კორესპონდენტი ადასტურებს ცნობებს ჯელალაბადის დაქცევის შესახებ. კორესპონდენტი სწერს: „ჯელალაბადში ნაძარცვი ნივთების ნაწილმა ბრიტანეთის საზღვრისაკენ იპოვა გზაო".

ქაბულიდან მიღებული ცნობებით, იქაური ტომები მოითხოვენ ნადირ-ხანის დაბრუნებას (პრინცმა ნადირ-ხანმა ავღანისტანი დასტოვა 1925 წელს ამანულასთან უთანხმოების გამო, ხოლო შემდეგ უარი სთქვა დაეკავებია ავღანისტანის ელჩის თანამდებობა პარიზში). კორესპონდენტის სიტყვით, „ნადირ-ხანის შანსები იზრდება და თუ მისი მომხრეები ისევ მისი ერთგულნი დარჩებიან, ნადირ-ხანი მნიშვნელოვან ძალას ჩაუდგება სათავეში.

„დეილი ტელეგრაფ"-ი კომენტარიებს უკეთებს ახმედ ალი-ხანის დამარცხებას და სწერს:

„გაუგებარია რატომ მიმართეს თავიანთი იარაღი შინვარის და სხვა ტომებმა ახმედ ალი-ხანის წინააღმდეგ. შეცდომა იქნება, რომ ამის გამო ისინი ამანულას მომხრეებად ჩავთვალოთ, ვინაიდან ისინი მტრულად უყურებენ ამანულას. მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ ისინი ბაჩე-საკაოს მომხრეებად ჩავთვალოთ".

#### აზიმულა-ხანი ბაჩე-საკაოს მხარეზეა

თერმეზი, 19 თებერვალი. მაზარ-შერიფიდან იუწყებიან, რომ კატაგან-ბადახშანის პროვინციის გუბერნატორი აზიმულა-ხანი გადავიდა ბაჩე-საკაოს მხარეზე და ძალაუფლება გადასცა ახლად შემდგარ პროვინციალურ დროებით მთავრობას, რომელიც 5 მოლისგან შესდგება და რომელსაც მეთაურობს მაულოვი-შირზა. აზიმულა-ხანმა ახალი მთავრობის წევრებთან ერთად ხანაბადიდან მაზარ-ი-შერიფის პროვინციის გუბერნატორს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც მოუწოდებს მას გადავიდეს ბაჩე-საკაოს მხარეზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი ისლამის ჭეშმარიტი შვილიაო.

### საბჭოთა გემი „კამო" ბორდოში

პარიზი, 19 თებერვალი. „ლიუმანიტე" იუწყება, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ბორდოში კერძო პირთ აუკრძალეს იქ მისული ანტრაციტით დატვირთული საბჭოთა გემის „კამო"-ს ნახვა. მეზღვაურთა საერთაშორისო კლუბის შეკითხვაზე—ბორდოს ხელისუფლების ორგანოებმა განაცხადეს, რომ ისინი მოქმედებენ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად. (ადს).

### სხვადასხვა

— ინგლისის ლორდთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონპროექტი თექვსმეტი წლის ასაკ მიუღწეველ პირთა შორის ქორწინების გაუქმების შესახებ.

კანონპროექტის დასასაბუთებლად გამოსულმა ბეკმასტორმა განაცხადა, რომ დღემდე არსებული კანონის მიხედვით ინგლისში შესაძლებელია ქორწინება თოთხმეტი წლის ვაჟისა და თორმეტი წლის ქალს შორის.

### ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

#### ინგლისის დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამომგზავრება გადადებულია რამდენიმე დღით

ლონდონი, 19 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისის საქმიანი წრეების დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში გადადებულია.

ამის გამო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა შეკითხვით მიმართა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მდივანს. კომიტეტში განაცხადეს, რომ დელეგაციის გაგზავნისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ სხვადასხვა საორგანიზაციო დეტალების გამო დელეგაციის გამგზავრება შეიძლება რამდენიმე დღით გადაიდოსო (განზრახული იყო, რომ დელეგაცია გაემგზავრებოდა 8 მარტს) (ადს).

### ლიტვა კმაყოფილია საბჭ. კავშირის პოლიტიკით

#### „ლეტუვოს აიდას"-ი ლიტვა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

კოვნო, 20 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ახალ რწმუნებულის ანტონოვ - ოვსეენკოს მიერ ლიტვის პრეზიდენტისათვის რწმუნების სიგელების ჩაბარებასთან დაკავშირებით ოფიციოზმა „ლეტუვოს აიდას"-მა მოათავსა მოწინავე წერილი ლიტვა - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. გაზეთი ეხება ლიტვა - საბჭოთა კავშირის 1920 და 1926 წლის ხელშეკრულებებს და სწერს:

„ამ ხელშეკრულებებით დაწესებულ იქნა ლიტვის აღმოსავლეთის საზღვრები და ვილნო და გროდნო ლიტვას მიეკუთვნა. ჩვენ განსაკუთრებულის კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ დღემდე საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს ამ თვალსაზრისს".

შემდეგ გაზეთი ეხება საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც პოლონეთში დამონებულია ნახევარი მოსახლეობა, საბჭოთა კავშირში ბევრი რამ კეთდება მასში მცხოვრებ ხალხთათვის და ამიტომ მას თანაგრძნობით უნდა უყურებდნენ მცირე ერები. (ადს)

### ნორვეგია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

ოსლო, 19 თებერვალი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სტორტინგმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმად მთავრობა იძლევა კრედიტის გარანტიას 15 მილიონი კრონის რაოდენობით საბჭოთა კავშირის ფირმების მიერ ნორვეგიაში პროდუქტების შესაძენად.

დებატების დროს ნორვეგიის პრემიერმა განაცხადა, რომ ნორვეგიის გამოცდილება საბჭოთა კავშირის საქმეებში დღემდე სავსებით დამაკმაყოფილებელიაო". (ადს).

### მენშევიკები პოლიციას იხმარებენ მემარცხენე მუშების წინააღმდეგ

ბერლინი, 19 თებერვალი. რელინგჰაუზენში მემადნეთა პროფკავშირის წევრთა საერთო კრებამ მიიღო ბრძოლის პროგრამა, რომელიც წამოაყენა რევოლუციონურმა ფრთამ. ამის საპასუხოდ მემადნეთა პროფკავშირის ცენტრალურმა რეფორმისტულმა გამგეობამ სამსახურიდან გადააყენა კავშირის რელინგჰაუზენის განყოფილების ყველა თანამდებობის პირი და მათ მაგივრად დანიშნა კომისარები.

ამის შემდეგ შესდგა კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც პოლიციის რაზმის თანხლებით გამოცხადნენ კავშირის რელინგჰაუზენის განყოფილების ახლად დანიშნული რეფორმისტული ხელმძღვანელები და კავშირის ადგილობრივი განყოფილებიდან გამორიცხულად გამოაცხადეს რევოლუციონური ფრთის ორი ხელმძღვანელი. გამორიცხულებს წინადადება მიეცა დაეტოვებინათ კრება. მათ გაჰყვა კრების მონაწილეთა დიდი უმრავლესობა. ამათ მოაწყვეს ცალკე კრება. რომელზედაც დაადგინეს მემადნეთა კომიტეტის მახლობელ არჩევნების დროს წამოაყენონ კანდიდატთა დამოუკიდებელი სია. (ადს).

### საფრანგეთ-ესპანეთის ურთიერთობის გამწვავება

პარიზი, 19 თებერვალი. ესპანეთის ამბები ხდება იმ დროს, როდესაც გამწვავებულია საფრანგეთ - ესპანეთის ურთიერთობა. კონფლიქტს საფუძვლად უდევს საკითხი კომპენსაციის მიცემის შესახებ იმ ფრანგებისათვის, რომელთაც წინეთ ესპანეთში ეკუთვნოდა ამჟამად ნაციონალიზაციაქმნილი წარმოებები.

საფრანგეთის მთავრობისათვის მით უფრო ადვილია კომპენსაციის მოთხოვნა, რომ უკანასკნელი ამბების გამო პრიმო დე-რივერას რეჟიმი შეირყა, ხოლო გაძლიერდა ზეგავლენა გარედან. ამას გარდა იყო პრეცედენტი—კომპენსაცია მიეცა ინგლისელებს, კერძოდ, „როიალ დეჩის" კომპანიას, რომელსაც ზარალი 1.100.000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით აუნაზღაურეს.

„ჟურნალ დე დება"-ს იმედი აქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა გადაჭრით იმოქმედებს, რადგან „საფრანგეთს საკმაო ეკონომიური საშუალებები აქვს ესპანელებზე ზეგავლენის მოსახდენათო" (ადს).

### ლებე „გამაფრთხილებელ" ზომებს იღებს

#### კომუნისტ დეპუტატების გამოსვლების წინააღმდეგ

ბერლინი, 19 თებერვალი. ლებემ რეიხსტაგის უხუცესთა საბჭოში შეიტანა ახალი წინადადებები რეგლამენტის შემდგომი გაუარესების შესახებ. ეს წინადადებები მიმართულია კომფრაქციის წინააღმდეგ. ამ წინადადების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა რაიმე ინციდენტი კომუნისტ დეპუტატების მეოხებით, უკანასკნელნი შეიძლება ხანგრძლივი ვადით გამორიცხულ იქნან რეიხსტაგის სხდომებიდან, მათ შეიძლება წაერთვას დეპუტატის ჯამაგირი და რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობის უფლება.

გაძლიერებულია რეიხსტაგის დამცველი პოლიციის რაზმი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ისეთი ინციდენტების განმეორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კელოგის პაქტის მიღების დროს, როდესაც კომუნისტმა დეპუტატებმა ორატორების ტრიბუნის წინ დასდგეს მძიმე ზარბაზნის ყუმბარა, რომელიც დამზადებული იყო გერმანიის ლითონის დამმუშავებელ წარმოებაში. (ადს)

### მე-2 ინტერნაციონალის მოლაპარაკება ფაშისტებთან

ბერლინი, 19 თებერვალი. კომუნისტური „როტე ფანე" სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ მიუხედავად გაზეთებში დაბეჭდილი საწინააღმდეგო ცნობებისა, ამსტერდამის ინტერნაციონალის დავალებით იტალიაში ფაშისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალური მდივანი ზასენბახი და ტრედუნიონების გენერალურ საბჭოს მდივანი სიტრინი. მოლაპარაკება არ შეწყდარა იტალიიდან ზასენბახისა და სიტრინის გამგზავრების შემდეგაც, ზასენბახმა და სიტრინმა მოხსენება უნდა გაუკეთონ ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმს, რომლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მოლაპარაკების განახლება და გაგრძელება. (ადს)

### ფრანგი იმპერიალისტები ჟლეტენ ზანგებს

მოსკოვი, 20 თებერვალი. ზანგი მუშების პროფკავშირთა საერთაშორისო კომიტეტმა საპროტესტო მოწოდება გამოაქვეყნა საფრანგეთის იმპერიალისტების მხეცური მოქმედების წინააღმდეგ ეკვატორიალურ აფრიკაში.

„კოლონიალური ექსპლოატაციის, მონობის და ჩაგვრის ბარბაროსული სისტემა, — ნათქვამია მოწოდებაში— კვლავ მძვინვარებს. საფრანგეთის ეკვატორიალური აფრიკის მოსახლეობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შემცირდა 6 მილიონი კაცით. საფრანგეთის იმპერიალისტები ეხლა ჟლეტავენ ამ მუშებს და თავისი „ცივილიზაცია" აფრიკაში შეაქვთ ხიშტების საშუალებით.

მიმართვა მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს განაცხადონ პროტესტი აფრიკელი მუშების ხოცვა - ჟლეტის წინააღმდეგ და მოითხოვონ საფრანგეთის იმპერიალისტების აღმაშფოთებელი მხეცობის გამოძიება. (ადს)

### „ფორვერტს"-ის რედაქტორ შვარცის გატაცების საქმე

ბერლინი, 19 თებერვალი. სასამართლოში ირჩეოდა სენსაციური საქმე „ფორვერტს"-ის რედაქტორის. სოციალ - დემოკრატ შვარცის გატაცების შესახებ (შვარცის გატაცება მოხდა გასული წლის 6 ოქტომბერს. მას რადიოსადგურზე უნდა წარმოეთქვა სიტყვა „მშვიდობიანობის უზრუნველყოფის პრობლემის" შესახებ. მის მაგიერ რადიო - სადგურზე ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლანდტაგის კომუნისტმა დეპუტატმა შულცმა).

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულნი იყვნენ „როტე ფანე"-ს რედაქტორი კარლ ფრანკი, წითელ ფრონტელთა კავშირის წევრები შერლინსკი და ვეიკე. საქმის გარჩევამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ბრალდებულები გამოტყდნენ და აღნიშნეს, რომ მათი მიზანი იყო გაერღვიათ ის სიჩუმის შეთქმულება, რომლითაც მოწინააღმდეგე პარტიები შეხვდნენ ჯავშნოსანის აგების საკითხზე გერმანიის კომპარტიის მიერ საყოველთაო კენჭის ყრის მოწყობისათვის დაწყებულ კამპანიას.

სასამართლომ ფრანკს მიუსაჯა 4 თვის პატიმრობა, ხოლო შერლინსკის და ვეიკეს სამსამი თვის პატიმრობა (ადს).

### ბესარაბია საბჭოთა მიწა-წყლის ნაწილია

#### ბესარაბიელთა საზოგადოების გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 20 თებერვალი. ბესარაბიელთა საზოგადოების გაფართოებულ პლენუმზე საერთაშორისო მდგომარეობისა და ბესარაბიის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კოლაროვი.

ამხ. კოლაროვის სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა მისალმება ამხ. მარინისა, რომელმაც 10 წელი გაატარა რუმინეთის საპატიმროებში.

დასასრულ, პლენუმმა მიიღო მოწოდება მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიმართ და აგრეთვე დნესტრის ორივე მხარეზე მცხოვრებ მშრომელ ბესარაბიელთა მიმართ.

„ბესარაბიის მშრომელებს. — ნათქვამია მოწოდებაში. — რომელთაც საერთო მტრის —რუმინეთის ოლიგარხიის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა საერთაშორისო პროლეტარიატი და რომელთაც მხარს უჭერდნენ რუმინეთის მუშები და გლეხები, — მუდამ ეხმარებოდა საბჭოთა კავშირი, რომელიც განუწყვეტლივ იდგა ბესარაბიის მშრომელი მოსახლეობის ინტერესთა სადარაჯოზე და რომელიც არ სცნობდა რუმინეთის მიერ ბესარაბიის ხელში ჩაგდებას. საბჭოთა მთავრობა დღესაც ამ პოზიციაზე სდგას. ის გარემოება, რომ მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირს ნამდვილად სურს მშვიდობიანობა, რომ ის ებრძვის ომს. როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს. საბჭოთა კავშირი უარჰყოფს ომს, როგორც ბესარაბიის საკითხის გადასაწყვეტ მეთოდს, მაგრამ ამავე დროს ის ბესარაბიას განუწყვეტლივ სთვლის საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიად, რომელიც რუმინეთის ბურჟუაზიამ და სამხედრო წრეებმა ძალადობითა და მოტყუებით ჩამოაშორეს საბჭოთა კავშირს. ამ განცხადებით საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცხადჰყო, რომ ბესარაბიის მშრომელებს საბჭოთა კავშირის სახით ჰყავთ ძველებურად მძლავრი დამცველი. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი თავისი ძმურ ხელს გაუწოდებს საზღვარგარეთელ ამხანაგებს. ბესარაბიის ბედ-იღბალს გადასწყვეტენ დნესტრის ორივე მხრის მშრომელი ბესარაბიელები ყველა ქვეყნის მშრომელების ხელის შეწყობით და დახმარებით. ჩვენი საზოგადოების ამოცანები იგივე რჩება. ჩვენი ლოზუნგი „შორს ბესარაბიისაგან რუმინეთის მოძალადეთა ხელები — უნდა განხორციელდეს და განხორციელდება" (ადს).

მოსკოვი, 20 თებერვალი. პლენუმზე ლევინზონმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა სხვათა შორის სთქვა:

„ბესარაბიის საკითხი კვლავ როგორც ოფიციალური დიპლომატიის, ისე საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მოსკოვის ოქმი, რომელსაც ამას წინედ მოაწერეს ხელი, არსებითად არაფერს არ სცვლის ბესარაბიის საკითხში. ასევე უცვლელი რჩება ბესარაბიელთა საზოგადოების ამოცანები".

დიდი მოხსენება ბესარაბიაში შიმშილობის შესახებ, გააკეთა დემბომ. ოფიციალური ცნობებით, შიმშილობა მძვინვარებს ხუთ მაზრაში (ბესარაბიაში სულ არის 9 მაზრა). რუმინეთის პარლამენტში განაცხადეს, რომ დამშეულთა რიცხვი უდრის 400 ათასს, სინამდვილეში კი, მხოლოდ 5 მაზრაში დამშეულია 1.200.000 გლეხი. ნაწილობრივ დამშეულია ბესარაბიის დანარჩენი ოთხი მაზრაც. შიმშილობა მძვინვარებს აგრეთვე ქალაქებშიაც. გალატაკებული გლეხობა ჩალის ფასად ჰყიდის მიწას და მიემურება ქალაქისაკენ. ვრცელდება ტიფის დაავადების ეპიდემია. მიუხედავად შიმშილობისა, გადასახადს მეტად მკაცრი ზომებით ართმევენ გლეხობას. მთავრობა პირველად დიდხანს მალავდა შიმშილობის ასეთ ფართო ხასიათს. მოსახლეობის დასახმარებლად მან გადადო 25 მილიონი ლეი; ამ თანხიდან ორ-ორი შაური მოუწია თითო კაცს. დამშეულთა დასახმარებლად კი საჭიროა არა ნაკლებ 680 მილიონი ლეისა, ე. ი. 7 მან. თითო კაცზე. (ადს).

### კამპანია დობროჯეანუს განთავისუფლების სასარგებლოდ

ვენა, 19 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, დაპატიმრებული რუმინელი კომუნისტი დობროჯეანუ-გერეა უკვე მე-24 დღეა შიმშილობს. მიუხედავად იმისა, რომ დობროჯეანუ მეტად დასუსტებულია, იგი ბუქარესტიდან, სადაც მისი საქმე ირჩეოდა, ისევ გაგზავნეს ჟილავის საპყრობილეში.

რუმინეთის მუშურ - გლეხურმა ბლოკმა დაიწყო კამპანია დობროჯეანუს განთავისუფლებისათვის. ბლოკმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს მოაწყონ საწარმოებში საპროტესტო გამოსვლები დობროჯეანუს დაპატიმრების წინააღმდეგ და მონაწილეობა მიიღონ იმ დემონსტრაციაში, რომელსაც აწყობს ბლოკი ბუქარესტში სამხედრო სასამართლოს შენობის წინ.

მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა ლიგის გენერალურმა მდივანმა კოსტა ფორომ გაზეთ „ადევერულ"-ის ფურცლებზე სარეგენტო საბჭოს მიმართა წინადადებით — ჩაერიოს საქმეში დობროჯეანუს სასარგებლოდ.

### კელოგი კაპერისა და პორტერის პროექტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. კელოგმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გაილაშქრა კაპერისა და პორტერის პროექტების წინააღმდეგ, კაპერი და პორტერი თავიანთ პროექტებში მოითხოვენ სანქციების დაწესებას, რათა მეტი ძალა მიეცეს პარიზის პაქტს ომის აკრძალვის შესახებ, კელოგმა განაცხადა:

„ერთად-ერთი პრაქტიკული ძალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის განხორციელებასა და განმტკიცებას, არის საზოგადოებრივი აზრი. მე არ ვფიქრობ, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის მიღწევა შეიძლებოდეს რეპრესიული ზომებით მშვიდობიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ". (ადს).

### ავსტრიის კომპარტიის ყრილობა

ვენა, 19 თებერვალი. დასრულდა ავსტრიის კომპარტიის ყრილობა. კომინტერნის აღმასკომისა და გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლები მოუწოდებდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ მათ სავსებით უარი ეთქვათ თავის თვალსაზრისზე, რომელიც დაუშვებელია პარტიის რიგებში. ცეკას პოლიტიკური მოხსენების გამო ყველა ხმით, წინააღმდეგ ოპოზიციის ერთი ხმისა, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, იმ თეზისების თანახმად, რომლებიც წამოაყენა მომხსენებელმა — პარტიის გენერალურმა მდივანმა კოპლენიგმა. პარტიის ახალს კომიტეტში შევიდნენ მხოლოდ პარტიის უმრავლესობის წარმომადგენლები. (ადს)

### გერმანია და პოლონეთი

#### საფრანგეთის პრესა პოლონეთს უჭერს მხარს

პარიზი, 19 თებერვალი. პრესა აღნიშნავს, რომ პოლონეთ - გერმანიის ურთიერთობას საგრძნობლად ამწვავებს ზემო - სილეზიის სეიმის დეპუტატის ულიტცის დაპატიმრება და აგრეთვე ნაციონალური უმცირესობათა საკითხი, რომელიც დასმული იქნება ერთა ლიგის მარტის სესიაზე. გაზეთები სავსებით ამართლებენ პოლონეთის მთავრობის მოქმედებას და აცხადებენ, რომ მას „ისეთივე უფლება აქვს თავი დაიცვას გერმანიის პროპაგანდისაგან ზემო-სილეზიაში, როგორც საფრანგეთის ელზასშიო".

„ჟურნალ"-ის სიტყვით, ჟენევაში ამ საკითხის განხილვის დროს საფრანგეთი მხარს დაუჭერს პოლონეთის თვალსაზრისს, თუმცა ამავე დროს გაზეთი ილაშქრებს გერმანიის პრესის განცხადებების წინააღმდეგ. რომელთა მიხედვით პოლონეთის მთავრობის პოლიტიკაში ნაწილობრივ საფრანგეთის მთავრობაც არის პასუხისმგებელი (ადს).

### ამხ. მარტი სისხლის სამართლის დამნაშავეთ სცნეს

პარიზი, 19 თებერვალი. საკასაციო პალატამ დაამტკიცა ის განაჩენი რომელიც გამოუტანეს მარტის მის მიერ მარშალ ფოშის ინტერვიუს საპასუხო განცხადების დაბეჭდის საქმეზე (მარშალმა ფოშმა ინგლისურ ჟურნალ „რევიუ ოფ რევიუს"-ში დაბეჭდა ინტერვიუ, რომელშიაც მოუწოდებს ახალ ინტერვენციისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფოშის ამ ინტერვიუს საპასუხოდ მარტმა „ლუმანიტე"-ში დაბეჭდა წერილი, რომელიც პროკურატურამ ჩასთვალა „მოწოდებად მკვლელობისაკენ". ამ საქმეზე მარტის მიუსაჯეს ოთხი წლის პატიმრობა და 3.000 ფრანკი ჯარიმა). განაჩენის დამტკიცებასთან ერთად, საკასაციო პალატამ მარტის „დანაშაული" ჩასთვალა სისხლის სამართლის დანაშაულად. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ თუ მარტიმ ჯარიმა ვერ გადაიხადა, გაგრძელდეს მისი პატიმრობის ვადა. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ მარტის გადაიყვანენ სისხლის სამართლის პატიმართა პირობებზე.

„ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განაჩენის დასაბუთებაში სრულებით არ არის მოხსენებული, რომ საფრანგეთის ოფიციალური ხელისუფლება უარჰყოფდა ფოშის განცხადების სინამდვილეს. გაზეთის სიტყვით, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ფოშის იმ მუქარის სინამდვილეს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთის სიტყვით, მარტის „სისხლის სამართლის დანაშაული" იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფოშის ინტერვიუს გამო მოაგონა საფრანგეთის მშრომელთ ისტორიული ფაქტი — ფრანგი მეზღვაურების დაძმობილება ოდესის რევოლიუციონურ მუშებთან, და განაცხადა, რომ ათეული ათასი ფრანგი მეზღვაური არასოდეს არ აღმართავს იარაღს თავიანთ კლასობრივ მოძმეთა — საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინააღმდეგ. (ადს)

### ჩ ი ნ ე თ შ ი

#### განცხადებანი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ

პეკინი, 19 თებერვალი. უნივერსიტეტის საქმეთა ეროვნული კომიტეტის პეკინის განყოფილების თავმჯდომარემ ტა-ჩან-ჩიმ შეიტანა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. იგი აცხადებს, რომ „სტუდენტები არ გამოსწორდნენ და მზად არიან ყოველ მომენტში მიიღონ მონაწილეობა არეულობაში".

პრესის ცნობით, ბაი-ცზუნ-ჩიმ განაცხადა, რომ იგი გადადგა მეოთხე არმიის სადემობილიზაციო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან. (ადს).

#### თავდასხმა ფინ-იუი-სიანის მატარებელზე

პეკინი, 19 თებერვალი. „შუნ ტიან შიბაო"-ს ცნობით, ბანდიტები კაიფინის (ხენანის პროვინციის მთავარი ქალაქი) მახლობლად თავს დაესხნენ ფინ-იუი-სიანის მატარებელს. თავდასხმა მოიგერიეს. გაზეთები გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ „ბანდიტებმა" იჩინეს თავი კაიფინის რაიონში. (ადს).

#### ახალი გაფიცვები ჩინეთში

პეკინი; 19 თებერვალი. დიპლომატიური კვარტალის პოლიციამ გაფიცვა გამოაცხადა. ერთი ვერსიით გაფიცულები მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას. მეორე ვერსიით—გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ პოლიციელები უკმაყოფილონი არიან პოლიციის ორი ახალი მაღალი თანამდებობის მოხელის დანიშვნით.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

### ლიტვინოვის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

**რეველი,** 19 თებერვალი. პრესის ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლატიკმა მთავრობას გადასცა ლიტვინოვის ოქმი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს.

### ლიბერალური პრესა ილაშქრებს რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ

**ვენა,** 20 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ლიბერალური პრესა კვლავ ილაშქრებს რუმინეთის მთავრობის წინააღმ. დეგ მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის გამო. ამავე დროს ლიბერალურმა პრესამ რუს და უკრაინელთა რეაქციონური ელემენტების დახმარებით გააძლიერა ანტი-საბჭოთა კამპანია, პრესა მკაცრად აკრიტიკებს ვარშაველი ელჩის დევილას მოქმედებას და მას ბრალად სდებს იმას, რომ მან მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერის დროს არ გაილაშქრა ლიტვინოვის სიტყვის წინააღმდეგ. ლიბერალური პრესა მოითხოვს დნესტრის საზღვარის დაცვის გაძლიერებას. გაზეთი „ინდე-პანდანს რუმენ" აცხადებს: „უნდა ვაღიაროთ, რომ მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერა გამარჯვებას წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა კავშირის მეზობლებისათვის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის. რუმინეთი მზად უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ახალი დიპლომატიური გამოსვლისათვის ორი მიმართულებით: საბჭოთა კავშირი გამოვა წინადადებით განიარაღების საკითხზე და ამავე დროს გააძლიერებს ახალ კამპანიას დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად. ამ მხრივ რუმინეთში ყურადღება უნდა მიექციონ ინგლისის მრეწველთა დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში, რაიც ხდება ინგლისის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ". (ადს).

### გომინდანის დროშის შეცვლა

**ტოკიო,** 20 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტო ცინდაოდან იუწყება, რომ როგორც კი დაიწყო გენერალ ჩან-ცზონ-ჩანის შეტევა, გომინდანის დროშა ცინდაოში შეიცვალა ძველი ჩინური დროშით. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ცინდაოში ფუძიტამ პრესის წარმომადგენლებთან ხაუბარში განაცხადა, რომ ჩან-ცზონ-ჩანის გამოსვლა იაპონიას აყენებს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში, რადგან ნანკინის ხელისუფლებამ შეიძლება ეჭვი აიღოს, რომ იაპონია მონაწილეობას იღებს ამ საქმეში. მაგრამ იაპონია, ფუძიტას სიტყვით, მტკიცედ იცავს ნეიტრალიტეტს. შემდეგ ფუძიტამ განაცხადა, რომ ცზინანის ინციდენტის მოგვარებამდე იაპონელთა ხელისუფლება ჩინეთის ჯარებს არ მისცემს ნებას გაიარონ შანდუნის რკინის გზაზე. (ადს).

### სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი მილანში

**რომი,** 20 თებერვალი. საავტომობილო კლუბმა მილანში საზეიმო სხდომა გამართა სამოილოვიჩის და ჩუხნოვსკის პატივსაცემად. დირიჟაბლ „იტალია"-ს დამხმარე ექსპედიციის მეთაურმა მერკანტიმ სამოილოვიჩს გადასცა მხატვრულად გაკეთებული ბრინჯაოს ქეტონი, ჩუხნოვსკის ოქროს მედალი. ქეტონის ახლო გაეგზავნება „კრასინ"-ის ეკიპაჟს. სამოილოვიჩმა და ჩუხნოვსკიმ მადლობა გადაუხადეს დამსწრეთ, ამასთანავე სამოილოვიჩმა ხაზი გაუსვა პოლიარული ექსპედიციის მნიშვნელობას და გამოსთქვა სურვილი, რომ ისინიც, ვინც ყინოლებში დარჩა, დაბრუნებული იქნენ სამშობლოში და ოჯახში. სამოილოვიჩს და ჩუხნოვსკის მხურვალედ მიესალმა ხალხი, რომელიც საავტომობილო კლუბის შენობის წინ იყო შეკრებილი. (ადს).

### აეროპლანის ავარია

**პარიზი,** 19 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ფრანგი მფრინავის კოსტას აპარატი, რომელიც ინდოეთში გაფრინდა, გზაში ტრიპოლისაკენ იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო, რომლის დროსაც დაიმტვრა. აპარატის დამტვრევის დროს არავინ დაშავებულა. (ადს).

# ჯვარი-მესტიას გზის გასაყვანად

### 350.000 მან. გზის პროექტის შესადგენად

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა 350.000 მანეთი გადასდო ჯვარი-მესტიას გზის საბოლოო პროექტის შესადგენად და მუშაობის დასაწყებად; ამ გზის გაყვანა დაჯდება დაახლოვებით 3 მილიონი მანეთი. ეს თანხა გადაიდება ბიუჯეტით 1929-31 წლების განმავლობაში.

# მოსკოვის საბჭოს პლენუმი

### სურსათ - სანოვაგით და პურით ვაჭრობის მოწესრიგება

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა დაადგინა: იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასურსათო საქონლის ნორმალური მიწოდება მოსკოვის მშრომელი მოსახლეობისათვის და ფასების არსებული დონის შენარჩუნება გატარებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებანი სასურსათო საქონლის და პირველ რიგში პურის მიწოდების მოსაგვარებლად. ამისათვის პლენუმმა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა შემოიღოს შემდეგი წესი: პური მშრომელ მოსახლეობას მიეცეს წიგნაკებით; არამშრომელ მოსახლეობას პური მიეცეს გადიდებულ ფასებში.

პლენუმმა მოსკოვის საბჭოს წევრებს დაავალა მოსახლეობას შორის აწარმოონ ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობა აღნიშნულ ღონისძიებათა მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ და ამავე დროს უზრუნველჰყონ საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია, როგორც პურის ცხობის, ისე პურის გასაყიდ ადგილებში (ადს).

# ლაშქრობა მოსავლიანობის გასადიდებლად

**მოსკოვი** 20 თებერვალი. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბევრ რაიონში ფართოდ ვითარდება ლაშქრობა მოსავლიანობის გასადიდებლად ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირელები. არზამასის მაზრაში და ნიჟეგოროდის გუბერნიაში კომკავშირელებმა მოაწყვეს 18 რაზმი მავნებლებთან საბრძოლველად. მალმიჟის მაზრაში (ვიატკის გუბ.) კომკავშირელთა ძალებით შეიქნა ორი კოლმეურნეობა და ათი სამანქანო საზოგადოება. ვიატკის კომკავშირელები აწყობენ მუშაახალგაზრდობის ბრიგადებს სასოფლო - სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად (ადს).

# მეცნიერებათა აკადემიის წყნარ ოკეანეს სექცია

**ხაბაროვსკი,** 20 თებერვალი. ვლადივოსტოკში მოეწყო მეცნიერებათა აკადემიის წყნარ-ოკეანეს კომიტეტის სექცია. სექციის ამოცანას შეადგენს ხელის შეწყობა წყნაროკეანეს გამოკვლევისათვის და დამოუკიდებელი მუშაობის წარმოება ამ დარგში. სექციის შემადგენლობაში შედიან ყველა საოლქო სამეცნიერო დაწესებულებანი. სექციის თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი ხავინი. (ადს).

# გამომგონებლობისათვის ხელისშემწყობი კომიტეტები საწარმოებში

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება, რომლის თანახმად წარმოებ. და სამეურნ. ორგანოებში არსდება საფ. საქ. გამომგონებლობისათვის ხელისშემწყობი საექსპერტო კომისიები. კომისიები მოეწყობა იმ წარმოებებში, სადაც მუშათა რიცხვი 100-ზე ნაკლები არ არის. კომისიები განიხილავენ მუშათა და მოსამსახურეთა წინადადებებს წარმოების გაუმჯობესების შესახებ, გამომგონებლებს აღმოუჩენენ ტეხნიკურ დახმარებას და სხ (ადს).

# მოჯამაგირეთა დაზღვევა

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. პროფკავშირთა ცენტრ. კომიტეტების თათბირმა განიხილა სოცდაზღვევის ცენტრ. სამმართველოს დადგენილების პროექტი, გლეხურ მეურნეობაში მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევის ახალი წესის შესახებ. მოჯამაგირეთა დაზღვევა დღემდე ტარდებოდა მხოლოდ ცალკე რაიონებში. ახალი პროექტის მიხედვით, მოჯამაგირეთა დაზღვევა შემოწმებულ იქნება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე და დაზღვეული მოჯამაგირეები უზრუნველყოფილ იქნებიან სოცდაზღვევის ყოველგვარი დახმარებით.

# უცხოეთი

### ინგლისის მეფის ავადმყოფობა და გაზეთის გამყიდველები

ინგლისის მეფე ავადაა. ამ ცნობამ აალელვა მთელი ინგლისის ბურჟუაზია და მათი ერთგული მსახურები მაკდონალდის „მუშათა" პარტიიდან, ბრწყინვალე წოდება (ლორდები და სხვ.). გაცხოველებით მსჯელობს იმაზე, თუ როგორ ხასიათს მიიღებს ავადმყოფობა. „მუშათა" პარტიის ლიდერები დამწუხრებული არიან „მისი უდიდებულესობის" ავადმყოფობის გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მეფეს. ტომასს და მაკდონალდს რომ დაუჯეროთ, „ინგლისის მუშები დღიან-ღამიან საიდუმლო მეფის განკურნებაზე ლოცულობენ". სინამდვილეში კი საქმე სულ სხვანაირად არის. ინგლისის მუშები ისეთ აუტანელ გაჭირვებას განიცდიან ამჟამად, იმდენად უმძიმეს ლუკმაპურის შოვნა (ამას ბურჟუაზიული გაზეთებიც არ მალავენ), რომ მეფის ავადმყოფობაზე საფიქრებლად დროც არა აქვთ. მუშათა კლასის ერთად-ერთი მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელიც ასე თუ ისე „გამოეხმაურა" მეფის ავადმყოფობას, ეს იყო ლონდონის „ივნინგ სტენდარდ"-ის 340 გამყიდველი.

ამ გაზეთის გამყიდველებს, უმთავრესად მოზარდებს, ზედმეტად ამუშავებდნენ—აყიდვინებდენ სასწრაფო ბიულეტენებს მეფის ავადმყოფობის შესახებ, პოლიტიკურ მოღვაწეთა მისვლის შესახებ მეფის სანახავად და სხვ.

პირველ დღეების განმავლობაში გაზეთის გამყიდველები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ამ მოვალეობას. ხმამაღლა გაჰყიროდნენ: „მეფე ინახულა უელსის პრინცმა", „მეფემ იცნო პრინცი და მიესალმა მეფეს" და სხვ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ გამომცემლობას არა აქვს განზრახვა გადაიხადოს ზედმეტი სამუშაოს ჯილდო, გაზეთის გამყიდველებმა გაფიცვა გამოაცხადეს. არ უშველა საქმეს იმის მტკიცებამ, რომ „ბიულეტენების გაყიდვით გამყიდველები პატრიოტულ საქმეს აკეთებენ". გამყიდველები ურყევად მოითხოვდენ ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოს და ბოლოს ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებია მათი მოთხოვნილება.

ასე გამოეხმაურენ გაზეთის გამყიდველები ინგლისის მეფის ავადმყოფობას.

ა. გ.

# მენშევიკი მინისტრები

### ბურჟუაზიულ ბალებზე

ბერლინის პოლიცეი-პრეზიდენტი ცერგიბელი

გერმანიაში სწრაფად იზრდება უმუშევრობა. ამავე დროს გაჩაღებულია ბურჟუაზიულ ბალების სეზონი. ბერლინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაკები თავიანთ კრებებზე სჩივიან, რომ ბურჟუასთან მოლაპარაკებისა და ბურჟუაზიულ გართობის გამო „დრო აღარ რჩებათ" იმისათვის, რომ მუშების ინტერესებზე იზრუნონ.

„როტე ფახე"-ს მოჰყავს ბერლინის პოლიცეი-პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატ ცერგიბელის ფოტოგრაფიული სურათი. ფრაკში გამოწყობილი ცერგიბელი შამპანიურს შეექცევა ბურჟუაზიული პრესის წარმომადგენელთა ბალზე სწორედ იმ საღამოს, როდესაც პოლიციამ მათრახის ცემით გაფანტა უმუშევართა დემონსტრაცია.

# აუჩქარებელი მუშათა და გლეხთა ინსპექციები

### („პრავდა"-ს ინსპექციის ფურცლიდან)

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ბრძოლა სოფლის მეურნეობის ტეხნიკის ამაღლებისათვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და უაღრესად საპასუხისმგებლო ფრონტს? განსაკუთრებით თესვის კამპანიის დაწყების წინ.

აქ ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის ჩამორჩენილობისა და უმწეობის წინააღმდეგ. თვითეული ახალი მანქანისათვის, თვითეული შეკეთებული გუთანისა და ტრაქტორისათვის.

სოფლის მეურნეობის ტეხნიკის ამაღლებისათვის ხელ-ს შეწყობის მიზნით, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ 1928 წლის 30 ნოემბერს მისცა დავალება საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებსა და რესპუბლიკებს ჩაეტარებიათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემკეთებელი სახელოსნოების არსებული ქსელის გამოკვლევა. ამ გამოკვლევამ უნდა გაადვილოს ღონისძიებების შემუშავება. სარემონტო საქმის რაციონალიზაციისათვის.

დავალების შესრულებისა და მასალებ-ს გადმოგზავნის უკანასკნელ ვადათ დანიშნული იყო 1929 წლ. 1 იანვარი.

მაგრამ განა ყველა ჩვენ უაღრესად პასუხისმგებელ ორგანოს ესმის რა არის დისციპლინა და რამდენი ზიანი მოაქვს აქ მცირეოდენ დაუდევრობასაც კი?

რასაკვირველია, ყველას არ ესმის. მაგალითად, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს ეს აქამდის ვერ გაუგიათ.

როგორ შეასრულეს ეს დავალება ამიერ-კავკასიისა და რესპუბლიკანურმა მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა?

1929 წლ. 1 იანვარს, (დავალების შესრულების ვადა) ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან არ ყოფილა მიღებული მასალები. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა 12 იანვარს განმეორებით გაუგზავნა მას მიმართვა.

15 იანვარს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან მოვიდა ცნობა, რომ მიღებულია ზომები მასალების მისაღებად რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებისაგან.

1 თებერვალს საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა კვლავ მოაგონა მასალების შესახებ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და 12 იანვარსა და 1 თებერვალს შუა მოაგონა აგრეთვე პირადათ ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარეს.

8 თებერვალს მიღებულ იქნა ამხ. ნაზარეტიანის დეპეშა: „რესპუბლიკანურმა მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა არ წარმოადგინეს მასალები. უგზავნით შეკითხვას ტელეგრაფით".

სხვა არავითარი ცნობა არ მოსულა.

დავალება არ არის შესრულებული. საერთო მოხსენება (საბჭოთა კავშირის შესახებ) გაკეთებულ იქნა ამიერ-კავკასიის მასალებას გარეშე.

ასეთი აღმაშფოთებელი დამოკიდებულება გამოიჩინეს უმნიშვნელოვანესი დირექტივისადმი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელებმა, რომელნიც თვით თავისი მდგომარეობით დაუზოგველად უნდა ებრძოდნენ ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოხატულებას.

მოსკოვი, 20 თებერვალი.

# სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები სოფლისათვის

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატება საგრძნობლად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობა სასოფლო - სამეურნეო მანქანებით, იარაღებით და ტრაქტორებით. მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის ტრაქტორების რიცხვი სოფლის მეურნეობაში გადიდდება 6.500-ით, ხოლო სულ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს იმუშავებს 38.000 ტრაქტორი. აქედან 24—25 ათასი — ფორდზონის ტიპის. ტრაქტორების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად. როგორც მიმდინარე თესვის კამპანიაში, ისე მომავალ წელს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს 1928-29 წელს მოაწყოს ფორდზონის სათადარიგო ნაწილების გამოშვება იმ ანგარიშით, რომ 1929-30 წელს სათადარიგო ნაწილების მთელი მოთხოვნილება დაიფაროს შინაური წარმოებით (ადს).

# მონღოლეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მოსკოვში

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახლად დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში გემბოჟაბი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მცირე ხურულდანის თავმჯდომარე ჩოი ბალსანი და მონღოლეთის სახალხო რევოლიუციონური პარტიის ცეკას მდივანი გენ დუნი. (ადს).

# თათბირი 8 მარტის ჩატარების შესახებ

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებაში შესდგა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ აღინიშნოს ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი, მიმდინარე წელს 8 მარტი ხვდება დედათა და ბავშვთა დასაცავად წარმოებული მუშაობის ათი წლის თავს. თათბირმა დაადგინა გააერთიანოს ეს ორი თარიღი და ჩაატაროს კამპანია დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის ფართო საზოგადოებრივი შემოწმების თვალსაზრისით. კამპანია გაგრძელდება 1 აპრილამდე. (ადს).

# საბჭოთა დაწესებულებების წმენდა

**პიატიგორსკი,** 20 თებერვალი. საბჭოთა დაწესებულებების წმენდის დროს ოლქში დათხოვნილ იქნა 300 მეტი კაცი. დათხოვნილთა შორის არიან: 3 ყოფილი ჟანდარმი, 2 მემამულე, 2 ვაჭარი, 11 თეთრგვარდიელი ოფიცერი და 1 კონტრდაზვერვის აგენტი. განსაკუთრებით ბევრია დათხოვნილი საადგილ-მამულო სამმართველოში, სადაც დიდ ბიუროკრატიზმს ჰქონდა ადგილი. საუკეთესო მიწები მიწადმოწყობის დროს ხელში უვარდებოდა კულაკებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადში კულაკებს ეძლეოდა შეღავათი და სხ.

# აერომარხილების გადარბენა

**მოსკოვი,** 20 თებერვალი. 17 თებერვალს წითელ მოედანზე მოხდა აერომარხილების საკავშირო გადარბენის სტარტი. დაესწრო 10.000-ზე მეტი კაცი. მიტინგ-ს შემდეგ 17 საათსა და 50 წუთზე მარხილები დაიძრნენ. გადარბენაში მონაწილეობას იღებს 4 აერომარხილი. (ადს).

**იაროსლავი,** 19 თებერვალი. აერომარხილები იაროსლავში ჩამოვიდნენ 4 საათსა და 45 წუთზე. აერომარხილებს დიდძალი ხალხი შეეგება. (ადს).

# ქარბუქი ყირიმის ნახევარ-კუნძულზე

**ხარკოვი,** 20 თებერვალი. 19 თებერვალს ღამით ყირიმის მთელ ნახევარკუნძულზე ამოვარდა დიდი ქარბუქი. დილით თოვლის სიღრმემ ბევრ ადგილას მიაღწია 5 მეტრამდე, ჯანკოის, ევპატორიის და ფეოდოსიის რაიონში მატარებლები თოვლის მწმენდავების საშუალებით დადიან. (ადს).

# გემის ჩაძირვა

**ნოვოროსიისკი,** 20 თებერვალი. ზღვაზე მძვინვარებს ძლიერი გრიგალი, რომლის ძალა 11 ბალამდე აღწევს. 18 თებერვალს სალამოთი ხოვოროსიის ნავთსადგურში ავარია განიცადა თურქეთის გემმა „ენი სტამბულ" მა. გემს დაუზიანდა სამანქანო განყოფილება და ნახევრად ჩაიძირა. მეზღვაურები გადარჩნენ. (ადს).

# თბილისის IX პარტკონფერენცია

### მესამე სხდომა

## თბილისის კომიტეტის მუშაობა

### ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენების გაგრძელება

ამხანაგებო, ეხლა მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო თეატრის და კინოს საქმიანობაზე. უკანასკნელ ხანებში თეატრების რეპერტუარი საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ წარსულში თეატრი ვერ შორდებოდა „დეზერტირებს" და „ამერიკელ ძიას", ეხლა იდგმება იდეოლოგიურად და მხატვრულად დამაკმაყოფილებელი რევოლიუციონური პიესები, როგორიცაა „ლიანდაგი გუგუნებს", „ანზორი" და სხვ., მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნო ისიც, რომ ამ პიესებში ზოგჯერ ჩვენი თეატრები გამოურევენ ხოლმე ისეთ პიესებსაც, როგორიცაა „ემიგრანტები". სამწუხარო ის არის, რომ წარმოდგენა „ემიგრანტებს" სდგამდა თბილისის მუშათა თეატრი, აღნიშნული პიესა მაყურებელზე სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს „ბარბაროსებმა" (რევოლიუციონური პროლეტარიატის სახით) დაარბიეს „მამა აბრამის ბატონისეული" მშვიდობიანი ხალხი. პიესაში მიჩქმალულია კონტრ-რევოლიუციის ნამდვილი კლასობრივი სახე.

გადავიდეთ კინოზე. კინო-მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენ საკმაო ნიადაგი მოგვეპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა წარსულ წლებში ჩვენი კინო-მრეწველობის პროდუქცია ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა საზოგადოებრიობის მოთხოვნილებებს. აქაც, ისევე როგორც თეატრში, ზოგიერთ სურათებს ახასიათებს კლასობრივი ინტერესების მიფუჩეჩება. მაგალითისათვის ავიღოთ სურათი „ყაზახები". ამ სურათში მაყურებელი ნახავს მხოლოდ და მხოლოდ ყაზახებისა და ჩერქეზების ერთმანეთზე ნადირობას, მაგრამ თუ რა ნიადაგზე სწარმოებს ეს „ნადირობა", ეს მაყურებლისათვის გაუგებარი რჩება. უკანასკნელ ხანებში კი სახკინმრეწვის პროდუქციას თვალსაჩინო გაუმჯობესება დაეტყო.

ნება მომეცით ეხლა რამდენიმე სიტყვით შევეხო ბეჭდვითი სიტყვის საქმეს. ჩვენი პრესა—თვითკრიტიკის ერთ-ერთი უმახვილესი იარაღთაგანია, მასში, მუშა-კორესპონდენტების სახით, თანამშრომლობს მუშათა ფართე მასა. წარსულ წელს მუშკორ-გლეხკორთა რიცხვი აღწევდა 8000-მდე, წელს კი კორესპონდენტთა რიცხვმა 8500 გადააჭარბა. როგორც მოგეხსენებათ, ცენტრალურ გაზეთებს გარდა, ჩვენს წარმოებებში გამოდის კედლის გაზეთებიც; კედლის გაზეთების რიცხვი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა, გაუმჯობესდა მათი შინაარსიც. რომ ჩვენი პრესა მშრომელთა ინტერესების გამომხატველია, ამას მოწმობს თუ გინდ ის გარემოებაც, რომ გაზეთების ტირაჟი ყოველწლიურად მატულობს.

მიუხედავად ზემდგომი ორგანოების მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, მუშკორების დაცვის შესახებ, მუშკორთა დევნას მაინც აქვს ადგილი. ეს დევნა ორნაირი ფორმისაა: ფარული და აშკარა. იყო შემთხვევები, როცა მუშკორთა დევნას აწარმოებდენ თვით კომუნისტებიც კი. ჩვენ მთელი სისასტიკით უნდა აღმოვფხვრათ მუშკორებთან ასეთი დამოკიდებულება.

პარტორგანიზაციის დადგენილების თანახმად ჩატარებული იქნა ჯერ „რაბოჩაია პრავდას" და შემდეგ „მუშას" რეორგანიზაცია. ამ რეორგანიზაციით აღნიშნული გაზეთები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ მუშათა მასას. დიდი ხნის ჭეშმარიტებაა, რომ თვითეული ჩვენი ნაბიჯი, როგორიც პროგრესიული არ უნდა იყოს იგი, შებრუნებულად ხურდავდება ჩვენდამი მტრულად განწყობილ პირების მიერ. „რაბოჩაია პრავდას" და „მუშას" რეორგანიზაცია მენშევიკმა ლორთქიფანიძემ გამოიყენა ჩვენს საწინააღმდეგო პროვოკაციული აგიტაციისათვის. „თქვენ რუსული გაზეთი („რაბოჩაია პრავდა") გააიაფეთ, ქართული გაზეთი კი მუშებისათვის მიუწვდომელ ფასებში იყიდება, აქედან ცხადია, რომ რუსებს მეტს პრივილეგიებს აკუთვნებთო". ეს ცესლიანი ბრალდება წამოგვეყენეს მაშინ, როცა თბილისის კომიტეტმა დადგენილება აღნიშნული გაზეთების რეორგანიზაციის შესახებ ერთ და იმავე დროს გამოიტანა. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ასეთი ხალხისათვის იმის მტკიცება, რომ თეთრი თეთრია და შავი კიდევ შავი.

რამდენიმე სიტყვა ტროცკისტების შესახებ.

რომ მენშევიზმსა და ტროცკიზმს შორის საზღვარი დიდი სისწრაფით იშლება, ამის დასამტკიცებლად აუარებელი ფაქტების მოყვანა შეიძლება. რადგან ბოლშევიკებმა თავიდანვე უარყვეს ტროცკისტების „რჩევები", ტროცკისტული ოპოზიცია მიმართავს ბრძოლის აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ტაქტიკას, თანდათან იხდის ნიღაბს და ძალა-უნებურად ააშკარავებს ანტი-პროლეტარულ კლასიურ სახეს. პროკლამაციების ბეჭდვა, ფარულად მათი გავრცელება, კოლხელშეკრულებების წინააღმდეგ გალაშქრება, კრებებზე ობსტრუქციის მოწყობა—აი გზები, რომლითაც ტროცკიზმი სცდილობს მუშათა მასებზე გავლენის მოხდენას. მიუხედავად ყველა ამ ცდებისა მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა კომუნისტურ პარტიაში ხედავენ თავის ინტერესების გამომხატველ ერთად ერთ პარტიას და მტკიცედ ილაშქრებდნენ ამ პარტიის შესუსტების ყოველივე ცდების წინააღმდეგ.

ეხლა შევეხოთ მემარჯვენე გადახრას: რომ მემარჯვენეები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული ორგანიზაციულად, გამომხატველი არიან წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიისა, ამას ადასტურებს ის, ფაქტი, რომ ისინი ეტრფიან წვრილი ინდუსტრიის განვითარებას, უნდობლად უყურებენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, და მოითხოვენ ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას, უარყოფენ სოფლად და ქალაქად კლასთა ბრძოლის არსებობას და სხვ..

პარტია გადამჭრელ ზომებს ღებულობს და მიიღებს აშკარა ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

როგორია ამჟამად თბილისის ორგანიზაციის შემადგენლობა?

1927 წლის ოქტომბრისათვის მუშები ჩვენს ორგანიზაციაში შეადგენდნენ 59,1 პროც., გლეხები—10,9, მოსამსახურენი და სხვ.—30 პროცენტს, 1929 წლის კი იანვრისათვის მუშები შეადგენდნენ 62,9 პროც., გლეხები—12,9 და მოსამსახურენი და სხვა—24,2, ამრიგად მოსამსახურეების პროცენტის შემცირების ხარჯზე გაიზარდა მუშათა ხვედრითი წონა.

გარედ ქალაქის ორგანიზაციაში კი (მაზრის გამოკლებით) მუშები შეადგენენ 68,2 პროც. გლეხები—6,6 პროც., მოსამსახურენი და სხვ. —25,2 პროცენტს. შედარებით 1927 წელთან ქალაქის ორგანიზაციაში მუშების პროცენტმა იმატა 5,4 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში თბილისის ორგანიზაციამ ორჯერ ჩაატარა უჯრედების ბიუროების გადარჩევა, გადარჩევები ჩატარდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე და გამოააშკარავა პარტიული მასების მნიშვნელოვანი ზრდა. საგადარჩევო კამპანიამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გენერალური შემოწმების სახე მიიღო და ხელი შეუწყო ამ მუშაობის შემდგომ გაძლიერება-განვითარებას.

ვათავებ რა ჩემს მოხსენებას, იმედს გამოვთქვამ, რომ კამათში გამოსული ამხანაგები მიგვითითებენ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თბილისის პარტორგანიზაციის მუშაობაში, ეს მითითებანი კიდევ უფრო გააუმჯობესებენ ორგანიზაციის შემდგომ საქმიანობას.

— იმედი მაქვს, რომ დღევანდელი კონფერენცია, რომელიც ტარდება ლენინური თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ, სათანადო პასუხს გასცემს ყოველგვარ ცდებს, მიმართულს პარტიული რიგების შესუსტებისკენ და დასახავს საჭირო ღონისძიებებს ამ რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის.

(მქუხარე ტაში).

ამხ. სუხიშვილის მოხსენების დამთავრების შემდეგ თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ რუსულ ენაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ასრიბეკოვმა.

### მეოთხე სხდომა

## მისალმებანი კონფერენციას

საღამოს სხდომაზე ქალაქის რაიონის მბეჭდავი მუშების სახელით ამხ. მეტრეველმა და ნედალუგილმა კონფერენციას მიულოცვნეს მუშების წერილობითი მისალმება, რომელიც ჩაკინძულია ტყავის ყდაში.

„ქალაქის რაიონის პოლიგრაფ. წარმოების მუშები, —განაცხადეს აღნიშნულმა ამხანაგებმა, ღრმად დარწმუნებული არიან იმაში, რომ თბილისის მე-9 პარტკონფერენცია ბოლშევიკურად გადასჭრის მის წინაშე დასმულ ყველა პოლიტიკურ და სამეურნეო ხასიათის ამოცანებს და ამით ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს".

ამის შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების დასასრული, რის შემდეგ სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. საჯაია.

## თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის საქმიანობა

### ამხ. საჯაიას მოხსენება

თბილისის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მიერ რამოდენიმეჯერ იყო ჩატარებული თბილისის კომიტეტის მუშაობის ყველა დარგების გამოკვლევა. ამ გამოკვლევებმა ნათელჰყო ის, რომ თბილისის კომიტეტის მუშაობას საფუძვლად ედო მე-15 პარტყრილობის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას შემდგომი პლენუმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

თბილისის კომიტეტის სამუშაო გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით, რაც აიხსნება ნაწილობრივად აპარატში მომუშავეთა ცვალებადობით და დატვირთვით.

ადგილებზე თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობის საქმეს განსაკუთრებით აფერხებდა ინსტრუქტორების ცვალებადობა.

სხდომებზე დასწრება 75—80 პროცენტით განისაზღვრება.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის კომიტეტმა მოახდინა საქმის წარმოებისა და დადგენილებათა შესრულების შემოწმების რაციონალიზაცია. სარევიზიო კომისიამ საჭიროდ ჩათვალა საიდუმლო ნაწილის გამგის შტატის დაარსება, რომელიც თბილისის კომიტეტის მიერ გაუქმებული იყო.

თბილისის კომიტეტის სალარო უკანასკნელ ხანებში გაერთიანებულია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სალაროსთან. სალაროში ადგილი არ ქონია რაიმე არანორმალურ მოვლენას.

სარევიზიო კომისია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით. მუშაობის ნაყოფიერებისათვის აუცილებლად საჭიროა მომავალში სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ზედმეტად დატვირთულნი არ იქნებიან თანამდებობრივი მოვალეობით.

ამით დასრულდა საღამოს სხდომა.

# როგორ უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ალკოჰოლიზმთან

### საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა ას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილების წერილი

**მოსკოვი.** 20 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპ - ბეჭდვითი განყოფილებამ ალკოჰოლიზმთან მებრძოლი საზოგადოების ყველა განყოფილებას მიმართა წერილით, რომელშიაც დასახულია ამ საზოგადოების ამოცანები ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში.

ცეკას აგიტპროპ - ბეჭდვითი განყოფილება აღნიშნავს, რომ სრულებით საკმაო არ არის კოოპერაციის, პროფკავშირების და საბჭოების ორგანოების მონაწილეობა ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში. ქალაქის საბჭოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მუშათა დადგენილებებს იმის შესახებ, რომ დაიხუროს ღვინის მაღაზიები, ლუდხანები და მათ ნაცვლად გაიხსნას საჩაიები და სხვა კულტურულ-ყოფა-ცხოვრებრივი დაწესებულებანი.

ცეკას აგიტპროპ - ბეჭდვითი განყოფილება აღნიშნავს, რომ მუშათა ნაწილი ფიქრობს, თითქოს საკმაოა აკრძალოს არაყის დამზადება და გაყიდვა და მაშინ არავითარი სპეციალური ბრძოლა ალკოჰოლიზმთან საჭირო აღარ იქნება. მაგრამ ეს შეცდომაა. მხოლოდ ადმინისტრატიული ზომების მიღება მთელ რიგ შემთხვევებში ხელს შეუწყობს არაყით ფარული ვაჭრობის განვითარებას ქალაქად და შინაური არაყის გამოხდას სოფლად. სექტანტები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები სცდილობენ ალკოჰოლის საწინააღმდეგო მოძრაობას ჩაუდგენ სათავეში იმ მიზნით, რომ ეს მოძრაობა დაუპირისპირონ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

ცეკას აგიტპროპ - ბეჭდვითი განყოფილება წინადადებას იძლევა გამოაშკარავებულ იქნას ეს ცდები და მათი კლასობრივი შინაარსი. ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ღონისძიებათ ცეკას აგიტპროპ - ბეჭდვითი განყოფილებას მიაჩნია საჩაიების ქსელის მოწყობა და მასიური სპორტის, კინოს და რადიოს განვითარება (ადს).

# ჩვენი დროის ტროცკიზმი

14 თვის წინად მეხუთმეტე პარტყრილობამ დაადგინა, რომ „ტროცკისტულ ოპოზიციაში დარჩენა და მისი შეხედულებების პროპაგანდა შეუთავსებელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან". ყრილობის ამ გადაწყვეტილებამ გარკვეული ჯამი გაუკეთა ბრძოლას, რომელსაც ტროცკიზმი აწარმოებდა ლენინის პარტიის წინააღმდეგ მთელ რიგ წლების განმავლობაში. უკიდურესი ზომა — პარტიიდან გამორიცხვა — უშუალოდ გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ტროცკისტულმა ოპოზიციამ მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ „გასწყვიტა იდეური კავშირი ლენინიზმთან", რომ იგი გადაგვარდა მენშევიკურ ჯგუფად, დაადგა საერთაშორისო და შინაური ბურჟუაზიის წინაშე კაპიტულიაციის გზას და ობიექტიურად გადაიქცა მესამე ძალის იარაღად" (ყრილობის რეზოლიუციიდან).

სწორი იყო თუ არა ტროცკისტული ოპოზიციის ასეთი შეფასება ყრილობის მიერ? მხოლოდ ბრმას შეეძლო ეჭვი შეეტანა ყრილობის გადაწყვეტილების აბსოლუტურ სისწორეში მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ შექმნა თავისი არალეგალური ორგანიზაცია, დაიწყო პარტიიდან გამორიცხულთა და უპარტიოთა მიღება ამ ორგანიზაციაში, მოაწყო არალეგალური სტამბები, პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ბურჟუაზიული ინტელიგენტები და, დაბოლოს, 1927 წლ. 7 ნოემბერს მოაწყო კონტრ - დემონსტრაცია, რითაც ცხადყო თავისი მტრული დამოკიდებულება არა მარტო პარტიის, არამედ აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ამ ერთი წლის განმავლობაში ტროცკისტების არალეგალურმა ჯგუფმა მოიმოქმედა ყველაფერი, რომ დაემტკიცებია, როგორც პარტიის მეხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა, ისე იმ ღონისძიებების სისწორე, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა არალეგალურ ტროცკისტულ ჯგუფების მოქმედების წინააღმდეგ.

მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ ნეტარხსენებული „ოპოზიციური ბლოკის" საუკეთესო ნაწილმა შეიგნო, რომ ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციისათვის და სოციალიზმის შენება შეიძლება მხოლოდ ლენინიზმის გზით, კომუნისტური პარტიის რიგებში. ამ ნაწილმა გამონახა სწორი გზა: აღიარა თავისი შეცდომები, გასწყვიტა კავშირი ტროცკისტულ წარსულთან და იგი დაბრუნდა პარტიის რიგებში.

სრულიად სხვა გზით წავიდა მეორე ნაწილი ტროცკის მეთაურობით. თუ მეხუთმეტე ყრილობამდე ტროცკი და მისი თანამებრძოლნი სწრაფად ეშვებოდნენ დაბლა იმ ხაზისაკენ, სადაც თავდება პარტიის და პარტიულობის ფარგლები, ყრილობის შემდეგ ისინი კიდევ უფრო სწრაფად დაეშვენ პროლეტარიატის დიქტატურის აშკარა მტრების ბანაკისაკენ.

და მართლაც — საკმარისია თვალი გადავავლოთ ტროცკისტების არალეგალურ ორგანიზაციის „თეორიას და პრაქტიკას", რომ ჩვენთვის აშკარა გახდეს ამ ორგანიზაციის ანტირევოლიუციონური ბუნება. დეე, ნურავის ნუ შეიყვანს შეცდომაში ის ფაქტი, რომ ტროცკი და ძმანი მისნი კვლავ უწოდებენ თავის თავს „ბოლშევიკ - ლენინელებს". მემარცხენე ფრაზები და ლენინის სახელით სპეკულიაცია ვერ დაფარავს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ტროცკიზმი გადაგვარდა ნამდვილ, წმინდა წყლის ანტისაბჭოთა ორგანიზაციად, რომლის „პლათფორმა" მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მიმართ, არაფრით არ განირჩევა სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების პლათფორმებისაგან.

დავიწყოთ თუგინდ იქედან, რომ ტროცკისტები ყველა თავის წერილებში ჩვენს პარტიას იხსენიებენ, როგორც „მტერს". ტროცკისტების ამ მიწერ - მოწერაში არის ერთი საინტერესო მოვლენა: მათ არა ჰყავთ სხვა მტრები. ბრმა გაბოროტებამ პარტიის წინააღმდეგ მათ თვალში დაჩრდილა იმპერიალისტები, რომელნიც ამზადებენ ახალ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. ტროცკისტები ანგარიშს არ უწევენ გარემოებას, რომელიც ავალებს ყველა ნამდვილ რევოლიუციონერს კიდევ უფრო შეამჭიდროვოს პროლეტარული ძალები, რომ საკადრისი პასუხი გავსცეთ ჩვენს მტრებს და ბურჟუაზიის დამქაშებს — სოციალ - დემოკრატებს, რომელნიც მთავარ როლს თამაშობენ ანტისაბჭოთა კამპანიაში.

არალეგალური ტროცკიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ), საბჭოთა სახელმწიფოს და კომინტერნის წინააღმდეგ. მივმართოთ დოკუმენტებს:

გასული წლის 21 ოქტომბერს ტროცკიმ საზღვარ-გარეთ გაგზავნა სადირექტივო წერილი, რომელიც დაიბეჭდა ცნობილ რენეგატის მასლოვის ორგანოში და აგრეთვე თეთრგვარდიელთა სხვა გამოცემებში. ამ წერილში უხვადაა გაბნეული ტროცკისათვის დამახასიათებელი აზრები, თითქოს საბჭოთა კავშირში არსებული წყობილება არის „შებრუნებული კერენშჩინა", ვითომ წითელი არმია არის „ბონაპარტისტული" და სხვ.. ამასთან ერთად წერილში ტროცკი თავის მომხრეებს აძლევს მთელ სამოქმედო პროგრამას. ამ პროგრამის ძირითადი მუხლებია ფარული კენჭისყრის ლოზუნგი, გაფიცვების ლოზუნგი და თავისი კადრების მომზადება ახალ სამოქალაქო ომისათვის.

ეს პროგრამა ნათლად გვიმტკიცებს, რომ ტროცკიმ თავის დროშაზე წააწერა არალეგალური კონტრ - რევოლიუციის ლოზუნგები.

სწორედ ფარული კენჭის ყრის ლოზუნგით გამოდიოდნენ თეთრგვარდიელები, ესერები და მენშევიკები კრონშტადტის აჯანყების დროს 1921 წელს. სწორედ სამოქალაქო ომზე და გაფიცვებზე ქვეყნის შიგნით ამყარებს იმედს ყველა ჩვენი მტერი. ტროცკიმ და მისმა თანამებრძოლებმა შესანიშნავი ევოლიუცია განიცადეს მარტო ერთი წლის განმავლობაში: 1927 წელს ისინი იბრძოდნენ პარტიის წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიის დროშით, 1929 წელს ისინი იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის წინააღმდეგ კონტრ - რევოლიუციის დროშით! მართლაც, რომ ბრწყინვალე „ფინიშია"!

ანალოგიურად, მაგრამ უფრო მკაფიოდ სვამენ საკითხს სხვა ტროცკისტები: „რაც შეეხება ტერმიდორს, მე ვფიქრობ, რომ ის უკვე დიდი ხანია მოხდა" — ამბობს „საფრანგეთის რევოლიუციის ცნობილი მცოდნე" ელცინი (ეს ის ელცინია, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს პარტიას „მკვდარ ლეშს" უწოდებდა). საბჭოთა მთავრობასთან „ჩვენ აღარაფერი გვაქვს საერთო; ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ ვებრძოლოთ მას" — აცხადებს ნეჩაევი. მაშ როგორია დასკვნა! დასკვნა გამოჰყავთ თვით ტროცკისტებს. აი, რას სწერს, მაგალითად, ვ. მ. სმირნოვი: „ეხლანდელი მთავრობა, რომელიც მოქმედებს მის მიერ უკვე განადგურებულ საბჭოთა ხელისუფლების ნიღაბით, პროლეტარიატისათვის მტრული მთავრობაა და პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს მის წინააღმდეგ თავის დიქტატურისათვის და ნამდვილ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. კიდევ უფრო „კონკრეტულად" სვამს საკითხს ვინმე სოკრატ გევორკიანი. „სამოქალაქო ომი რუსეთში —სწერს ის — შეიძლება ახლო მომავალში ფაქტი გახდეს... აქედან გამომდინარეობს ოპოზიციის ძირითადი ამოცანა არ შეჩერდეს არავითარი დაწერილი ან დაუწერელი წესდების წინაშე. ისინი... მოვალენი არიან შეაიარაღონ პროლეტარიატი მომავალ ბრძოლებისათვის". (ყველა ეს ციტატები ოპოზიციონურ დოკუმენტებიდან ამოღებულია იაროსლავსკის უაღრესად საინტერესო წერილებიდან). ასეთია არალეგალური ტროცკიზმის გმირების „უკანასკნელი სიტყვა".

ეჭვს გარეშეა, რომ ტროცკისტები გადაჭარბებით აფასებენ თავის თავს, როგორც ბრძოლის ფაქტორს, როგორც საზოგადოებრივ ძალას. ტროცკისტების არალეგალური ჯგუფი მცირეოდენი გამოკლებით ამჟამად წარმოადგენს ერთ მუჭა გაკოტრებულ ავანტიურისტებს, რომელთაც ამავე დროს ძირს უთხრის შინაური ბრძოლა და უთანხმოებანი, დაე, ტრაბახა ჭინჭრაძემ დააპიროს ზღვისათვის ცეცხლის წაკიდება, დაე ინუგეშოს თავი ილიუზიებით!

ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, რომ თანამედროვე ტროცკისტული არალეგალური ჯგუფი დიდათ განსხვავდება ყოფილ ტროცკისტულ ოპოზიციისაგან.

ეს უკვე აღარ არის ოპოზიცია, ეს არის ანტი-საბჭოთა ორგანიზაცია, ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს მტერი. მეხუთმეტე პარტიული ყრილობის პერიოდში კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ ოპოზიცია ობიექტიურად წარმოადგენს მესამე ძალის იარაღს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეხლა კი ასეთი დახასიათება აღარ არის საკმარისი. ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაცია ამჟამად წარმოადგენს აქტიურად მომქმედ კონტრ - რევოლიუციონურ ძალას (თუნდაც უმნიშვნელოს), რომელიც თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავს ბრძოლას ყველა საშუალებებით პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი ეს გამორკვეულია, ჩვენ უნდა გავაკეთოთ საჭირო დასკვნა, არალეგალურ ტროცკიზმთან ბრძოლის შესახებ. აშკარაა, რომ ეს ბრძოლა უნდა იყოს დაუზოგველი და გადამწყვეტი. ჩვენი ხელისუფლების ორგანოები ტროცკისტებს ვერ მისცემენ უფლებას, რომ მათ დაუსჯელად აწარმოონ თავისი კონტრრევოლიუციონური მუშაობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ოდესღაც პარტიის წევრები იყვნენ. ფაქტია, რომ წარსული წლის განმავლობაში ტროცკისტებმა თვითონ ჩააყენეს თავისი თავი საბჭოთა ქვეყნის მტრების მდგომარეობაში. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მათთან შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ, როგორც რევოლიუციის მტრებთან.

ამიტომ საჭიროა ძირშივე აღვკვეთოთ ტროცკისტების ცდა გამოიყენონ ჩვენი დაბრკოლებები. ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ ტროცკისტების არალეგალურ ფურცლებსა და გამოსვლებს სათანადო პასუხი არ გაეცეს კომუნისტებისა და მუშების მხრივ. საჭიროა პროლეტარული საზოგადოებრიობის გაძლიერებული ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას არალეგალურ ტროცკისტულ ორგანიზაციის წინააღმდეგ, საჭიროა ვამხილოთ ის, როგორც მტრული, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობის საქმე ჩვენს ქვეყანაში.

გადამწყვეტმა ბრძოლამ ტროცკისტების ანტისაბჭოთა საქმიანობის წინააღმდეგ არ უნდა დაგვავიწყოს კომუნისტური პარტიის შიგნით მემარჯვენე საფრთხესთან და შემარიგებლობასთან ბრძოლის ამოცანა. უნდა გვახსოვდეს, რომ მემარჯვენე განწყობილებების ზრდა პარტიის შიგნით აძლიერებს ანტი-პარტიულ ჯგუფების მომხრეებს. ამიტომ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არსებულ პერიოდში წარმოადგენს პარტიის უმნიშვნელოვანეს დამოუკიდებელ ამოცანას ამასთანავე ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ანტი - საბჭოთა ჯგუფების საბოლოოდ განადგურებისათვის.

ჩვენ აქამდის ვლაპარაკობდით არალეგალურ ტროცკისტულ ჯგუფზე. მაგრამ ეს ორგანიზაცია არ არის მთლიანი. მასში საკმაოდ ბლომადაა სხვადასხვა შეხედულებათა და აზრების მატარებელი ჯგუფები. მათ შორის არიან ისეთები, რომელნიც სვამენ (საკმაოდ გაუბედავად) საკითხს, რომ საჭიროა „პარტიისადმი მიმართვა" საერთო მუშაობის შესახებ. მართალია, ისინი საკმაოდ ორიგინალურად სვამენ კითხვას: სახელდობრ ფიქრობენ პარტიის ხსნას მემარჯვენე საფრთხისაგან, ამიტომ თავის დაბრუნებას უნდათ მისცენ რაღაც ბლოკის სახე. ვერ იქნა და ვერ განთავისუფლდა ეს ხალხი იმ ილიუზიისაგან, თითქოს ისინი წარმოადგენენ ძალას, რომელსაც შეუძლია მილიონიანი პროლეტარული პარტიის „ხსნა"! როგორ სტყუვდებიან! პარტიას არ ესაჭიროება ასეთი დამხმარენი, ის თვით გაუსწორდება, როგორც აქამდის უსწორდებოდა, ყველა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. ყოველგვარ გადახრას ლენინურ ხაზიდან.

მაგრამ ზოგიერთი ტროცკისტები, რომელნიც ჯერ კიდევ შუა გზაზე დგანან და „მერყეობენ", კარგს იზამენ თუ იფიქრებენ, სანამ გვიანი არ არის, თავისი თავის ხსნაზე. ან პარტიასთან და პროლეტარიატთან პროლეტარული დიქტატურის ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში გადაჭრით გამიჯვნა ტროცკიზმისაგან, ან პარტიისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში სალაპარაკო არაფერი გვაქვს..

ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ დიდი ხანია სწარმოებდა. ამ ბრძოლაში პარტია კიდევ უფრო გამოიბრძმედა, გაიზარდა და გამაგრდა. ამ ბრძოლიდან ბევრი სასარგებლო დასკვნისა და გაკვეთილის მიღება შეიძლება. ერთ - ერთი ასეთი გაკვეთილია შემდეგი: ტროცკიზმის ბედი მრისხანე მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ყველა ანტილენინურ გადახრისათვის, ყველა იმათთვის, ვინც მერყეობს და უხვევს პარტიის მიერ აღებულ ხაზიდან, ერთად ერთ ხაზიდან, რომელსაც შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს პროლეტარიატი.

**ი. სტრელცოვი**

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

„იზვესტია", 19 თებერვალი.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## ქარიშხალი შავ ზღვაზე

**სოხუმი,** 20 თებერვალი. 19 თებერვალს დღის 8 საათზე სოხუმში მიიღეს პირველი დეპეშა ქარიშხალის ნიშანის № 8-ის აწევის შესახებ. ზღვაზე ღელვა თანდათან ძლიერდებოდა და ნაშუადღევს 8 საათზე ღელვის ძალამ მიაღწია შვიდ ბალს. 20 თებერვალს დილის 8 საათზე სოხუმის ყურეში ღელვის ძალამ მიაღწია 9 ბალს, ხოლო ტალღების სიმაღლემ — 7 მეტრზე მეტს.

ასეთი ღელვას ყურეში პირველად აქვს ადგილი. ტალღებმა გაიტაცეს მცირე კატერი. ტალღამ გაიტაცა აგრეთვე ათისთავი ხარებავა და ორი მუშა. მუშები მაშინვე ამოიყვანეს. ათისთავს გადაუგდეს გადასარჩენი წრე. ათისთავისთვის დახმარების აღმოსაჩენად საბარგო ნავთსადგურიდან წყალში გადაეშვა მუშა ბატიკო. ორივე იხრჩობოდა და მაშინ სანაპირო რაზმის კატერიდან ჩაუშვეს ნავი, რომელზედაც იყო მატროსი ჩუმაჩენკო. ჩუმაჩენკომ დიდი გაჭირვებით მიაღწია ხარებავამდე და ბატიკომდე და მიიყვანა ისინი „ხოვტორგფლოტ"-ის საქონლის ნავთსადგურამდე. ნავთსადგურთან ნავი გადაბრუნდა, მაგრამ ყველა გადაარჩინეს. ზღვიდან ღელვას მოაქვს მორები, რომლებიც ნავთსადგურს ეხეთქებიან და საფრთხეს უქმნიან ახალ ნაშენს. (ადს).

**სოხუმი.** 20 თებერვალი. ქარიშხალი ძლიერდება. სანაპირო რაზმის იალქნიანი გემი „აფხაზეთი" ჩაიძირა. საბჭოთა - სავაჭრო ფლოტის სამმართველოს ნავები „ათინა" და „პიონერი" ტალღებმა ნაპირზე გარიყა. სანაოსნო სააგენტოს ყველა კატერები წყლითაა დაფარული. ტალღები ნაპირზე ისვრიან მორებს. ათონიდან მოსული ცნობებით. ტალღები საცხოვრებელ შენობებამდე აღწევს. სოხუმში მოდის წვიმა, ხანგამოშვებით სთოვს. (ადს).

**ბათომი,** 20 თებერვალი. ბათომის ნაპირებზე უკვე მეორე დღეა ძლიერი გრიგალი მძვინვარებს. ღელვის ძალამ 8 ბალამდე მიაღწია. ქარიშხალი ძლიერდება. გემების მიმოსვლა ყირიმ-კავკასიის ხაზით დარღვეულია. 20 თებერვალს დილით ძლიერმა ტალღამ ლუზას მოსწყვიტა რეიდზე მდგომი იტალიის გემი „ტავრიზიო", რომელიც ნავთის პროდუქტების წასაღებად იყო მოსული. „ტავრიზიო" გარიყულ იქნა ნაპირზე მახინჯაურსა და თამარას შუა. ნავთსადგურის სამმართველოში მიღებული ცნობების მიხედვით, ავარია მოხდა საჭეს გადატყდომის გამო. ავარიის ადგილას გაიგზავნა დამხმარე გემები, მაგრამ ძლიერი ღელვის გამო დახმარების აღმოჩენა ვერ მოხერხდა. „ტავრიზიო"-ს ამოღება შეიძლება მხოლოდ გრიგალის შეწყვეტის შემდეგ. მიღებულია ზომები „ტავრიზიო"-ს ეკიპაჟის გადასარჩენად. რომელთანაც კავშირი დამყარებულია რადიოს საშუალებით. შექმნილია სპეციალური კომისია ავარიის მიზეზების გამოსარკვევად და გემისთვის დახმარების აღმოსაჩენად (ადს).

# წითელარმიელები ესალმებიან საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას

**ბაქო,** 20 თებერვალი. სტეპინის დივიზიის მე-5 პოლკის წითელ არმიელები, გაეცნენ ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც მოსკოვში იქნა დადებული საბჭოთა კავშირს, პოლონეთსა, ლატვიასა, ესტონეთსა და რუმინეთს შორის, აცხადებენ:

„საბჭოთა კავშირი ყოველგვარ საშუალებით სცდილობს შექმნას მშვიდობიანი მდგომარეობა, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა, მაგრამ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს მოსკოვის ოქმს, ჩვენის აზრით, ეს ოქმი არის მხოლოდ შირმა ახალი ომებისათვის მოსამზადებლად. წითელი არმია მომავალშიაც ფხიზლად ადევნებს თვალყურს ბურჟუაზიული მეზობლების მოქმედებას და მთელი თავისი ენერგიით განამტკიცებს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობას. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხულის თესვისათვის

## არც ერთი ნაჭერი გამოსადეგი მიწა არ უნდა დარჩეს დაუთესავი.—მანქანები და თესლი დროზე მივაწოდოთ სოფელს.—ცენტრის დადგენილებებს უნდა შევაგებოთ ადგილობრივი თვითმოქმედება.—გაზაფხული კარს გვადგია.—დაყოვნება დანაშაულს უდრის.

## საბჭოთა აპარატის უმნიშვნელოვანესი ამოცანა

გაზაფხულის თესვისათვის მზადების საქმეში საბჭოთა აპარატის გადაუდებელი ამოცანაა მიაღწიოს იმას, რომ გლეხურ მეურნეობათა ძირითადმა მასამ გამოიჩინოს მაქსიმალური ნებისყოფა, ენერგია და ინიციატივა ნათესების გასაფართოებლად და მიწის დამუშავების ისეთი ხერხების გამოსაყენებლად, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მოსავლიანობის გადიდებას.

ასეთი სერიოზული დავალების შესრულება შეუძლებელია აღფრთოვანებისა და ენტუზიაზმის გარეშე, და საბჭოთა აპარატის მუშაობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ აღფრთოვანებამ მოიცვას ღარიბ და საშუალო გლეხთა მთელი მასა. საბჭოთა აპარატმა უნდა გამოიწვიოს ასეთი აღფრთოვანება და გამოიყენოს იგი იმ საგეგმო დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც დასახულია მთელი ჩვენი ქვეყნის და კერძოდ ყოველი თემის, ყოველი რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა აპარატი მტკიცედ იდგომება რევოლიუციონური კანონიერების სადარაჯოზე, იგი შესძლებს აღუძრას ინდივიდუალურ მეურნეთა მასებს სურვილი — სავსებით გამოიყენონ ის სარგებელი, რომელსაც აძლევენ მათ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ცაკის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებანი, ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ დროს მიღებული სხვა გადაწყვეტილებანი.

ამის პარალელურად საბჭოთა ორგანოებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების შენებლობის შემდგომ განვითარებას. თუ წარსული გაზაფხული უმთავრესად სოციალისტური სექტორის რაოდენობითი ზრდის პერიოდს წარმოადგენდა, ეხლანდელი გაზაფხული უნდა გადაიქცეს უმთავრესად მისი ხარისხობრივი მიღწევების ეპოქად.

პრაქტიკულად, საქმიანად უნდა მივუდგეთ გაზაფხულის თესვის ამოცანებს, ხელი უნდა ავიღოთ ფორმალურ დამოკიდებულებასა და უსაქმო ლაყბობაზე — მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგვიკაფავს გზას ეხლანდელი გაზაფხული კულტურულ სოფლის მეურნეობისაკენ. საკმაო არ არის „საერთო" პროპაგანდა ნათესების გაფართოვებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის. ყოველ თემაღმასკომსა და სოფლის საბჭოს სავსებით მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ყველა ის ღონისძიებანი მოსავლიანობის გასადიდებლად, რომლებსაც განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ მეტი ეფექტის გამოღება. ამ ღონისძიებათა საქმიანი პროპაგანდით უნდა განიმსჭვალოს ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის მთელი მიმდინარე მუშაობა, უნდა უკუვაგდოთ ის შეხედულება, თითქოს ჯერ კიდევ შეიძლება თესვისათვის მზადების დაყოვნება.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ზოგიერთ ადგილას თემაღმასკომებმა გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მოსამზადებელი პრაქტიკული მუშაობა გადასდევს საბჭოების არჩევნების დამთავრებამდე. **ეს დიდი და სერიოზული შეცდომაა.** საჭიროა ნამდვილად ავამოძრაოთ საბჭოების სასოფლო-სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა სექციების და ურთიერთ დამხმარე კომიტეტების წევრთა, კოოპერატიული აქტივის, კომკავშირელთა, სოფლის სხვა ორგანიზაციების წევრთა მთელი მასა. ეს ორგანიზაციები შეიძლება გადაიქცნენ უაღრესად აქტუალურ იარაღად ბრძოლაში მიწის განახლებისათვის. სწორედ საბჭოების არჩევნები წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ მივმართოთ საბჭოთა აქტივს, ხოლო მისი მეშვეობით—ღარიბ და საშუალო გლეხთა მთელ მასას.

**ფუჭი ლაყბობა იქნება მთელი ლაპარაკი კულტურული მინდვრისათვის ბრძოლის შესახებ, თუ საბჭოთა აპარატმა ვერ შესძლო აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს ამ ბრძოლაში სოფლის ინტელიგენციას და უწინარეს ყოვლისა აგრონომებს.**

საბჭოთა აპარატი უნდა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ გაზაფხულის თესვის შედეგები საუკეთესო საზომი იქნება ყოველი თემაღმასკომისა და სოფლის საბჭოს მთელი მუშაობის შესაფასებლად, თავის თავად იგულისხმება, რომ ეს ეხება საბჭოთა ხელისუფლების საოლქო და რესპუბლიკანურ ორგანოებსაც. მათი ამოცანაა—დარაზმონ მოსავლიანობისათვის საბრძოლველად არა მარტო სოფლის, არამედ მუშათა მასსებიც და ქალაქის მთელი საზოგადოებრიობა.

მ. კალინინი.



ტრაქტორი გამოდის მინდვრად

## რა უნდა გააკეთონ პარტორგანიზაციებმა

საბჭოთა და პარტიულმა საზოგადოებრიობამ ამ გაზაფხულზე უნდა დაიჭიროს ძნელი და რთული გამოცდა—დროულად და წარმატებით უნდა ჩაატაროს საგაზაფხულო თესვის კამპანია. ეს კამპანია უბრალოდ ტეხნიკურად კი არ უნდა იქნას ჩატარებული, არამედ სამეურნეო წარმატებებთან ერთად უნდა მივაღწიოთ მთელ რიგ პოლიტიკურ მიღწევებს სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმეში. არა მარტო უნდა გავაფართოვოთ ნათესი სივრცე, მოვაწყოთ თესლის წმენდა და სხ., არამედ ამასთან ერთად უნდა შევქმნათ მრავალი ახალი კოლმეურნეობანი, პარტიის ღონისძიებათა ირგვლივ უნდა გავაერთიანოთ ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები.

ამიტომ მიმდინარე წლის თესვის კამპანია არის არა უბრალო ვიწრო-საუწყებო, არამედ დიდი რევოლიუციონური საქმე და მზადება მისთვის უნდა ვაწარმოოთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპით.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გონიერი, რიგიანი ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა იმ საბჭოთა, საადგილ-მამულო და კოოპერატიულ ორგანოებს, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობას იღებენ ან მონაწილეობა უნდა მიიღონ თესვის კამპანიისათვის მზადებაში. ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, დაწყებული სოფლის უჯრედით და გათავებული სამაზრო კომიტეტით, ისევე კარგად უნდა იცოდეს თავისი რაიონის მდგომარეობა, ნივთიერი საშუალებანი და ძალები ამ კამპანიისათვის, როგორც ჯარის ნაწილის უფროსმა იცის თავისი ძალების და მოწინააღმდეგის ძალების მდგომარეობა. სავსებით დაუშვებელია ისეთი მოვლენა, როცა პარტიულმა ორგანიზაციებმა არაფერი იციან იმის შესახებ, რაც კეთდება მათ ცხვირ-წინ: როგორ მუშაობენ საადგილმამულო ორგანოები, არის თუ არა მანქანები, თესლი, როგორ სწარმოებს მანქანების და თესლის შეტანა და სხ.

შეუძლიათ თუ არა ასეთ პარტორგანიზაციებს რიგიანად უხელმძღვანელონ საადგილ-მამულო და საბჭოთა ორგანოების და კოოპერაციის მუშაობას თესვის დარგში? ცხადია, რომ მათი ხელმძღვანელობა იქნება ან ზერელე ან ფორმალური, საუკეთესო შემთხვევაში პარტორგანიზაციები მოისმენენ სათანადო უწყებათა მოხსენებებს და მიიღებენ ზოგად რეზოლიუციებს. ასეთი ხელმძღვანელობა არაფერს მოგვცემს, ეს იქნება უბრალო წყლის ნაყვა.

რასაკვირველია, ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დაიჭირონ საბჭოთა და საადგილ-მამულო ორგანოების ადგილი და მათ მაგივრად დაიწყონ მუშაობა. სწორედ იმიტომ, რომ საბჭოები, საადგილ-მამულო ორგანოები, კოოპერაცია მუშაობენ შეუთანხმებლად, ცალ-ცალკე ხაზით, სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა საერთო ხელმძღვანელობის გაწევას. საჭიროა თვალყურის დევნება იმისათვის ამოქმედებულია თუ არა ყველა ძალები, როგორ სწარმოებს მუშაობა, საჭიროა გაცემულ იქნას დირექტივები ამოძრავებულ იქნან ჩამორჩენილები, აღმოიფხვრას ბიუროკრატიზმი და გაიდევნონ ბიუროკრატები.

საბჭოთა აპარატის ქვედასაფეხურის ორგანოების, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. აქ ფორმალობა უფროა გაბატონებული, ვიდრე საზოგადოებრივი მიდგომა სამუშაოსადმი, ჭეშმარიტი რევოლიუციონური შემოქმედებითი საქმიანობა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ცენტრის განკარგულებანი და დირექტივები დიდის დაგვიანებით ტარდება ადგილებზე და ხშირად ძალიან შეუსაბამოდ. სოფლის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უდიდეს ამოცანას თესვის მოსამზადებელ მუშაობაში წარმოადგენს ზრუნვა, რათა მოეწყოს ფართო კონტროლი იმისათვის, თუ როგორ ტარდება ადგილებზე პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები, რომლებიც შეეხება სოფლის ყველა მოწინავე საზოგადოებრივი ძალების დარაზმვას სასოფლო საბჭოების და თემაღმასკომების ირგვლივ. სასოფლო სამეურნეო სექციები ეხლავე უნდა იქნან შევსებული ღარიბთა და საშუალო გლეხთა აქტიური ძალებით, კოლმეურნეობების მუშაკებთან, ამ სექციების მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან აგრეთვე მასწავლებლები, კომკავშირლები და პარტიული ამხანაგები.

აუცილებლად უნდა დაწესდეს ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა **შესრულების შემოწმება** და თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ ეს გადაწყვეტილებანი მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმარა. მზადება თესვისათვის წარმატებით იქნება შესრულებული პარტორგანიზაციების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აგიტაციისა და საორ-

---

განიზაციო საკითხებში დაუახლოვდებიან ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს.

ყველა პარტიულებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს თესვის კამპანიას. თუ თესვის კამპანიის ძირითადი საკითხების ირგვლივ არ დაირაზმება ფართო საზოგადოებრივი აზრი, მუშაობა მიიღებს მხოლოდ წმინდა საუწყებო ხასიათს. მრავალი მილიონი გლეხობის მასების ამოქმედება, მათი დარაზმვა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგების ირგვლივ, მათი ინიციატივის გამოყენება, — ასეთი ამოცანა უნდა დაისახოს სოფლის ყოველმა პარტუჯრედმა.

ცალკე სოფლების შეჯიბრება თესვის უკეთესად ჩატარებაზე, კოლმეურნეობათა შეჯიბრება, ფართო საწარმოო სასოფლო-სამეურნეო თათბირები და გლეხობის მიზიდვა ამ თათბირებზე, — ასეთია გზები გლეხთა მასების დასაპყრობად მოსავლისათვის ბრძოლაში.

უეჭველია, კულაკები შეეცდებიან გამოვიდნენ თავისი კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგებით და ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველმა ღარიბმა გლეხმა და საშუალო გლეხმა კარგად შეითვისოს, თუ რა სურს მისგან პარტიას და ხელისუფლებას, საითკენ მოუწოდებენ მას და როგორ კონკრეტულ გზებს უსახავენ მისი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

მთელმა რიგმა სასოფლო პარტუჯრედებმა ფართო საზოგადოებრივ ნიადაგზე დააყენა მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. თესვის კამპანიის გეგმებს იხილავენ პარტიულ კრებებზე, ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, სასოფლო საბჭოების გაფართოებულ პლენუმებზე და სხვ. ბევრ ადგილას უჯრედებმა მიაღწიეს იმას, რომ ღარიბები და საშუალო გლეხები პირდაპირ მონაწილეობას იღებენ კრედიტების, თესლის განაწილებაში და სხვ.

დიდი მუშაობა ეკისრება აგრეთვე სოფლის კომკავშირთა ორგანიზაციებს. კომკავშირის წინაშე ამჟამად სდგას სავსებით მკაფიო, სავსებით კონკრეტული ამოცანები, რადგან კომკავშირმა გამოაცხადა ლაშქრობა მოსავლიანობის გადიდებისათვის. ლაშქრობა მოსავლიანობისათვის მხოლოდ ეხლა დაიწყო, მაგრამ ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ზოგიერთ ადგილას კომკავშირელები დიდ ინიციატივას იჩენენ თესლის დახარისხებაში, იწვევენ ფართო თათბირებს და სხვ. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. კომკავშირის ლაშქრობაში ჩაბმულ უნდა იქნას სოფლის ყველა კომკავშირელი და ეს ლაშქრობა უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგით: „არ უნდა დარჩეს არც ერთი კომკავშირელი, რომელსაც არ ექნება კონკრეტული დავალებანი".

პარტიულმა და კომკავშირთა ორგანიზაციებმა მთელი თავისი მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა შეუფარდონ მზადებას საგაზაფხულო თესვისათვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი სოფლის საზოგადოებრიობის ამოძრავება, რაიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრდეს ბრძოლა ნათესი სივრცის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ბ. ს—ი.

ტრაქტორის გამოცდა

## ახალი კანონი გადასახადის შესახებ და თესვა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი საშუალო გლეხობისათვის არ წარმოადგენს მხოლოდ გადასახადის გაღების უბრალო შემსუბუქებას. ახალი კანონი თვალსაჩინოდ უწყობს ხელს აგრეთვე სოფლის მეურნეობის გარდაქმნას აგრი-კულტურულ საფუძველზე.

გადასახადის შეღავათები ასეთია: გადასახადის საერთო ჯამი შემცირებულია 50 მილიონი მანეთით, დაბეგვრისაგან განთავისუფლებულია ნათესი სივრცის მომეტებული ნაწილი, შემცირებულია დაბეგვრა ხვნაზე, განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან მოხნული ყამირი და ანეული მიწები, — ყოველივე ეს საშუალებას აძლევს გლეხობას დააბანდოს მეტი დამატებითი სახსრები განვითარების გზაზე შემდგარ სოფლის მეურნეობაში.

მაგრამ უმთავრესი ეს არ არის. გადასახადის მრავალრიცხოვანი შეღავათის ხასიათი ისეთია, რომ **თვითეული ასეთი შეღავათი შეიძლება გამოვიყენოთ კულტურული რევოლიუციისათვის სოფლის მეურნეობაში.**

ავიღოთ თუნდაც კანონის ის მუხლი, რომლის თანახმადაც დაბეგვრისაგან სრულიად განთავისუფლებულია წვრილი საცდელი ნაკვეთები (ნახევარ ჰექტარამდე) ახალი კულტურებით ამ დამუშავებული ახალი გაუმჯობესებული წესებით. ეს მუხლი ახალ წამახალისებელ საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ ცდების საქმე განვითარდეს კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკებს შორის, მოწინავე გლეხებს შორის. ამ მუხლის წყალობით სოფლის მეურნეობის ახალი კულტურები, დამუშავების ახალი წესები ძალიან მიყრუებულ სოფლებშიაც კი გავრცელდება.

უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის მეორე მუხლს. ამ მუხლში ნათქვამია, იმ რაიონებში, სადაც დაბეგვრა ნათესების მიხედვით მოხდება, დაბეგვრა 15 პროცენტით შემცირდება ისეთ მეურნეობათათვის, რომლებიც მრავალმინდროვან თესლცვლას მისდევენ. ამგვარად, აგრონომის, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოწინავე გლეხების მუშაობა დიდად ნაყოფიერი იქნება იმ მხრით, რომ სოფელი მატერიალურად დაინტერესდება მრავალმინდროვან სისტემაზე გადასვლის დროს. შემოსავლიანობის გადიდების გარდა, გლეხობა მრავალმინდროვანი სისტემის შემოღების წყალობით დიდ შეღავათებსაც მიიღებს აგრი-კულტურული გაუმჯობესების გამო.

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ხელს უწყობს მარტო მრავალმინდროვნობას კი არა, **არამედ უმარტივეს აგრი-კულტურულ გაუმჯობესებასაც** კი, რომელიც სრულიად ხელმისაწვდომია ჩვეულებრივი ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობისათვის. იმ საადგილმამულო საზოგადოებებში, რომლებიც საქმით განახორციელებენ მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო უმარტივეს ღონისძიებებს, თვითეულ მეურნეობას დადებულ გადასახადზე 10 პროცენტის შეღავათი მიეცემა. იმ სოფლებში, სადაც ამ ღონისძიებებს განახორციელებს არა საერთოდ საადგილ-მამულო საზოგადოება, არამედ ცალკე მეურნეობანი, ასეთ მეურნეობებს დადებულ გადასახადზე 5 პროცენტის შეღავათი მიეცემათ.

იმ მიზნით, რომ გლეხის სამეურნეო ანგარიშ-ვარაუდს სიმკვიდრე ჰქონდეს, იმ მიზნით, რომ მას ხელი შეუწყოთ და წავაქეზოთ შემოსავლიანობის გადიდების საქმეში, საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა: სამი წლის განმავლობაში არ შესცვალოს, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, არ გაადიდოს არც შემოსავლიანობის ნორმები, არც გადასახადის განაკვეთები. გლეხის მეურნეობის გადასახადის გამონგარიშება სამი წლის განმავლობაში მოხდება დესეტინა მიწისა და ნათესის შემოსავლიანობის წლევანდელი ნორმებისა და გადასახადის წლევანდელი განაკვეთების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი მარტო მარცვლეული მეურნეობის წინსვლას არ უწყობს ხელს. დიდი შეღავათები ეძლევა მესაქონლეობასაც. ერბო-კარაქის სამრეწველო რაიონებისათვის ერთი-ორად მცირდება იმ შემოსავლიანობის ნორმები, რომლებსაც ძროხები იძლევიან, ამ რაიონებში ნათესი ბალახების სივრცე იბეგრება სარწყავი სათიბის შემოსავლიანობის ნორმის კვალობაზე.

ურწყავ რაიონებში ნათესი ბალახის სივრცე სამი წლის განმავლობაში დაიბეგრება სათიბის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით. გარდა ამისა, მრავალწლიანი ნათესი ბალახის სივრცე პირველ წელიწადს სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

გადასახადის ახალი კანონის საერთო მიდრეკილების დამახასიათებელ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს გადასახადის განაკვეთის შემცირება რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. კერძოდ, სრულიად განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან ტრიერებისა და დამხარისხებელი მანქანების შემოსავალი, რადგან ეს მანქანები ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის მასიურ გაუმჯობესებას.

თვალსაჩინო შეღავათებია დაწესებული ტეხნიკურ კულტურებზე, რომლებსაც ესოდენ არსებითი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის საერთო განვითარებაში. ბამბისა, სელისა და ჭარხლის ნათესები ერთი-ორად ნაკლებად დაიბეგრება, ვიდრე მარცვლეული კულტურები.

კანონი, რომელიც ხელს უწყობს გლეხს, რომ მან ყოველნაირად გააძლიეროს თავისი მეურნეობა აგრონომიული მეცნიერების საფუძველზე, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა აიკრძალოს საშუალო გლეხობის მეურნეობათა დაბეგვრა ინდივიდუალური წესით, არა ნორმების მიხედვით. მხოლოდ კულაკური მეურნეობანი, სადაც სხვისი შრომის ექსპლოატაცია სწარმოებს, დაიბეგრებიან წინანდელი წესით და შეღავათს არ მიიღებენ გადასახადის გაღებაში. კანონი ასეთ მეურნეობათა რიცხვს სამი პროცენტით განსაზღვრავს, მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობები ცალკე შეიმუშავებენ აშკარა კულაკურ მეურნეობათა დამახასიათებელ ნიშნებს და მათი განსაზღვრის წესს.

ამგვარად, სოფლის მეურნეობაში აგრი-კულტურული რევოლიუციის წინაშე ისახება დამატებითი შესაძლებლობანი.

თვითეულმა გლეხმა უნდა იცოდეს, რომ დამუშავებული სივრცის გაფართოებისათვის გადასახადი არ გადიდდება, ხოლო თვითეულ აგრი-კულტურულ გაუმჯობესებისათვის დიდი შეღავათები იძლევა. საჭიროა გლეხობას დაეხმაროთ თესვის კამპანიის ჩატარებაში და მისი თვითმოქმედება და თაოსნობა მივმართოთ კოოპერატიულ კალაპოტისაკენ.

ა. ლ—ი.

ხვნა გუთნეულით

## კოლმეურნეობათა ამოცანები

დღეს ჩვენ ახალგაზრდა კოლექტიურ მეურნეობათა წინაშე გადასაჭრელად სდგას მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური და ამავე დროს ორგანიზაციული ხასიათის საკითხი: მათ ღირსეულად და სამაგალითოდ უნდა ჩაატარონ საგაზაფხულო თესვის კამპანია. თავისი ფაქტიური არსებობის მეორე წელს მათ უნდა დაანახვონ მშრომელ გლეხობას, რომ განსაზოგადოებულ ძალას და საწარმოო საშუალებებს შეუძლია ყოველი ზღუდეების გადალახვა და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც გაზრდის მოსავლიანობას და ამით გააუმჯობესებს, თვით მშრომელი გლეხობის მდგომარეობას და ამავე დროს განამტკიცებს საბჭოთა ხელმწიფოს.

რას ნიშნავს თესვის კამპანიის ღირსეულად ჩატარება და რა ევალება ამ მხრივ კოლექტიურ მეურნეობებს? მომავალი თესვის კამპანიის უმთავრესი ამოცანაა შეიტანოს სოფლის მეურნეობაში გეგმიანობა, შეიტანოს მასში კულტურა, ტეხნიკა, მანქანები, ამით გაზარდოს მისი მოსავლიანობა და განავითაროს ისეთი ტეხნიკური მეურნეობანი, რომელსაც შეუძლია მისცეს ქალაქის მრეწველობას მეტი ნედლეული გადასამუშავებლად.

კოლექტიური მეურნეობებს, როგორც სოციალისტურს და მთავარ დასაყრდენ ძალას საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისას, ამ ამოცანის შესრულებაში ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა. გარდა იმ სივრცისა, რომელიც დათესილი იქნა შემოდგომაზე, გაზაფხულზე კოლექტიურ მეურნეობებში უნდა დაითესოს 11.175 ჰექტარი ხორბლეულობა და ტეხნიკური კულტურები.

შესძლებენ და შეასრულებენ თუ არა ამას ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი? ცხადია რომ ეს დავალება მათ მიერ შესრულებული იქნება. ჩვენს კოლექტიურ მეურნეობაში აქამდე მუშაობდა 154 ტრაქტორი, ამ დღეებში ისინი მიიღებენ 17 ახალ ტრაქტორს, ასე რომ საგაზაფხულო თესვის დროს მათ განკარგულებაში იქნება 171 ტრაქტ., რომელთაც ორმაგი დატვირთვით თავისუფლად შეუძლიათ დაამუშაონ 15.000 ჰექტარი მიწა. თუ მხედველობაში მივიღებთ კოლმეურნეობათა განკარგულებაში მყოფ მუშა-საქონელს, ცხადი გახდება, რომ გეგმა აუცილებლად უნდა შესრულდეს.

რა არის საჭირო თესვის კამპანიის ჩასატარებლად?

უპირველესად ყოვლისა დაუყოვნებლივ უნდა შეკეთდეს ყველა ტრაქტორები და სხვა მანქანა-იარაღები. ასე რომ თესვის დროს ისინი ყველა მზად უნდა იქნენ სამუშაოდ. ამისათვის ყველა კოლექტივმა ამ საკითხს უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება. ხვნისათვის მზად უნდა იყოს ჩვენი კოლმეურნეობების ყველა მუშა-საქონელი, არამც და არამც ადგილი არ უნდა ექნეს ტრაქტორის და მუშა-საქონლის გაცდენას. თავისი მიწების დამუშავების შემდეგ კოლმეურნეობებმა უნდა დაამუშაონ მახლობელ კოლმეურნეობათა და შემდეგ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას უნდა დაეხმარონ.

ყველა კოლმეურნეობებში მთელი 100 პროცენტით უნდა დაითესოს გაწმენდილი თესლი. ამ მიზნით მაქსიმალურად დატვირთული და გამოყენებული უნდა იქნენ ტრიერის სისტემის მანქანები, რომლებიც უნდა ამუშაონ დღე-ღამის განმავლობაში, სამცვლად. ტრიერები გადატანილი უნდა იქნეს იქ, სადაც გასაწმენდია მარცვლეულობა. ამ დღეებში კოლმეურნეობებს ურიგდებათ კიდევ 50 ახალი ტრიერი, გაწმენდილი უნდა იქნეს ყველა კოლმეურნეობათა სათესლე მასალა და აგრეთვე დახმარება უნდა აღმოეჩინოს მახლობელ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას.

კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ სათესლე ფონდის შექმნის აუცილებლობა, რომ შემდეგში გვქონდეს წმინდა ხარისხის ჯიშიანი თესლი, საჭიროა თავის დროზე სათანადო ღონისძიებების მიღება. ამ მიზნით საგაზაფხულო თესვის დროს კოლმეურნეობები 1.000-მდე ჰექტარის სივრცეზე სთესენ სათესლე სიმინდს იმ ვარაუდით, რომ მომავალში მივიღოთ არა ნაკლები 50.000 ფუთი წმინდა ხარისხის ჯიშიანი სიმინდის თესლი. ასეთივე ზომების მიღება საჭიროა ქერის და სხვა კულტურების თესლის დასამზადებლად.

უნდა გაცხოველდეს აგრონომიული ხელმძღვანელობა საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, განსაკუთრებით კოლექტიური მეურნეობებში. ამ მიზნით საჭიროა სპეციალური საუბრების მოწყობა და ახსნა-განმარტებების მიცემა, როგორც კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე კერძო მეურნეთათვისაც. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის განოყიერებას, მწკრივში თესვას, თესლბრუნვის შემოღებას და სხვ. ამ მუშაობაში ჩაბმულნი უნდა იქნან, როგორც მიწსახკომის, აგრეთვე კოლმეურნცენტრის და სხვა უწყებათა აგრონომიული ძალები. ამავე დროს ჩქარი ტემპით უნდა იწარმოოს კოლმეურნეობათა მიწადმოწყობაც.

უდიდესი მნიშვნელობის საკითხია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სარემონტო სახელოსნოების დროულად მოწყობა, რომ შესაძლებელი იქნეს პირველ რიგში შეკეთდეს ყველა მანქანა-იარაღები, რომელნიც გამოყენებული უნდა იქნენ საგაზაფხულო თესვის დროს, მანქანა-იარაღების შეკეთებაში უპირატესობა უნდა მიეცეთ კოლმეურნეობებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ტრაქტორების წარმატებითი მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოური საწვავი მასალის დროულად მიწოდებას, სამწუხაროდ, გასულ წელს ამ საკითხის მოუგვარებლობამ დიდათ შეგვიშალა ხელი საშემოდგომო თესვის დროს. წელს საჭიროა ეს საკითხი ისე მოგვარდეს, რომ მანქანები არ გაგვიჩერდეს მუშაობის დროს.

არ უნდა იქნეს დავიწყებული სარემონტო სახელოსნოების მანქანებით სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა.

ამასთანავე, ჩვენის აზრით, საჭიროა ზოგ რაიონებში საგაზაფხულო თესვის დროს მოვაწყოთ ტრაქტორების მცირე „კოლონები", იმავე წესით, როგორც ეს ხდება სხვა რესპუბლიკებში. ცხადია ამას არ ექნება ისეთი ფართო ხასიათი, როგორც მაგალითად რუსეთში ან უკრაინაში. მაგრამ 4—6 ტრაქტორისაგან შემდგარი კოლონას საკმაო ეფექტის მოტანა შეუძლია, დამტკიცებულია, რომ ტრაქტორის მუშაობა კოლონაში უფრო ნაყოფიერია. ამ მიზნით ახლობელ კოლმეურნეობებმა თესვის დროს დროებით უნდა შეაერთონ თავიანთი ტრაქტორები და მორიგეობით დაამუშაონ სახნავი მიწები. ასეთი წესის დროს ადვილია მანქანების მოვლაც. საჭიროა ასეთი ცდები ჩატარებული იქნას უმთავრესად ზემო-ქედის რაიონში, ოსიაურში, სამთავისში და სხვა კუთხეებში, სადაც საკმაოდ თავმოყრილია ტრაქტორები.

საგაზაფხულო თესვის დროს კოლმეურნეობებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ და შემდეგ ცხოვრებაში გაატარონ კონტრაქტაციის საკითხი. ეს შეეხება როგორც ხორბლეულს, აგრეთვე სხვა ტეხნიკური კულტურებსაც, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ბამბა, კენაფი; შაქრის ჭარხალი და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებით და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით, კომუნისტური ლენინური პარტიის წითელი დროშით ხელში, ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საგაზაფხულო თესვაში და ამით სათავეში ჩაუდგებიან ჩვენი მეურნეობის აღდგენისა, მოსავლიანობის გადიდების და მისი სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს.

ვლ. ცაგარელი.

## მდგომარეობა ადგილებზე

### სამი თემის მიწები დაუთესავი რჩება

### (წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

ამჟამად გაცხოველებული კამპანია სწარმოებს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად. რას ვხედავთ ჩვენ ამ დროს ზუგდიდის მაზრის ცაიშის თემში? აქ არის მდინარე ჯუმი, რომელმაც ძალიან ხშირად იცის ადიდება. ამიტომ ცაიშის გოგირდის აბანოებთან მდინარე ჯუმს ჰქონდა საგანგებოთ გაკეთებული ორი დიდი კალაპოტი—ტოტი, რომელშიაც ზედმეტი წყალი პოულობდა გასავალს. ერთი ტოტი გადიოდა იმ მხარეს, სადაც მხოლოდ დიდი ტყეებია. მართალია ადიდების დროს მდინარე ტყეებს წყალით ფარავდა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ წყალი შრებოდა. ჯუმის მეორე შტო მიდიოდა იმ მხარეს, სადაც არის სამი თემის (ცაიშის, დარჩელის და ანაკლიასი) კარგი ხარისხის საყანე მიწები. იმ ადგილას, სადაც წინად მდინარეს ორი გასავალი ტოტი ქონდა, ეხლა არის შავი ზღვის რკინის გზის ხაზი.

შავი ზღვის რკინის გზის სამშენებლო სამმართველომ 1928 წელს ის კალაპოტი, სადაც ადიდებული მდინარე ჯუმის ზედმეტი წყალი გადიოდა ტყეებისაკენ, სულ დააუქმა, მეორე კალაპოტზე კი გააკეთა რკინის ხიდი. ამჟამად არის მხოლოდ ერთი ტოტი, რომელიც გადის იმ ადგილებში, სადაც სახნავ-სათესი მიწებია. მაგრამ უბედურება ისაა, რომ, როცა მდინარე ჯუმი ადიდდება, მოზღვავებულ წყალს მიაქვს ყველაფერი.

ბევრი მოსახლე ამ საყანე მიდამოებიდან იძულებული გახდა გადასახლებულიყო უშიშარ ადგილას.

წელს გლეხებს არა აქვთ განზრახვა ეს მიწები დაამუშაონ, რადგან შარშან დიდი ზარალი ნახეს. ეს გარემოება დიდ და კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. რომ ვიხსნად საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები წყალის სტიქიიდან, უეჭველად და აუცილებლად საჭიროა გაიხსნას მეორე, ე. ი. ძველი ტოტი, რომელიც აბობოქრებულ მდინარე ჯუმს მისცემს გასავალს ტყეებისაკენ. გლეხები მზად არიან არაკვალიფიციური სამუშაო უსასყიდლოდ შეასრულონ. რკინის გზას ტოტის გახსნა დაუჯდება 2-3 ათას მანეთამდე.

მეორე ტოტის გაუკეთებლობა რამოდენიმე ათი-ათას მანეთ ზარალს აძლევს სოფელს. დრო არ ითმენს, დაჩქარებით უნდა იქნეს გამორკვეული და მოგვარებული ზემოაღნიშნული საკითხი. ეს ისეთი დაუდევრობაა, რომელიც დანაშაულობას უდრის.

კ. ხომერიკი.

## მზადება გორის მაზრაში

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა კომისიამ 12 თებერვალს, თავის სხდომის დადგენილების თანახმად, დაუგზავნა ადგილებს ცირკულიარები, და გამოჰყო ქვე-კომისიები. თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარების მიზნით, მაზრის კომისიამ გადასწყვიტა მოიწვიოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, რაი-აგრონომების, საკრედიტო ამხანაგობების თავმჯდომარეების, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების აგრონომების, თემ-საბჭოების თავმჯდომარეების და მამულების გამგეების თათბირი.

სამაზრო კომისიას საჭიროდ მიაჩნია მუშა-საქონლის შესაძენათ მოცემული 26,600 მან. არ იქნას დარიგებული ფულად. ამიტომ კომისიამ გამოჰყო ამხანაგები, რომლებიც გაემგზავრებიან აზერბეიჯანში საქონლის შესაძენათ.

კომისიამ გადასწყვიტა სოფლებში ჩამოყალიბებულ იქნას სამეულები, რომელთაც დაევალებათ უხარო გლეხების, თესლის არმქონე გლეხების და დაუთესავი მიწების აღრიცხვა.

სამაზრო კომისიამ გადასწყვიტა საბჭოების საორგანიზაციო სხდომებზე თემებში დასმული იქნეს მოხსენებები მოსავლიანობის გადიდების და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების მნიშვნელობაზე, რისთვისაც გამოყოფილი არიან მომხსენებლები. აგრეთვე სამაზრო კომისიამ თავის წევრები მიამაგრა სხვადასხვა რაიონებზე, რომლებსაც ევალებათ თვალყური ადევნონ და უხელმძღვანელონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებას.

სამაზრო საგაზაფხულო თესვის ჩამტარებელ კომისიას აქვს სამოქმედო გეგმა, გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მაზრაში ნათესების ფართობის გადიდება 7 პროც. და მოსავლის გადიდება 3—5 პროც.-მდე. თემის სოფლებში ყველა საარჩევნო უბნებს შეტანილი აქვთ განაწესში წინადადება, რომ ახალი საბჭოს წევრებმა ხელი შეუწყონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებას.

ლ. გოგოლაძე.

## დააჩქარეთ პურის თესლის მიწოდება

### (რაჭა)

გაზეთ „კომუნისტი"-ს 8 თებერვლის ნომერში მოთავსებულია ცნობა მაზრებს შორის სათესლე მასალის განაწილების შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმის მაზრისათვის გადადებულია 14 ვაგონი სიმინდი.

რაჭა-ლეჩხუმისათვის სათესლე სიმინდის ამ რაოდენობით გადადება, უთუოდ დიდი დახმარება იქნება. წელს ჩვენს მაზრაში მეტად ცუდი მოსავალი იყო. უფრო ცუდათ არის პურის მოსავლის საქმე. ამ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ ყოფილა პურის მოსავალი. წარსულ შემოდგომაზე ბევრ მოსახლეს დათესილი პურის რაოდენობიდან თესლი არც კი აუღია. ზედიზედ წამხდარმა პურის მოუსავლობამ გამოიწვია ის, რომ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შემოდგომის დასათესი ყანები დაუთესავი დარჩათ. სათესლე პურის უქონლობის გამო. ხშირად შეხვდებით ანეულად დახნულ მიდამოს, რომელზედაც შემოდგომის პირზე უნდა დათესილიყო პური, მაგრამ მოხნული ყანები უქმად არის დარჩენილი.

ეხლავე უნდა იქნეს მიღებული ყოველივე ღონე, რომ გლეხობას მიეცეს დასათესი პურის მარცვლეული. ეს უნდა მოხდეს დროზე, რომ მოესწროს გაზაფხულის თესვის კამპანია. უნდა მივიღოთ მხედველობაში ჩვენი ტრანსპორტის სიძნელე და მისი მოუწესრიგებლობა (ქუთაისიდან ონამდე თითქმის ერთი კვირა უნდება, ეხლა გადმოტვირთვა, აწონა და სხვა) რაც დიდ დროს წაიღებს. ყოველივე ეს აქედანვე უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ არ დარჩეს დაუთესავი არც ერთი ყანა.

ა. ზაბ—ძე.

## შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრაში დაარსებულია საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელი კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით. გეგმიანი მუშაობის ჩასატარებლად ხსენებულმა კომისია 18 თებერვლისათვის იწვევს აგრონომიულ თათბირს სარაიონო აგრონომების, გლეხთა ახალგაზრდობის, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, საცდელ სადგურის და სახალხო მამულების აგრონომების, სას.-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლების, გლეხკომების და კოლექტიურ მეურნეობების.

სამაზრო კომისიამ აგრეთვე თემებში ჩამოაყალიბა სათემო კომისიები და დაუგზავნა მათ სათანადო სამოქმედო ცირკულიარები.

სამაზრო აღმასკომის მანქანა-იარაღების შემკეთებელმა სახელოსნომ სავსებით შეაკეთა და მზად არის მაზრაში არსებული მანქანა-იარაღები. სამაზრო კომისიამ მიიღო და განაწილა თემებს შორის 22 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი, 8 ათ. ფ. თივა, 4 ათ. ფუთი ბზე და 35.000 მანეთი მუშა-საქონლის შესაძენათ.

მაზრის აგრონომი ვ. ჯაფარიძე.

## ოზურგეთის მაზრაში

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა ოზურგეთის სამაზრო კომისიამ თემებს შორის გაანაწილა 17 ვაგონი სათესლე სიმინდი. დიდი-ჯუნის, საჭამიასერის, ხიდისთავის და ნაგომარის თემებს მიეცა ორ-ორი ათასი ფუთი სიმინდი, ჩოხატაურის თემს მიეცა—5.000 ფუთი და ოზურგეთისას—4.000 ფ.

მუშა-საქონლის შესაძენად მაზრაში განაწილებულია 30.000 მანეთი, აქედან თითო ათასი მანეთი მიეცა—ბახვის, შემოქმედის, დვაბზუს და საჭამიასერის საკრედიტო ამხანაგობებს. ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობას—5.000 მანეთი, ხიდისთავისას—2 ათასი მანეთი, ჩოხატაურისას—3.000 მანეთი, სუფსის საკრედიტო ამხანაგობას—4.500 მანეთი, ლანჩხუთისას — 5.000 მანეთი, აცანისას—500 მანეთი, ერკეთის საკრედიტო ამხანაგობას—500 მან. და მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობას—2.000 მანეთი.

გარდა ამისა თემებს შორის განაწილებულია 9.000 ფუთი თივა.

მომავალი საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს ნათესების საერთო სივრცე მთელ მაზრაში უნდა გაიზარდოს 10 პროცენტით.

პურის ლეწვა ტრაქტორის საშუალებით

## თესვის კამპანია და ფიზკულტურის ორგანიზაციები

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის საბჭომ ფიზკულტურის ორგანიზაციებისადმი გამოუშვა მოწოდება, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ამის გამო ფიზკულტურის წრეები ვალდებული არიან გამოიჩინონ სათანადო ინიციატივა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ტრაქტორების კოლონები, თესლის გამწმენდი მანქანების, ფიზკულტურის, საზეფო ბრიგადების დემონსტრაცია, აგროპროპაგანდა, რადიო და სხვ. ყველა ამ საქმის ორგანიზაციაში ფიზკულტუროსნებმა უნდა მიიღონ აქტიური და პრაქტიკული მონაწილეობა.

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭო საჭიროდ სთვლის ფიზკულტურის წრეების მონაწილეობას კომკავშირის მიერ მოწყობილ „ლაშქრობაში მოსავლიანობის გასადიდებლად".

ყველა ფიზკულტუროსნებმა უნდა დასახონ კონკრეტული ღონისძიებები თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ფიზკულტუროსნები უნდა დაეხმარონ სახ.-სამ. ორგა- [illegible] ბის ჩატარებაში და სხვ. მათვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში, ამ მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში. მიმდინარე კამპანიაში ფიზკულტურის ორგანიზაციები მოვალე არიან დაეხმარონ პარტიას და ხელისუფლებას სასოფლო მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმების გავრცელებაში, რისთვისაც მათ ხელი უნდა შეუწყონ მოჯამაგირეების ღარიბი და საშ. გლეხების კოლექტივებში გაერთიანებას. ფიზკულტუროსნები უნდა დაეხმარონ კომკავშირის უჯრედებს, როდესაც ისინი ღარიბ მეურნეობათა და წითელ არმიელთა ოჯახების მიწის ნაკვეთების დამუშავების საქმეს შეუდგებიან.

ფიზკულტურის საბჭო უმჯობესად სცნობს, რომ ფიზკულტურის ორგანიზაციებმა ქვემდგომ ორგანიზაციებს მისცენ სპეციალური ამოცანები და დაკვეთები ამა თუ იმ ღონისძიების გასატარებლად.

ფიზკულტურის საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე, თუ მიწის გაუმჯობესებული განოყიერების საიგიტაციოდ მოაწყობენ ფიზკულტუროსანთა გადარბენებს, მოძრავ მიტინგებს და სხვ. ფიზკულტურის ორგანიზაციების მონაწილეობა თესვის კამპანიაში — მათი უნარიანობისა და სარგებლობის საუკე- [illegible]

## სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების განაწილება

[illegible]

**საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ 22 თებერვალს საღამოს 6 საათზე, რუსთაველის [illegible]**

**საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო კრება**

[illegible]

**კრებაზე მოხსენებას გააკეთებს [illegible] ამხ. მიხა ცხაკაია**

# საბჭოთა არჩევნები

## თბილისში

### რკ. გზის საფაბრიკო საქარხნო სკოლაში

რკინის გზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მსმენელთა საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 98 პროცენტი, გულდასმით განიხილა თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი და თავის მხრივ დაუმატა შემდეგი:

ლენინის უბანში დაკეტილი იქნეს კერძო სავაჭროები, გაძლიერებული იქნეს მილიციის საგუშაგოები განაპირა უბნებში. დაჩქარებით აიგოს თეატრი ლენინის უბანში, აგებული იქნეს სასპორტო სტადიონი და სხვა. ასეთი დამატებებით კრებამ განაწესი ერთხმად მიიღო.

თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ ერთხმად აირჩია: ამხ. შანცილო და პუზაჩიევი, კანდიდატად ამხ. შარაშენიძე.

საბჭოს საპატიო წევრებათ კრებამ მქუხარე ტაშით აირჩია: ამხ. სტალინი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი და მ. კახიანი.

### განათლების მუშაკთა შორის

„26“ კომუნარის რაიონში შესდგა განათლების მუშაკთა პირველი პუნქტის ადგილკომში შემავალ წევრთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 587 ამომრჩეველი, აქედან 400 ქალი. კრებამ თავის მხრივ თბილისის საბჭოს განაწესს დაუმატა შემდეგი: გადიდებულ იქნეს ტრამვაის ვაგონების რიცხვი ხარფუხ-ავლაბრის მიმართულებით, თბილისის საბჭომ დააჩქაროს ავლაბრის მუშათა თეატრის აშენების საქმე, მოიკირწყლოს განაპირა უბნების ქუჩები, გაუმჯობესდეს განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა მატერიალური მდგომარეობა, შეკეთდეს სკოლის შენობები, თბილისის საბჭოს დეპუტატებმა სამ თვეში ერთხელ ჩააბარონ ანგარიში თავის ამომრჩევლებს და სხვ. განაწესის მიღების შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: არუთინოვი, აგაევა-აგასი და ჯაფარიძე. კანდიდატად არჩეულია ამხანაგი ადამიანი და ჩიხარევა.

### მოწაფეთა კრებაზე

ამ დღეებში, შესდგა თბილისის ჰიდრო-ტექნიკუმის, მე-4 შრომის სკოლის, მე-4 პროფ-სკოლის და მე-47 შრომის სკოლის მოსწავლეთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 432 ამომრჩეველი, აქედან 80 ქალი. თბილისის საბჭოს განაწესს კრებამ თავის მხრივ დაუმატა შემდეგი: გადასინჯულ იქნას სკოლის პედაგოგთა შემადგენლობა, აღმოიფხვრას პროტექციონიზმი განათლების დარგში, მოისპოს სტიპენდიები არა საბჭოთა ელემენტებს. შეძენილ იქნას ტექნიკუმების ლაბორატორიებისათვის საჭირო მოწყობილობანი, თბილისის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესაფერი სახელმძღვანელო წიგნების თავის დროზე გამოცემას, მეტი ყურადღება მიექცეს სანიტარულ სისუფთავის დაცვას სკოლებში, დაავადმყოფებული მოსწავლეები დაიგზავნონ კურორტებზე. მეტი ყურადღება მიექცეს სკოლებში ფიზიკურ-აღმზრდელობითი საქმის გაუმჯობესებას და სხვ. განაწესის დამატებებით მიღების შემდეგ მოწაფეთა კრებამ თბილისის საბჭოში ერთხმად აირჩია ამხ. კიპრიზოვი და იოსებ ქურდაძე. საბჭოს კანდიდატად არჩეულია ამხ. კაჭკაშვილი.

### ხელოვნების მუშაკთა შორის

ამ დღეებში შესდგა სახ. თურქული დრამის და მედუდუკეების საარჩევნო კრება „26“ კომუნარის რაიონში, რომელსაც დაესწრო 200 ამომრჩეველი, აქედან 50 ქალი. განაწესის დამატებებით მიღების შემდეგ კრებამ დეპუტატებათ თბილისის საბჭოში აირჩია ამხ. ზასან-საბრი, რევია, და ასლან სულეიმანოვი.

### ავირჩიეთ ჩვენი დეპუტატები

„26“ კომუნარის რაიონში 18 თებერვალს შესდგა შინამრეწველთა საკრედიტო ამხანაგობის წევრების და ურთიერთ დამხმარე სალაროს თანამშრომელთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 1354 ამომრჩეველი, აქედან 296 ქალი. კრებაზე წაკითხული იქნა განაწესი თბილისის ახლად ასარჩევ საბჭოსათვის. კრებაზე დამსწრე ამომრჩევლებმა, დიდ აქტიობას იჩენდნენ, როგორც განაწესის განხილვაში, ისე საბჭოს დეპუტ. არჩევნებში. განაწესის დამტკიცების შემდეგ მცირე დამატებებით, კრებამ თბ. საბჭოში დეპუტატებათ აირჩია შემდეგი ამხ.: თარხანოვი ზიბო. ნუცუბიძე ლადო. ქრისტესია სოფიანიდი. ევდოკია ტულუში, გრიგორი ზაზიროვი და რეზნიკი ლევანი. საბჭოს კანდიდატებათ არჩეულნი არიან ამხ. ქვანტალიანი ივანე. ჩარკვიანი ვარლამი და ხაჩატუროვი ვართანი.

### ქალაქის მტვირთავებში

ქალაქის რაიონის მტვირთავთა საერთო კრებამ განაწესის განხილვისა და მის მიღების შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ აირჩია: ამხ. ლევან მანუკოვი. გიორგი ზადალოვი და სერგო მაისურაძე, კანდიდატათ: მელიტონ ჩიქვილაძე.

### ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სალითონო საამქროს მუშებმა ერთი საათით ადრე გაუშვეს სამუშაოს ხელი და თავი მოიყარეს საამქროს შუაგულ ადგილას. პირველად მათ განიხილეს თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი და რამოდენიმე დამატებით მიიღეს იგი ერთხმად.

ამის შემდეგ კრება შეუდგა საბჭოს დეპუტატების არჩევას. საბჭოს წევრებათ არჩეულები იქნენ შემდეგი ამხანაგები: უარამან სალხიევი, ქ. გიორგობიანი, ნიკო მეზვრიშვილი, ვალიკო გოგოლაძე, სიმონ ვაჩეიშვილი და ნიკო ძადაგაშვილი. კანდიდატად ამხ. პაპოვი.

### სალიანდაგო დარგში

რკინის გზის მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა მთელი ასი პროცენტი. კრებაზე პირველად წაკითხული იქნა თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი, რომელსაც კრებამ თავის მხრივ მრავალი მუხლები და მოთხოვნილებები დაუმატა.

განაწესის მიღების შემდეგ კრება შეუდგა საბჭოს დეპუტატების არჩევნებს, არჩეულები იქნენ: ამხ. ჩიხლაძე (მუშა), თუშურაშვილი (მუშა), პრუსეცკი (მუშა), ფედოტოვი (მუშა), მანჯგალაძე, დიანოზოვი და გუაჩიძე. კანდიდატებათ: ამხ. ლალიაშვილი და ოდიშვილი.

სილვა.

### სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ მედიკურ-ტექნიკუმის მსმენელთა საარჩევნო კრებამ განიხილა თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი და ზოგიერთი დამატებებით მიიღო იგი ერთხმად.

ამის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს წევრებად აირჩია: ამხ. გ. ჯავახიძე, ნინა მეგრელაძე და ანა ნარიმანოვა. კანდიდატად ამხ. მიშა კერესელიძე. საბჭოს საპატიო წევრებად კრებამ ერთხმად აირჩია: ამხ. აბელ ენუქიძე, მიხა კახიანი და ფილიპე მახარაძე.

### თბილის უმაღლესი ტიპის სკოლაში

ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თბილისის უმაღლესი ტიპის სკოლის მსმენელთა კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 98 პროცენტი. კრებამ განიხილა თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესი და ზოგიერთი დამატებებით მიიღო იგი ერთხმად.

თბილისის საბჭოს წევრებათ კრებამ აირჩია: ამხ. ზ. ალლაძე და შიშინაძე. კანდიდატათ ამხ. პავლოვსკი.

საბჭოს საპატიო წევრებათ კრებამ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ვოროშილოვი, მიხა ცხაკაია, ლ. კანდელაკი და მ. კახიანი.

### გემო-კვების მუშაკებში

სურსათ [illegible] კავშირის მეოთხე ჯგუფკომის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროცენტი, საბჭოს დეპუტატებათ აირჩია: ამხ. ჯოხაძე და გეურქიანი. კრებამ დაავალა არჩეულ დეპუტატებს, რათა მათ მტკიცედ დაიცვან და გაატარონ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხაზი და სავსებით შეასრულონ ამომრჩევლების მიერ მიცემული განაწესი.

* * *

გემოკვების უმუშევარ მუშაკთა საერთო კრებამ, რომელსაც 700 კაცამდე დაესწრო, თბილისის კომიტეტის განაწესში შეიტანა მთელი რიგი დამატებებისა. კრებამ სამაგალითო აქტიობა გამოიჩინა თბილისის საბჭოში გასაგზავნ დეპუტატების შერჩევის დროს. კენჭისყრის შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ გავიდნენ შემდეგი ამხანაგები: ნაპოლეონ ჩუტულაშვილი, სურენ ვართანოვი, სპირიდონ გურული და აბგარ ნაუმოვი. კანდიდატათ: მარიამ მიხაილოვა.

მე-18 ჯგუფკომში გაერთიანებულმა გემოკვების მუშაკებმა თბილისის საბჭოში დეპუტატებათ აირჩიეს ამხ. ი. შახპარონოვი და ი. პარასტატიდი. კანდიდატათ ამხ. მამულაშვილი.

### მეხანძრეთა რაზმში

თბილისის წითელ დროშოვან ხანძართა რაზმის თანამშრომელთა საარჩევნო კრებამ თბილისის საბჭოსათვის მისაცემი განაწესის განხილვისა და მიღების შემდეგ საბჭოს წევრებათ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ალექს. ბერიძე. ვ. ზარამიძე, ივ. ამილოვი და რუბენ პოლოსოვი კანდიდატებათ: ამხ. ვ. მესხი, შ. სართანია

## არჩევნები ადგილებზე

### კახეთის მაზრაში

#### საარჩევნო დემონსტრაცია თელავში

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

თელავი, 20 თებერვალი. 19 თებერვალს პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების, შინამრეწველთა, მოჯამაგირეების; ღარიბ გლეხობის და ქალთა მონაწილეობით მოეწყო ფართე დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 8000-მდე კაცი. ქალაქის მნიშვნელოვან უბნებში და ქარხნის მუშებში მოეწყო მიტინგები. დემონსტრაციას ამშვენებდა სკოლების მიერ მოწყობილი კარნავალი. მოუხედავად ცუდი ამინდებისა, დემონსტრაცია დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. საღამოს ყველა კლუბებში მოეწყო უფასო საგიტაციო საღამოები. რადიო-სტუდიის მიერ სპეციალურად თელავისთვის გადმოცემული იქნა მოხსენება.

თემკომის მდივანი ლუარსაბოვი.

### ქუთაისის მაზრაში

#### ხელოვნების მუშაკთა კავშირში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 20 თებერვალი. 18 თებერვალს ქალაქის თეატრში შესდგა ხელოვნების მუშაკთა კავშირის საქალაქო საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 97 პროცენტი, ეს პირველი მაგალითია ქუთაისის ცხოვრებაში, როცა ხელოვნების კავშირის [illegible] უშუალოდ ირჩევს თავის დეპუტატებს საბჭოში, ამიტომ კრება დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. ქალაქის საბჭოში აირჩიეს კავშირის თავმჯდომარე—მწერალი დია ჩიანელი და რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

განაწესის განხილვის დროს კრებამ გამოიჩინა დიდი აქტივობა და დაუმატა თავიანთი წინადადებანი: აშენდეს ახალი თეატრი, ან ძველი იქნას გაფართოვებული, მაქსიმალურად ჩაბმულ იქნას მსახიობები საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაარსდეს მუშურ ახალგაზრდობის თეატრი და სხ.

ს. მესხი.

#### არჩევნები ქუთაისში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 20 თებერვალი. ქუთაისში არჩევნები დიდი აღფრთოვანებით და აქტიობით მიმდინარეობს. სახკვების კავშირში ამომრჩევლთა რიცხვი უდრიდა 301, კრებას დაესწრო 292, (97 პროცენტი), აღმშენებელთა კავშირში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1305, კრებას დაესწრო 1258 (96 პროცენტი), აღმშენებელთა კავშირში საბჭოში არჩეულია რიონჰესის სამუშევრების სამმართველოს გამგე მიქელაძე. წყალსადენის სამმართველოს გამგე—თუმანოვი, ამხ. ასათიანი (მუშა), გედენიძე (მუშა), ბახტაძე (კავშირის თავმჯდომარე). კუჭავა (ზეინკალი), შორჩხიძე (ზეინკალი); ლოგუანიძე (ზეინკალი).

ს. მესხი.

### კლასობრივი ბრძოლა ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის სამაზრო-საარჩევნო კომისია მოხსენებით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

— საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს მთელ მაზრაში, საგრძნობი ხდება კლასიური ბრძოლის გამწვავება. მთელ რიგ თემებში ადგილი აქვს კულაკური ელემენტების აქტიურ გამოსვლებს.

გარდა საკრაულას თემში მომხდარი შემთხვევისა, როდესაც კულაკმა ივანე კიკნაველიძემ სცემა ღარიბ გლეხს კ. ლეჟავას და შემდეგ ხანჯლით დასჭრა უკანასკნელის ოჯახის სამი წევრი—მაზრაში ადგილი ჰქონდა კულაკური ელემენტების შემდეგ გამოსვლებს: ს. ფარცხანაყანევში ასისთავი ერასტი თევდორაძე, როელიც კულაკური ოჯახის წევრია დადიოდა სოფლად და ავრცელებდა ხმებს, რომ მოწვეული საარჩევნო კრება არ შესდგება და ნურავინ გამოცხადდებითო, კომკავშირის წარმომადგენლებმა კულაკ ერ. თევდორაძეს გაუგეს განზრახვა, რომ მას სურდა ჩაეშალა საარჩევნო კრება და მიღებული ზომებით საარჩევნო კრება მაინც დიდი წარმატებით ჩატარდა.

საკრაულას თემში მუშაობა დაიწყო კულაკების ერთმა ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ კულაკი ათანასე გუმბერიძე, გრიგოლ გუმბერიძე, პარმენ კიკნაველიძე და გრიგოლ კოხიძე აღნიშნული ჯგუფის წევრები ღამით დადიოდნენ სოფელში და ადგენდნენ რაღაც სიებს. საარჩევნო კრების დროს მათ უნდოდათ საბჭოში გაეყვანათ თავიანთი დამქაშები. მაგრამ ღარიბი გლეხობის შეკავშირებული გამოსვლებით კულაკების ასეთი ცდა დამარცხებით დასრულდა.

კულაკური ელემენტების ანტისაბჭოთა გამოსვლებთან ბრძოლაში დიდ აქტიობას იჩენს კომკავშირი. ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე კომკავშირმა გასწმინდა თავის რიგები კულაკების და ვაჭრების შვილებისაგან. სულ მთელ მაზრაში კომკავშირმა თავის რიგებიდან გარიცხა 125 ვაჭრის, კულაკის და საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეულთა შვილები.

### ოზურგეთის მაზრაში

#### ერკეთის თემი

ერკეთის თემში არჩევნები დამთავრდა 9 თებერვალს, ძალიან ცუდი ამინდის გამო, ამომრჩეველთა დასწრება უდრის 50 პროც. საბჭოში არჩეულია 30 წევრი და 9 კანდიდატი მათ შორის კომუნისტი 17, კომკავშირელი 8, უპარტიო 18, ქალები 2, ღარიბი გლეხობა 17.

საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ი. რამიშვილი.

ია კობიძე.

### შორაპნის მაზრაში

#### ზესტაფონის საბჭოს საპატიო წევრები

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ზესტაფონი, 19 თებერვალი. 18 თებერვალს ტევრის უბნის ამომრჩევლებმა ზესტაფონის თემსაბჭოს საპატიო წევრებად აირჩია გერმანიის კომპარტ. მდივანი ამხ. ტელმანი, საფრანგეთის კომპარტიის მდივანი ამხ. კაშენი, ანდრე მარტი, სტალინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, ნაზარეტიანი. ალამალიოღლი, ფ. მახარაძე, მ. კახიანი, შ. ელიავა, და ლოლობერიძე.

კრების პრეზიდიუმი.

#### არჩევნები ჭიათურაში

(გადმოცემულია ტელეფონით)

16 თებერვალს ჩატარდა პერევისის მაღაროს მუშათა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 466 ამომრჩეველი, რაც უდრის 87 პროცენტს. საბჭოში არჩეულია 23 მუშა. საბჭოს ძველი წევრებიდან ხელახლა არჩეულთა რაოდენობა უდრის 30 პროცენტს.

19 თებერვალს არჩევნები ჩატარდა შუქრუთის მაღაროებში. კრებას დაესწრო 188 მუშა, რაც ამომრჩეველთა 92 პროცენტს უდრის. საბჭოში არჩეულია 8 დეპუტატი, მათ შორის 2 მოსამსახურე. ძველი შემადგენლობიდან არჩეულია 1 დეპუტატი. იმავე დღეს საარჩევნო კრება ჩატარდა საბჭოთა მოსამსახურეებსა და შეუკავშირებელ მოსახლეობას შორის

კ. ღვალაძე.

### ზუგდიდის მაზრაში

#### საჯიჯაოს თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ხორში, 20 თებერვალი. საჯიჯაოს თემის ახალი შემადგენლობის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია აქტიური გლეხი ქალი ამხ. პარასკევა თოდუა.

თემსაბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. შელია.

### არჩევნები ფოთში

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ფოთი. 20 თებერვალი. 19 თებერვალს ცენტრის მეორე უბნის საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროც., წინასწარ შერჩეული კანდიდატები კრებამ ერთხმად აირჩია საბჭოში.

შ. კუხალეიშვილი.

# როგორ იზრდება თბილისის მოსახლეობა

თბილისის მოსახლეობა 1922 წლიდან განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება. მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპი უმთავრესად დაკავშირებულია ეკონომიური ცხოვრების განვითარებასთან.

მეფის დროს 1897—1917 წ.წ. საშუალო წლიური ზრდა თბილისისა არ აღემატებოდა 1,8%.

თუ შევადარებთ 1917 და 1922 წ.წ. აღწერებს, დავინახავთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა კი არ იზრდებოდა, არამედ კლებულობდა. ეს პერიოდი არის უმთავრესად მენშევიკური მთავრობის ბატონობის ხანა და ნაწილობრივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი პერიოდი. მენშევიკური მთავრობის დროს ადგილი ქონდა ეკონომიური ცხოვრების მეტად დაქვეითებას, გამუდმებულ ომებს მეზობელ რესპუბლიკებთან, თბილისიდან უცხო ეროვნებათა გახიზვნას, გაქცევას მენშევიკური მთავრობისგან ხელოვნურად შექმნილ შოვინიზმის ნიადაგზე და სხვა.

1922—1926 წ.წ. განმავლობაში სურათი სრულებით იცვლება. ამ დროს განმავლობაში ჩვენ გვაქვს თბილისის ზრდა საშუალოდ 4,8% ყოველ წლიურად.

უნდა ვიგულისხმოთ. რომ თბილისის ხელახალი ზრდა დაიწყო არა 1922 წლიდან, არამედ 1921 წლიდან, მაგრამ, ვინაიდან აღწერა მხოლოდ 1922 წელს მოხდა, ამიტომ არაა საშუალება აღვადგინოთ 1921 წლის მოსახლეობის რაოდენობა.

დროიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა იწყება კომუნალური მეურნეობის [illegible], რაც სრულიად დანგრეული და მოშლილი დახვდა საბჭოთა ხელისუფლებას, იწყება გაცხოველებული მუშაობა კატასტროფის გზაზე დამდგარ მეურნეობის აღსადგენად, ცხოვრება დგება ნორმალურ კალაპოტში, ისპობა ნაციონალური შუღლი, ნიადაგი ესპობა ზოოლოგიურ შოვინიზმს. ყოველივე ამას თან მოყვა მოსახლეობის ზრდაც.

1897 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობა უდრიდა 159.590 სულს. 1922 წელს თბილისის მოსახლეობა უდრის 233.958-ს, ხოლო 1926 წელს—294.044-ს.

ეს ცნობები მაჩვენებელია, სხვათა შორის, საქართველოს ურბანიზაციისაც. ეს სჩანს შემდეგიდანაც. მთელს საქართველოში 1922 წლის აღწერით ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 502.268 სულს. 1926 წლის აღწერამ კი მოგვცა ქალაქის მოსახლეობა 579.428 ე. ი. ამ დროს განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა გაზრდილა 15,4%-თ.

რასაკვირველია, ეს არის მეტად დიდი პროცენტი ურბანიზაციისთვის.

ასეთი დიდი ტემპი ზრდისა მუდამ არ გვექნება. თუ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისი მეტისმეტი სისწრაფით იზრდებოდა, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქალაქი ინაზღაურებდა დანაკლისს, ადგილი ქონდა კომპენსაციას. ზოგიერთ სპეციალისტთა გამოანგარიშებით, 25 წლის განმავლობაში (დაწყებული 1926 წლიდან) თბილისის საშუალო წლიური ზრდა იქნება 2,7%. რასაკვირველია ჯერ კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში პროცენტი ზრდისა გვექნება გაცილებით მეტი, ვიდრე 2,7. ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგურის ამუშავება, მაუდის ქარხანა, მრეწველობის განვითარება ელექტროფიკაციის ნიადაგზე მძლავრ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ზრდაზე როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მხრით.

მოსახლეობის ზრდის ტემპის სწორ აღრიცხვას, მისი რაოდენობის სისწორეს და გამოანგარიშებას პერსპექტიულ გეგმებში დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თბილისის საბჭომ, ვინაიდან მთელი რიგი აღმშენებლობისა მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ არა ერთი და ორი წლის, არამედ ათეულ წლების და შეიძლება მეტის, განმავლობაში.

ზაჰესი, ახალი წყალსადენი, საბინაო აღმშენებლობა, ტრამვაის ხაზის სიდიდე, ქალაქის გაფართოების საკითხი, ყველა ეს საკითხები მჭიდროთაა დაკავშირებული მოსახლეობის რაოდენობასთან, მისი ზრდის ტემპთან.

1929 წლის 1-ლ იანვრისთვის თბილისის მოსახლეობის რიცხვი გამოანგარიშებულია 312.3 ათას კაცამდე. წლიური საშუალო ზრდა 1926 წლიდან ვარაუდით მიღებულია არსებული მოსახლეობის მიხედვით 3%.

მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ინტერესს არ იქნება მოკლებული გამოვარკვიოთ თუ როგორ იცვლება თვით მოსახლეობის შემადგენლობა.

| ეროვნება | 1897 წ. | | 1922 წ. | | 1926 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აბს. რიცხ. | პროც. | აბს. რიც. | პრ. | აბს. რიც. | პრ. |
| ქართველები | 42.205 | 26,4 | 80.684 | 34,6 | 112.206 | 38,2 |
| სომხები | 47.133 | 29,5 | 85.309 | 36,5 | 100.148 | 34,1 |
| რუსები | 47.599 | 29,8 | 38.612 | 16,5 | 47.843 | 16,3 |
| ებრაელები | 2.935 | 1,8 | 8.768 | 3,7 | 8.962 | 3,1 |
| გერმანელები | 2.092 | 1,8 | 2.457 | 1,0 | 3.156 | 1,1 |
| ბერძნები | 1.238 | 0,8 | 1.257 | 0,5 | 1.402 | 0,5 |
| დანარჩენნი | 15.578 | 9,9 | 16.871 | 7,2 | 20.533 | 6,7 |
| სულ | 159.590 | 100 | 233.958 | 100 | 294.044 | 100 |

ასეთია თბილისის მოსახლეობის უკანასკნელი სურათი, რაც იმას მოწმობს, რომ ჩვენ შეუჩერებლად ვიზრდებით ეკონომიურად და ტექნიკურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობის ასეთი სწრაფი ტემპით გადიდება, წარმოუდგენელი იქნებოდა.

ა. რუხაძე.

# გადასახადი სარწყავი წყლით სარგებლობაზე

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოში სარწყავ არხებიდან წყალით სარგებლობ-სათვის გადასახადის შემოღების შესახებ.

სოფლად გადასახადს სარწყავი წყალით სარგებლობისათვის გადაიხდიან ის გლეხები, რომლებიც იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს; ვინც უკანასკნელიდან განთავისუფლებულია, იგი ახალი გადასახადისაგანაც თავისუფალი იქნება.

სარწყავი წყალით სარგებლობისათვის გლეხობა გადასახადს გადაიხდის შემდეგი სახით: თუ გლეხის შემოსავალი სასოფ.-სამ. გადასახადით დაბეგრილ ობიექტებიდან უდრის 150—200 მანეთს. ხოლო სარწყავი ნათესის შემოსავალი ერთი დესიატინიდან—50 მანეთს, ასეთი მეურნეობა გადაიხდის—75 კაპეიკს, თუ საერთო შემოსავალი უდრის 350 მანეთს და მეურნეობას აქვს აგრეთვე ერთი დესიატინა სარწყავი მიწა 50 მან. შემოსავლით, იგი გადაიხდის 2 მან. 62 კაპეიკს; ასეთი გლეხი კი რომელსაც აქვს ერთი დესეტინა სარწყავი ვენახი—სადაც იღებს 200 მანით შემოსავალს. სარწყავი წყალით სარგებლობისათვის გადაიხდის 10 მან. 50 კაპეიკს. თუ მეურნეობა შესდგება ერთი დესიატინა ბამბით დათესილ მიწისაგან, ასეთ მეურნეობა გადახდის 1 მან. 31 კაპეიკს. დაბოლოს, ასეთი მეურნეობა. რომლის საერთო შემოსავალი უდრის 500—600 მანეთს თითოეულ სარწყავ დესიატინიდან გადაიხდის 4 მან. 12 კაპეიკს, ხოლო დესიატინა სარწყავ ვენახ-დან—16 მან. 50 კაპეიკს.

ყველა სუსტი და ღარიბი მეურნეობანი გადასახადისაგან თავისუფლდებიან.

ყველა იმ მეურნეობებს, რომლებიც შედიან წყალთა მეურნეობის კოლექტივებში გადასახადის გაწერის დროს ეძლევათ 20 პროცენტიანი შეღავათი. ისეთი მეურნეობანი კი რომელთაც ახლად უნდათ შექმნან კოლექტივი მიწების მორწყვის მიზნით, სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში.

ვინაიდან სარწყავი წყალით სარგებლობის გადასახადი საქართველოში მხოლოდ ახლა დაწესდა, წელს იგი გაწერილი იქნება ცალკე. ხოლო მომავალ (1929—30) წლიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან ერთად.

# წითელი ყაზარმის დათვალიერება

წითელი ყაზარმის დათვალიერება წარმატებით მიმდინარეობს. — მუშები მხურვალე მონაწილეობას იღებენ დათვალიერებაში და ეხმარებიან არმიელებს ყაზარმის მოწყობა-გაუმჯობესებაში. — თბილისის გარნიზონის წითელ-არმიელები მოითხოვენ, რათა მათმა კულტურულმა შეფებმა — განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ წითელ არმიელთა კულტურულ აღზრდას

### მე-5 ქართ. მსრ. ლეგიონი

ამ დღეებში მოწვეული იქნა ლეგიონის და ქუთაისის საქსოვ ფაბრიკის პარტუჯრედების და კომკავშირის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება ყაზარმის დათვალიერების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყაზარმის დათვალიერება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და დათვალიერების წყალობით გამოსწორებულია ბევრი ნაკლი.

აღსანიშნავია საქსოვი ქარხნის მუშების აქტიური მონაწილეობა დათვალიერებაში. მუშებმა დაადგინეს ერთ დღეს იმუშაონ 6 საათის მაგივრად 8 საათი და ზედმეტი ნამუშევრის ხელფასი გადასცენ წ.-არმიელებს ყაზარმის მოსაწყობად და გასალამაზებლად.

მუშებმა აგრეთვე გამოსთქვეს სურვილი ახლო მომავალში ესტუმრონ ყაზარმას, რათა გაეცნონ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას და მეცადინეობას.

### № ქართული საარტილერიო ლეგიონი

№ ქართ. საარტილერიო ლეგიონი ყაზარმის დათვალიერებას სავსებით მომზადებული შეხვდა.

ლეგიონის ყაზარმას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი.

შეფის დახმარებით მოწყობილია სანიმუშო ლენინის კუთხე მე-6 ბატარეიაში.

ყოველ წითელ-არმიელს აქვს კბილის საწმენდი ჩოთქი. შეძენილია აგრეთვე ტანსაცმელის და ფეხსაცმელის გასასუფთავებელი ჩოთქები.

ყაზარმას დღეს საკმაოდ მოსდის ჟურნალ-გაზეთები. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი არმიელი ცუდათ ეპყრობა ლიტერატურას. არის გაზეთების დაკარგვის და მოთვისების შემთხვევები.

### კულტურული შეფობა

ხუთი წლის წინად განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირებმა აიღეს შეფობა თბილისის გარნიზონის ნაწილებზე. და აღუთქვეს წითელ არმიელებს, რომ დახმარებას გაუწევდნენ კულტურულ მუშაობის დარგში.

პირველ ხანებში კავშირები პირნათლად ასრულებდნენ თავის დაპირებას. მაგრამ, შემდეგში, მათ დაივიწყეს თავისი პირობა.

ეხლა, როდესაც ტარდება წითელი ყაზარმის დათვალიერება, წითელ არმიელებმა, სხვათა შორის, გაიხსენეს თავისი კულტურული შეფები და მათი დაპირებები.

საერთო კრებებზე წითელ-არმიელები აღნიშნავდნენ, რომ განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირები თითქმის არაფერს აკეთებენ წითელი ჯარის ნაწილებისათვის. წითელ არმიელები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ამის გამო და მოითხოვენ, რათა ხსენებულმა კავშირებმა გააძლიერონ მუშაობა წითელ არმიელთა კულტურულად აღზრდის დარგში და შეიტანონ თავისი წვლილი წითელი არმიის ბრძოლის უნარის განმტკიცების საქმეში.

წითელ-არმიელნი მოითხოვენ, რომ შეფები ხშირად დაიარებოდნენ ყაზარმაში, რათა გაუწიონ დახმარება კლუბებს, სამკითხველოებს, სკოლებს და სამხატვრო-საგიტაციო მუშაობას.

### სამხატვრო მუშაობის გამოკვლევა

წითელი ყაზარმის დათვალიერებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ყაზარმის სამხატვრო მუშაობის გამოკვლევა. გამოკვლევას აწარმოებს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: ა. ახმეტელი (ქართ. სახ. დრამის რეჟისორი), ამხ. დიასამიძე (ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან), კომპოზიტორი არაყიშვილი (სახ. კონსერვატორიიდან). მხატვარი კაკაბაძე (სამხატვრო აკადემიიდან) და შ. მურადოვა (№ დივ. პოლიტ. განყოფილებიდან).

ხსენებულმა კომისიამ უკვე გამოიკვლია მე-6, 1-ლი და მე-2 არტლეგიონი. გაცნობილი იქნა სამხატვრო-საგიტაციო წრეების მუშაობა კომისიამ საჭიროდ სცნო, რათა შემდეგში მიექცეს უდიდესი ყურადღება ყაზარმის კლუბების დრამატიულ. სამხატვრო და მომღერალთა წრეების მუშაობას და გაეწიოს მათ რეალური დახმარება მცოდნე პირების მიმაგრებით.

# თათბირი თესვის შესახებ

## თბილისის მაზრაში

გუშინ საღამოს თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გაიხსნა სამაზრო თათბირი საგაზაფხულო თესვის შესახებ. თათბირს ესწრებიან თბილისის მაზრის რაიონული აგრონომები, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების აგრონომები, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარენი, თემაღმასკომის თავმჯდომარენი. მიწათმომწყობები კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ტყაბლაძემ.

თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმის შესახებ, პრაქტიკული ღონისძიებანი თბილისის მაზრაში მოსავლის გასადიდებლათ, კონტრაქტაციის საკითხები თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობათა ცენტრის მოხსენება და მიმდინარე საკითხები.

თათბირის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგები: ამხ. ტყაბლაძე, შ. ადიკაშვილი, შალვა გულისაშვილი (გარე-კახეთიდან) აბაშიძე და თათარაშვილი სანდრო (მაზრიდან). რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმის შესახებ მოისმინა თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების გამგის

### ამხ. შ. ადიკაშვილის მოხსენება

თბილისის მაზრის მეურნეობის აღორძინება-გაუმჯობესებისათვის,—ამბობს მომხსენებელი,—საჭიროა ყველა ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაცია-დაწესებულებათა შეთანხმებული მუშაობა. ამიტომ თბილისის საადგილ-მამულო განყოფილებას გადაწყვეტილი ჰქონდა სამეურნეო საკითხებზე ფართე თათბირის მოწვევა წარსული წლის დამლევს, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებას ხელი შეუშალა საარჩევნო კამპანიის დაწყებამ.

თბილისის მაზრის სახნავი მიწების სივრცე უდრის 220.259 ჰექტარს. აქედან 1927-28 წლის განმავლობაში დამუშავებული იყო 87.080 ჰექტარი. ე. ი. 39 ნახევარი პროცენტი. დამუშავებული სივრციდან შემოდგომას ნათესები შეადგენდა 52232 ჰექტარს და გაზაფხულის ნათესები—34.847 ჰექტარს. გაზაფხულის ნათესების სიდიდის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს წალკას, შემდეგ—დუშეთს, გარე-კახეთს, ერწო-თიანეთს; მანგლის-პრაუტის თემებს გარე-უბანს; ასურეთ-ალბულაღს და ყარაიას. ამჟამად მაზრაში მუშა საქონლის რაოდენობა უდრის: მუშა-ცხენი 14831 ხარ-კამეჩი—61.593. საადგილ-მამულო განყოფილებას არ აქვს სწორი ცნობები სამეურნეო მანქანა-იარაღების რაოდენობის შესახებ. თუ დავეყრდნობით 1927 წლის ცნობებს, მაშინ დაახლოებით (ცნობები მანქანა-იარაღებ-ს შესახებ ასეთია: ტრაქტორი 30, რკინის გუთანი 1887, ხის გუთანი—2531. კავი—6532; რკინის ფარცხი—28 და სალეწ- მანქანა 18; წ. წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს ადგილებს დაურიგდა კიდევ 666 გუთანი და 17 ფარცხი. ამჟამად მაზრაში არსებობს ოთხი კომუნა. 88 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 9 მიწის საზოგადო შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა და 21 სამანქანო ამხანაგობა. კოლექტიური მეურნეობანი ვერ არიან უზრუნველყოფილნი მანქანა-იარაღებით და მუშა-საქონლით.

წ. წლის საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად განყოფილების მიერ გამოთხოვილი საშუალებანი ზემდგომ ორგანოებიდან ვერ იქნა მიღებული მთლიანად, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია თესვის კამპანიაზე. ნათესების ფართობი შემცირდა 6 პროცენტით. მიმდინარე თესვის კამპანიის დროს, გეგმით, ნათესების ფართობი უნდა გადიდებულ იქნეს 10.100 ჰექტარით, საგაზაფხულო კულტურებს ჩვენს მაზრაში უჭირავს საგრძნობი ფართობი (41 პროც. ნათესებისა). ამის გამოც გაზაფხულზე ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვაქვს თავისუფალი მიწებზე ხორბლეულობის დათესვისათვის, გაზაფხულის თესვის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის ნათესების გაფართოებას. განყოფილებამ ადგილებს გაუნაწილა 6 ათასი ფუთი სიმინდი და 8 ათასი ფუთი ქერი. განყოფილებას საჭიროდ მიაჩნია მომავლისათვის სათესლე ფონდის დაარსება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მაზრაში საკვები ბალახების თესვას. რომლის მოედანი უნდა გაიზარდოს 20—30 პროცენტით. მიმდინარე თესვის კამპანიის დროს მაზრაში განაწილებული იქნება სამათი გუთანი, 12 ტრიერი; 10 სათესი მანქანა და 50 ფარცხი.

—:—

იგივე მოხსენება გაკეთებულ იქნა რუსულ ენაზედაც, რითაც დამთავრდა თათბირის პირველი სხდომა. მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 9 საათზე.

# მეცნიერება და ტექნიკა

## ბრძოლა კუჭ-ნაწლავების დაავადებასთან

ავადმყოფთა თითქმის ერთი მეოთხედი დაავადებულია კუჭ-ნაწლავების სნეულებებით, რომლებიც დიდ მსხვერპლს იწირავენ, ანადგურებენ ხალხს და უკარგავენ მას შრომის უნარს, არა ნაკლებ ტუბერკულიოზისა და სიფილისისა.

ამიტომ, ზემოხსენებულ სნეულებებთან ენერგიული ბრძოლა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

ამ ბრძოლის დროს პირველ რიგში უნდა დაისვას კვების საკითხის მოწესრიგება, ვინაიდან კვება უდიდეს როლს თამაშობს კუჭ-ნაწლავების დაავადების საქმეში.

მთელი რიგი, დემოგრაფიული მოვლენები შეგვიძლია აეხსნათ კვების სხვადასხვა პირობებით. მაგ. ხანგრძლივი არანორმალური კვება არღვევს სითბოს რეგულაციას, არღვევს ენდოკრინულ სისტემის ფუნქციებს, ასუსტებს ორგანიზმს. მოქმედობს მის ფსიქიკაზე და სხვ.

ცნობილი ჰიგიენისტის მეჩნიკოვის სიტყვით, ეცემა თუ არა ხალხის კვება, მის ნეირო-ფსიქიური ენერგიაც და ნებისყოფაც სუსტდება. ეცემა ფსიქიური და ფიზიკური მუშაობის უნარი.

ამიტომ დიდი ხანია კვების საკითხმა მიიქცია შესაფერი ყურადღება, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. მის შესასწავლად და ყოველმხრივ მოსაწესრიგებლად არსდება მთელი რიგი სპეციალური დაწესებულებები, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ამ მხრივ ჯერჯერობით ბევრი არ გაკეთებულა რა, თუმცა რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქებში (ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში და სხვ.) ზოგიერთი ნაბიჯები უკვე არის გადადგმული ამ მიმართულებით. საქართველოში ეს საკითხი ამ ბოლო დრომდის მთლად მიყრუებული იყო.

როგორ იკვებება ჩვენი ქვეყნის გლეხი და მუშა. როგორ უნდა იკვებებოდეს იგი. რა როლს თამაშობს კვების მოუწესრიგებლობა ჩვენში სხვადასხვა სნეულებების გავრცელებაში და სხვ.,—ყველა ეს საკითხები ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი და მოწესრიგებული.

ამ საკითხების შესასწავლად და მოსაწესრიგებლად საჭიროა რამოდენიმე სპეციალურ დაწესებულებების შექმნა.

უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსებულ უნდა იქნეს სპეც. საბჭო კვების საკითხის მცოდნე პირთაგან, რომელიც დაიკისრებს რესპუბლიკის მასშტაბით კვების საკითხის მოწესრიგებას.

დაარსებულ უნდა იქნეს სპეციალური ინსტიტუტი, რომელმაც უნდა აწარმოოს სანოვაგისა და მომზადებულ საჭმელების ექსპერიმენტალური და ქიმიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები მათი ფიზიოლოგიურ ღირებულების გამოსარკვევად.

უნდა დაარსდეს, როგორც თბილისში, ისე მაზრებში დიეტდისპანსერებისა და დიეტსასადილოების ქსელი, რომლებიც უხელმძღვანელებენ კვების საკითხის მოწესრიგებას თავიანთ სამოქმედო რაიონებში.

ვინაიდან კუჭ-ნაწლავების დაავადება ფრიად გავრცელებული არის, თბილისში უნდა დაარსდეს გასტრო-ენტეროლოგიური ინსტიტუტი სტაციონალური განყოფილებათ და პოლიკლინიკით. სადაც ავადმყოფები კუჭნაწლავებ-დაავადებულნი მიიღებენ სტაციონარულ და ამბულატორიულ დახმარებას. ამასთანავე ამ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-გამოკვლევითი დაწესებულების ხასიათი. ამიტომ იგი მოწყობილ უნდა იქნეს საჭირო კაბინეტებით და ლაბორატორიებით. ბორჯომში, სადაც თავმოყრილ ავადმყოფების დიდი რიცხვი კუჭ-ნაწლავების დაავადებით არის შეპყრობილი, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სანატორიუმი.

თბილისში დიდ საავადმყოფოებში ტერაპევტიულ განყოფილებებიდან უნდა გამოიყოს ქვე-განყოფილებები კუჭ-ნაწლავების დაავადებულთათვის.

ვინაიდან ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებათა ერთბაშად შექმნა საძნელოა, იქნება შეიძლებოდა შემდეგის განხორციელება.

1) საბჭოს დაარსება კომპეტენტ. პირთაგან კვების საკითხის მოსაწესრიგებლად რესპუბლიკის მასშტაბით.

2) არსებულ სანიტარულ ჰიგიენის ინსტიტუტთან განყოფილების შექმნა, სადაც კვების საკითხი დამუშავდება იმ სახით, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ.

3) ქალაქის შუა გულში კუჭ-ნაწლავებით დაავადებულთათვის პოლიკლინიკის გახსნა პატარა სტაციონარით (15—20 საწ.), დიეტ სასადილოთი და საჭირო ლაბორატორიით.

4) ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სადაც ტერაპევტ. ავადმყოფთათვის საწოლები ორასამდეა, შეიძლებოდა 30—40 საწოლის გამოყოფა და განსაკუთრებულ განყოფილების შექმნა კუჭ-ნაწლავებით დაავადებულთათვის.

ჩამოთვლილ ღონისძიებების გატარება დიდ ხარჯს არ გამოიწვევს. მათი საშუალებით კი კვების საკითხის მოწესრიგება და კუჭ-ნაწლავების სნეულებებთან ბრძოლა სათანადო ფარგლებში ჩადგება და დიდებით შედეგს მოგვცემს ახლო მომავალში.

ექ. დ. პაპიტაშვილი.

## ახალი აეროპლანი

ამ რამოდენიმე ხნის წინად დარმშტადტის [illegible] აეროდრომზე ნაჩვენები იქნა ავიოპლანი, რომელიც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს საავიაციო ტექნიკაში. ახალი აეროპლანი წარმოადგენს ბიპლანს (აეროპლანი ორი ერთი მეორეს ზევით მდებარე ფრთით), მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ფრთებს შორის არავითარი საბჯენები არ არის მოთავსებული, რაც ამცირებს წინააღმდეგობას, რომელსაც ფრენის დროს აეროპლანს უწევს ჰაერი. აეროპლანის სიგრძე უდრის 6 მეტრს, ფრთების სიგრძე—7 მეტრს. მიუხედავად ასეთი პატარა ზომისა, აეროპლანი თავისუფლად იტევს 2 კაცს და ხუთასი კილომეტრის გასავლელათ საკმაო საწვავ მასალას. აეროპლანის სისწრაფე საათში 200 კილომეტრს უდრის, 1.000 მეტრის სიმაღლეს (ერთი კილომეტრი) აეროპლანი აღწევს 3 წუთში.

## რუსეთში აგებული პირველი ორთქლმავალი



მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ქვემო-ტაგილის ქარხანამ (ურალი) საზღვარ-გარეთ სამთამადნო საქმის შესასწავლად გაგზავნა მექანიკოსი ჩერეპანოვი.

ინგლისში ყოფნის დროს ჩერეპანოვმა პირველად თავის სიცოცხლეში დაინახა ორთქლმავალი. მან გადასწყვიტა ნახაზების გადაღება და ასეთივე ორთქლმავალის აგება რუსეთში, მაგრამ ინგლისელებმა აუკრძალეს ყოველგვარი მუშაობა ამ მიმართულებით და ნახაზებიც არ მისცეს.

როცა ჩერეპანოვი რუსეთში დაბრუნდა, ის მამასთან ერთად შეუდგა ორთქლმავლის აგებას. მაგრამ რადგან ნახაზები არ ჰქონდა, მუშაობა უძნელდებოდა იმის და მიხედვით, თუ რა დარჩა მის მეხსიერებაში ორთქლმავლის ნახვის დროს. არაჩვეულებრივად გრძელი გამოვიდა ორთქლმავლის მილი.

სურათზე — პირველი ორთქლმავალი (მოდელი), აგებული ჩერეპანოვის მიერ 1883 წ. ქვემო-ტაგილის ქარხანაში. ორთქლმავალს 400 ფ. ტვირთი მიჰქონდა.

## ხელსაწყო ნიადაგის დაწოლის გამოსარკვევად

პროფ. ნ. ვ. დავიდენკოვმა და მ. ვ. იაკუნოვიჩმა ლენინგრადის სახელმწიფო ფიზიკო-ტექნიკურ ლაბორატორიაში დაამზადეს მეტად საინტერესო ხელსაწყო ნიადაგის დაწოლის ძალის გამოსარკვევად ეს დაწოლა გამოსარკვევია მრავალ სააღმშენებლო სამუშაოთა დროს, განსაკუთრებით კანალიზაციის გაყვანის დროს, როცა საჭიროა ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა დაწოლას განიცდიან საკანალიზაციო მილები.

ნიადაგის დაწოლის გამოსარკვევი ხელსაწყო წარმოადგენს ბრტყელ, შიგნიდან ცარიელ დისკოს, რომელშიც გაბმულია სიმი. დისკოს შიგნით მოთავსებულ ელექტრო - მაგნიტის ზეგავლენით (ელექტრო - მაგნიტი გარედან იღებს შესაფერი სიხშირის ელექტრო-დენს), ეს სიმი რყევას განიცდის. სიმის რყევას, ხმის სახით, აღნიშნავს ტელეფონი; რომელიც აგრეთვე ხელსაწყოს შიგნით არის მოთავსებული. ელექტრო - დენი; რომელიც ელექტრო - მაგნიტში გადის; მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სიმის რყევას; თუ მისი სიხშირე ეთანხმება სიმის საკუთარი რყევის სიხშირეს. შესაფერი სიხშირის დენის შერჩევის შემდეგ; ხელსაწყოს დებენ მიწაში; ნიადაგის ზეგავლენით სიმი მოკლდება და აღარ ირყევა. რათა სიმმა ისევ დაიწყოს რყევა; საჭირო ხდება ელექტროდენის სიხშირის შეცვლა. წინანდელ და უკანასკნელ სიხშირეთა განსხვავების გამორკვევის შემდეგ უკვე ადვილია იმის გამოანგარიშება; თუ რამდენად შეიცვალა სიმის სიგრძე. სიმის სიგრძე შეიცვლება იმდენათ; რამდენადაც ნიადაგმა ჩაზნიქა საკანალიზაციო ან წყალსადენის მილის კედლები.

ჩატარებულ ცდების დროს; პროფ. ნ. ვ: დავიდენკოვის და მ. ვ. იაკუნოვიჩის ხელსაწყოს მგრძნობიარება იმდენად დიდი აღმოჩნდა რომ სავსებით გარკვევით აღინიშნა მილის ჩაზნექილობა 0,00005 მილიმეტრზე; ე. ი. მიკროსკოპიულ ოდენობაზე.

## გაახალგაზრდავების ახალი საშუალებების ძებნა

შუა აზიის უნივერსიტეტის (ტაშკენტში) ლაბორატორიაში პროფ. მიხაილოვსკის ხელმძღვანელობით ამჟამად მეტად საინტერესო ცდები სწარმოებს ცხოველთა სისხლის გასაწმენდათ იმ მავნე ნივთიერებათაგან, რომლებიც მასში გროვდება. ცდებს ახდენენ ძაღლებზე, ბაჭიებზე და მაიმუნებზე.

ცხოველის სისხლში შეჰყავთ მორფის ისეთი რაოდენობა, რომელიც სასიკვდილოა და როცა ცხოველი სუსტდება და თითქოს მოკვდაო, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, მას აცლიან თითქმის მთელ სისხლს. ამ სისხლში ურევენ განსაკუთრებულ ხსნარს და სტოვებენ ყინულზე. სისხლის წითელი ბურთულები ილექება ფსკერზე, დანარჩენ სითხეს კი აქცევენ. შემდეგ სისხლის წითელი ბურთულები ისევ შეჰყავთ სისხლსადენ მილებში.

ცდებმა დაამტკიცა, რომ ცხოველები ამგვარი ოპერაციის შემდეგ ცოცხალი რჩებიან. მეცნიერებს სურთ ცდებით გაახალგაზრდავების ახალი საშუალებები გამონახონ.

პროფ. კუჩინსკი

(ბერლინი), რომელმაც აღმოაჩინა ყვითელი ციების საწინააღმდეგო საშუალება

## დედამიწა არათანაბრად ბრუნავს

უკვე დიდი ხანია ასტრონომებმა შეამჩნიეს, რომ ყველაზე უფრო ზუსტი საათებიც კი დროგამოშვებით სწორ დროს არ უჩვენებდნენ (ამ გარემოებას არკვევდნენ დროის შედარებით დედამიწის ბრუნვასთან). ამ მოვლენის ახსნა არ შეიძლება იმით, რომ საათი სწორათ არ მუშაობს. ამერიკელმა პროფ. ბოსმა დაამტკიცა, რომ საათების მიერ ნაჩვენები დროის შეუფარდებლობა დედამიწის ბრუნვასთან გამოწვეულია დედამიწის ბრუნვის უთანაბრობით: არის პერიოდები, როცა დედამიწის ბრუნვა შენელებულია, შემდეგ კი ჩქარდება. ეს საკითხი ირჩეოდა სხვათა შორის საბჭოთა ასტრონომების უკანასკნელ ყრილობაზე ლენინგრადში.

## ბრძოლა ნისლთან

ამერიკიდან იუწყებიან ნისლთან ბრძოლის ახალ საშუალებაზე. ამ საშუალებით ჯერჯერობით სარგებლობენ მხოლოდ აეროდრომებზე, მაგრამ ამ სახითაც ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან აეროპლანები მაშინაც კი, როცა აეროდრომს აღწევენ, ხშირად ნისლის გამო ვერ ახერხებენ დაბლა დაშვებას.

ამერიკაში ნისლთან საბრძოლველად აღმოჩენილი საშუალება შემდეგში მდგომარეობს: ნისლს ჰფანტავენ ჰაერის გათბობის საშუალებით. ჰაერს კი ათბობენ სპეციალური აპარატით, რომელიც წარმოადგენს მოტორიან ურემს, რომელზედაც დადგმულია მავთულის ბადე. ამ ბადეში მოძრაობს ელექტრო-დენი, საკმაოა ურემმა რამდენჯერმე გაიაროს ერთი მიმართულებით, რომ გაათბოს ჰაერი და გაჰფანტოს ნისლი.

## ხელოვნური ოლიფა

მოსკოველმა გამომგონებელმა რუზბახმა გამოიგონა ხელოვნური ოლიფა—სალებავი მინერალური ნივთიერებებიდან. ახალი სალებავი იაფია. მაგრამ ღირსებით არ ჩამოუვარდება ნამდვილ სელის ოლიფას. რუზბახის გამოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## საწვავი მასალა წყლიდან და სპირტიდან

ერთმა შვეიცარიულმა ფირმამ გასაყიდათ გამოუშვა ახალი საწვავი მასალა ავტომობილებისა და აეროპლანებისათვის. ამ საწვავ მასალას მრავალი უპირატესობანი აქვს ახლანდელი საწვავი მასალების წინაშე, მაგრამ ყველაზე საგულისხმო უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალ საწვავ მასალას იღებენ სინთეტიური (ხელოვნური) საშუალებით წყალიდან და სპირტიდან. ახალი საწვავი მასალის თბიერება რამდენიმეთ უფრო მაღალია, ვიდრე ბენზინის თბიერება, ღირებულება კი—60 პროცენტით ნაკლები. ახალი საწვავი მასალა არავითარ ნალექს არ სტოვებს მოტორის ცილინდრებში. სპეციალურად გამართულ საავტომობილო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ავტო-მანქანამ, რომელიც ახალი საწვავი მასალით მუშაობდა.

## ქირურგია უძველეს დროში

შვედმა არქეოლოგმა დ-რმა გუსტავ ნილსენმა კუნძულ გოტლანდზე (ბალტიის ზღვაზე) ქ. ვისბის მახლობლად გათხრების დროს აღმოაჩინა, რომ ჯერ კიდევ 5.000 წლის წინად სკანდინავიის ნახევარ-კუნძულის მცხოვრებლებმა იცოდენ თავის ქალას და სხვა რთული ოპერაციები. მრავალ ნაპოვნ ჩონჩხების შესწავლის დროს ნილსენმა შეამჩნია, რომ ზოგიერთი თავის ქალები გახვრეტილია თანაბრად, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ უკვე იმ დროში იცნობდნენ თავის ქალას ტრეპანაციას, როგორც საშუალებას ზოგიერთ ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ამ ოპერაციის დროს ძველი დროის ქირურგები სარგებლობდნენ სპეციალური ქვის ბურღით. გამოირკვა აგრეთვე, რომ ძველათ ძლიერ ყოფილა გავრცელებული კბილების სნეულება.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ოპერაცია გაკეთებული თავის ქალები იპოვეს აგრეთვე ქვემო-ავსტრიაში.

## ავტომატიური ამწევი მანქანა ავტომობილებისათვის



ავტომობილი საჭიროებს კარგ მოვლას. ის ხშირად უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს, რომ ლაქი და სალებავი არ გაფუჭდეს. ამერიკის დიდ ქალაქებში ამჟამად მოწყობილია ავტომატიური ამწევი მანქანები, რომლებიც აადვილებენ ავტომობილის ქვედა-ნაწილის გაწმენდას ტალახიდან და მტვერიდან. სურათზე — მანქანით აწეული ავტომობილი იწმინდება მტვერიდან.

## ახალი პატარა დირიჟაბლი

ინგლისის საავიაციო უწყების დაკვეთით რააბ-კაცენშტეინის (გერმანიაში) ფირმა კასსელში აგებს პატარა დირიჟაბლს. ახალი დირიჟაბლის მოცულობა იქნება სულ 1.500 კუბ. მეტრი (გერმანიის დირიჟაბლ „გრაფ ცეპპელინის“ მოცულობა უდრის 100.000 კუბ. მეტრს, ნობილეს დირიჟაბლ „იტალია“-ს მოცულობა 20.000 კუბ. მეტრს უდრიდა), დირიჟაბლის სიგრძე იქნება 40 მეტრი, დიამეტრი—8,5 მეტრი, ტვირთზიდვა—500 კილოგრამი, ფრენის ხანგრძლივობა—10 საათი. დირიჟაბლის აგება უნდა დასრულდეს მაისში.

## ბერდის ექსპედიციის პირველი შედეგები

როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან, ცნობილი ამერიკელი მფრინავი ბერდი 80 კაცისაგან შემდგარ, კარგად მოწყობილი ექსპედიციით, წავიდა სამხრეთ-პოლიუსის გამოსაკვლევად. მან უკვე მიაღწია სამხრეთ-პოლიუსის მატერიკს და შეუდგა გამოკვლევებს. პირველივე გაფრენამ, რომელიც ექსპედიციამ მოაწყო, მეტად ნაყოფიერი შედეგები მოიტანა. ანტარქტიულ ოკეანეში, ბეი-ოფ-უეილსის რაიონში, აღმოჩენილ იქნა დღემდე უცნობი კუნძული. გამოირკვა, რომ სამხრეთ-პოლარული მატერიკის გასწვრივ გაჭიმულია ქედი, ამ ქედის თოთხმეტი მწვერვალი ბერდმა რუკაზე აღნიშნა.



უახლოესი კონსტრუქციის ლითონის (ალიუმინი) აეროპლანი, დამზადებული იუნკერსის ქარხნებში (გერმანია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

### საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე — 8 მარტი წელს უნდა ჩატარდეს მშრომელი მასების რაც შეიძლება მეტი ინტერნაციონალური დარაზმვის და პროლეტარული სოლიდარობის ნიშნით. კომინტერნის მე-6 კონგრესმა მთელი მსოფლიოს მრავალი მილიონი მშრომელი მასები გააფრთხილა ახალი იმპერიალისტური ომის საშიშროების და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხის შესახებ.

8 მარტის დღე უნდა იყოს ყველა მშრომელ ქალთა მობილიზაციის დღე კლასობრივი ბრძოლის მთლიანი საერთაშორისო ფრონტის შესაქმნელად იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ეს დღე არის მშრომელ ქალთა შემაკავშირებელი დღე, რომელიც კიდევ ერთი საფეხურით ამაღლებს მის კლასობრივ თვითშეგნებას. მშრომელი ქალის კლასობრივი ნებისყოფა მიმართულ უნდა იქნეს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განვითარების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გზით.

8 მარტმა ახალი იმპულსი უნდა მისცეს ქალთა ფაქტიურ განთავისუფლებას ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებისა და ტრადიციებისაგან, რომლებიც ამონავებდა ქალს, განსაკუთრებით აჭარელ-ქალს, თურქ-ქალს, აფხაზ-ქალს ოს-ქალს და სხვ.

8 მარტის კამპანია ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მასების მოსამზადებლად ჩადრის შესახებ ახალი კანონის გამოცემისათვის. 8 მარტს უნდა მოხდეს ყოფა-ცხოვრების ბოროტმოქმედებათა შესახებ არსებული კანონების პოპულიარიზაცია მოსახლეობის შორის.

ცეკა წინადადებას იძლევა 8 მარტს მასიურ კრებებზე დაისვას პროფკავშირთა, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების მოხსენებანი იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარებულ იქნა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების და ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კოოპერაციამ და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კულტურულ-ყოფაცხოვრებრივ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის საშუალებათა გამოძებნასთან ერთად, მშრომელი მასების თვითმოქმედება ფართოდ უნდა გამოიყენონ ყოფა-ცხოვრებრივ დაწესებულებათა შესაქმნელად კოოპერატიულ საფუძველზე.

მუშა-ქალთა და მუშათა ცოლების ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მათ მეტი კონტროლი გაუწიონ იმ დაწესებულებათა მუშაობას, რომელთა მიზანია მუშათა კლასის და გლეხობის ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ კონტროლის საშუალებით გამოაშკარავებულ უნდა იქნას ყველა დეფექტები და მიღებულ უნდა იქნას ზომები მათ გამოსასწორებლად.

8 მარტის კამპანია სოფლად უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ გაძლიერდეს გლეხ-ქალთა ფართო მასების აქტივობა ახალი კომუნების, არტელების და ამხანაგობების შექმნის ხაზით, გაძლიერდეს ბრძოლა ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდებისათვის, აგრი-კულტურულ ცოდნათა გავრცელებისათვის და სხვა.

8 მარტის დღესასწაული წელს ტარდება ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებში. ამიტომ საჭიროა მუშა-ქალები და გლეხ-ქალები კიდევ უფრო მეტად დაირაზმონ საბჭოების — პროლეტარ. დიქტატურის ორგანოების ირგვლივ, რათა შეკავშირებული წინააღმდეგობა გაეწიოს კულაკს, ნეპმანს, ბიუროკრატს და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მავნებლებს.

უფრო გადამჭრელი კურსი უნდა იქნას აღებული იმისათვის, რომ მუშა-ქალები და გლეხ-ქალები დაწინაურებულ იქნან დამოუკიდებელ ხელმძღვანელ სამუშაოზე, პარტიაში ჩაბმულ იქნან მუშა-ქალები, მოჯამაგირე-ქალები და ღარიბი-ქალები, შემოწმებულ იქნას წარსული მოწვევის დელეგატ-ქალთა, ფაბქარხადგილკომების და მათი კომისიების წევრ მუშა-ქალთა გამოყენება პრაქტიკულ სამუშაოზე.

წელს კომისიები 8 მარტის ჩასატარებლად მოეწყობა საბჭოთა ხაზით საქართველოს ცაკთან, სამაზრო აღმასკომებთან და სათემო საბჭოებთან და ფაბქარხადგილკომებთან ამ ორგანიზაციების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით.

პარტიულმა უჯრედებმა 8 მარტს უნდა მოიწვიონ უჯრედის ღია კრებები, რომლებზედაც მოსმენილ უნდა იქნას ქალთა ორგანიზატორების მოხსენებანი, ამ კრებებზე შემუშავებულ უნდა იქნას კონკრეტული, პრაქტიკული მითითებანი მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

ქალაქებში საზეიმო კრებები უნდა ჩატარდეს მარტო კლუბებში და მხოლოდ და მხოლოდ მსხვილ წარმოებებში.

სოფლებში (გარდა უჯრედის სხდომისა, რომელზედაც მოსმენილ უნდა იქნას ქალთა ორგანიზატორის მოხსენება) უნდა ჩატარდეს საბჭოების საზეიმო სხდომები სადელეგატო კრებებთან ერთად. ამ სხდომებზე მიზიდულ უნდა იქნან გლეხთა და გლეხ-ქალთა მასები. იმ სოფლებში, სადაც საბჭოები არ არის, მოწვეულ უნდა იქნან მასიური სასოფლო კრებები, რომლებზედაც მიზიდულ უნდა იქნან ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

8 მარტის ჩასატარებლად წარმოებული მუშაობის დროს პარტიულმა კომიტეტებმა და უჯრედებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და მათმა წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიებში.

**საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.**

**საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე მ. ჯაფარიძე.**

## სამზადისი ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშთა დამხმარე კომ-სიის დადგენილებით ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად რესპუბლიკაში გადაწყვეტილია გაიხსნას შემდეგი ახალი დაწესებულებანი.

თბილისში მოეწყობა სამკერვალო-სახელოსნო 200 მუშა ქალისათვის. სახელოსნოში ხელობას შეასწავლიან 50 ახალგაზრდა ქალს. სახელოსნოში მომუშავე კონტინგენტის შეკრება დაიწყება 1-ლი მარტიდან.

ჯანმრთელობის კომისარიატს ცაკთან არსებული საბავშო კომ-სია გადასცემს 5.000 მანეთს საბავშო ბაგების მოსაწყობად. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ დედათა და ბავშთა დაცვის ქვე-განყოფილებას მიეცემა 1.000 მანეთი თბილისში ძუძუმწოვარ ბავშთა საკვების პროდუქტების დასამზადებელი სამზარეულოს მოსაწყობად.

მაზრებს შორის განაწილებული იქნება 2.700 მანეთი საბავშო სახლების ფინანსიური და ეკონომიურ მდგომარეობათა გასაუმჯობესებლად. ამ თანხიდან ახალქალაქის საბავშო სახლისათვის გადადებული იქნება 700 მანეთი რაჭა-ლეჩხუმის საბავშო სახლისათვის—500 მანეთი, ფოთის საბავშო სახლისათვის,—500 მან. და ოზურგეთის საბავშო სახლისათვის —1000 მან.

გარდა ამისა, ცაკთან არსებული ბავშთა დამხმარე კომისია ამუშავებს გეგმას, რომ ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად აჭარისტანში რამოდენიმე ადგილას გაიხსნას საბავშო ბაგები. საბავშო ბაგების გასახსნელ პუნქტებად არჩეული იქნება ისეთი დასახლებული ადგილები, სადაც აჭარელ ქალთა მეტმა რიცხვმა აიხადა ჩადრი.

# მეორე საკავშირო საფილოქსერო თათბირი

გუშინ სასახლეს წითელ დარბაზში გაიხსნა სრ. საკავშირო მეორე საფილოქსერო თათბირი, რომელსაც ესწრებიან უკრაინის, აზერბეიჯანის, სომხეთის, თურქესტანის, დაღესტანის, უზბეკისტანის; აფხაზეთის და საქართველოს წარმომადგენელნი.

თათბირი გახსნა ამხ. ს. ჟულელმა, რომელმაც თათბირის მუშაობას შემდეგი სიტყვა წარუმძღვარა:

### ამხ. ს. ჟულელის სიტყვა

მევენახეობა საბჭოთა კავშირში,—ამბობს ამხ. ჟულელი, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს. თუმცა სივრცე, რომელიც მას უჭირავს; შედარებით სხვა დარგებთან მცირეა. ამ თათბირის დღის წესრიგში დასმული საკითხების გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონებისათვის, კერძოთ საქართველოსთვის, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქცია საერთო მოსავლიანობის 17—18 პროცენტს შეადგენს, ხოლო ალაგ (მაგ. კახეთში) კი 72 პროცენტს. მთავარი ამოცანა, რომელიც თათბირმა უნდა გადასწყვიტოს, არის ჩვენი მევენახეობის რეკონსტრუქციის საკითხი. მთელი ჩვენი ძალღონე და ყურადღება უნდა მივაქციოთ მევენახეობის უსასტიკეს მტერს—ფილოქსერასთან ბრძოლას, რადგან მევენახეობის რეკონსტრუქციაზე ლაპარაკი მეტია, თუ ამ სენის გავრცელებას ბოლო არ მოვუღეთ. ჩვენ ამ ბოროტებას ადვილად დავძლევთ, თუ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკები საერთო ფრონტით გამოვალთ, თუ ერთი-მეორესთან შეთანხმებით გამოვიმუშავებთ ღონისძიებებს ფილოქსერასთან საბრძოლველად. თუ თათბირი შესძლებს ამ ამოცანის გადაწყვეტას, ამით იგი დიდ სამსახურს გაუწევს მთელი კავშირის მევენახეობის რაიონებს. დასასრულ ამხ. ჟულელი უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ფილოქსერასთან უძველესი მებრძოლის ჟურნალ „ვესტნიკ ვინოდელიას" რედაქტორის ტარეევის და პროფ. გოგოლიანოვსკის მისალმებული დეპეშები.

### თათბირის საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი

თათბირმა საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშის ცემით აირჩია: სტალინი, რიკოვი; კალინინი, მოლოტოვი; ორჯონიკიძე; კუბიაკი; მახარაძე, ცხაკაია, ორახელაშვილი და ელიავა.

საქმიან პრეზიდიუმში: ჟულელი, ჭურღაძე; კანდელაკი, ტროიცკი, (რ. ს. ფ. ს. რ-დან), მაგილიანსკი (იქიდანვე), პუზკო; პროფ. ბოროვიკოვი (უკრაინ-დან), შიდლოვსკი (აზერბეიჯ.), პროფ. კაზანსკი (ყირიმიდან), ბერეჟკოვსკი (უზბეკისტანიდან); პროფ. ჯანდიერი გედევანიშვილი და ხაჰაპურიძე.

სამდივნოში: ბიბილაშვილი, კაკულია, კაზახი და ბათიაშვილი.

### დღის წესრიგი

თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ფილოქსერის საწინააღმდეგო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების სისტემა, 2) რესპუბლიკებში წარმოებულ ფილოქსერის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ; 3) ფილოქსერის ამძლე სამყნელი სანერგე მასალის მიწოდების მოწესრიგება, 4) მევენახეობის აღდგენა და განვითარება საბჭოთა კავშირში; 5) საცდელ-საკვლევი მუშაობის რეორგანიზაცია; 6) სანერგეები და სანერგი მასალის მიწოდება საქართველოს მოსახლეობისათვის, 7) უკრაინის მიწსახკომის ცენტრალური სანერგე და სანერგე მასალების დამზადება; 8) მევენახეობის პრობლემა დაღესტანში; 9) ახალი გზები მევენახეობის აღდგენისათვის.

### პროფ. ტროიცკის მოხსენება

პირველად თათბირმა მოისმინა საცდელი აგრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენლის პროფ. ტროიცკის მოხსენება, რომელიც შეიცავდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების დახასიათებას ფილოქსერის გავრცელების თვალსაზრისით, და ღონისძიებებს ფილოქსერის წინააღმდეგ ცალკე რაიონების მიხედვით. მომხსენებლის დასკვნით. ფილოქსერის გავრცელების მიხედვით საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებათ: რაიონები, სადაც ფილოქსერისაგან განადგურებულია ძველი ვენახები. ამ კატეგორიას ეკუთვნის საქართველო და უკრაინის ერთი ნაწილი; მეორე კატეგორიას ეკუთვნიან რაიონები, სადაც ფილოქსერა სპორადიულად არის გავრცელებული; ამ რაიონებში შედის უკრაინის ერთი ნაწილი და ჩრდილოეთ კავკასია. მესამე კატეგორიას წარმოადგენენ შემდეგი ადგილები: შავი ზღვის ნაპირები ტუაპსედან სოჭამდე. ყუბანის და თერგის ოლქების ნაწილი, სადაც ფილოქსერა ალაგ-ალაგაა გავრცელებული; მეოთხე კატეგორიას ეკუთვნიან ფილოქსერით დაუვადებელი რაიონები: დაღესტანი, შუა აზიის კუთხეები და პირობით თურქესტანი, სადაც ფილოქსერის წარმოშობა ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის.

ეხება რა ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, მომხსენებელი ამბობს შემდეგს: ამ ღონისძიებებს საფუძვლად უნდა დაედვას მევენახეობის რენტაბელობის პრინციპი არა ცალკე ერთეულ მეურნეთა ინტერესების მიხედვით, არამედ მთელი რაიონების მიხედვით; რადგან ფილოქსერასთან ბრძოლა მოითხოვს მეტად დიდ ხარჯებს, რომლის გამართლება შეუძლიათ მხოლოდ ფართო მასშტაბით მიღებულ ღონისძიებებს. ამიტომ ბრძოლა ფილოქსერასთან უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ხელმძღვანელობას და კერძო მეურნეობათა ინტერესების სამსახური შეუფარდდეს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესს. ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1) ღონისძიებები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან ფილოქსერის შემოტანას და გავრცელებას, როგორც საზღვარგარეთიდან, ისე საბჭოთა კავშირის დასნეულებულ რაიონებიდან; 2) ღონისძიებები, რომელნიც აჯანსაღებენ დასნეულებულ რაიონს (გავრცელების კერის რადიკალური აღმოფხვრით, ან დასნეულებულ ვენახების გაჯანსაღებით), დასასრულ—3) ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების აღდგენას. ამ ღონისძიებებში შედის ვენახების შეცვლა სხვა კულტურებით. საკუთარ ფესვმქონე ევროპული ჯიშის ვენახის გაშენება, და დამყნილ ვაზების გაშენება, მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ამ ღონისძიებების დახასიათებაზე.

—.—

დღეს დილით მოსმენილ იქნა რესპუბლიკების წარმომადგენლების თანამოხსენებები. ხოლო საღამოს დაიწყება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

## სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

### პროექტების განხილვა და დამტკიცება

ამ.-კავკ. რკინის გზების გამგეობასთან არსებულ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ბიუროში მიღებულ ცნობით, გზათა სახ. კომისარიატის სამეცნიერო-ტეხნიკურმა კომიტეტმა მთლიანად დაამტკიცა ბიუროს მიერ შემუშავებული „მთავარ დავალებათა" პროექტი.

რაც შეეხება უღელტეხილის ელექტროფიკაციის ტეხნიკურ პროექტს, გზათა სახ. კომისარიატს განზრახული აქვს დაამუშაოს იგი საზღვარ გარეთ, ყველაზე უფრო გამოცდილ უცხოეთის ფირმასთან ერთად.

უკანასკნელ ხანებში რკინის გზების ცენტრალური სამმართველო ამ პროექტის შემუშავების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის ცნობილ ფირმასთან („ჯენერალ ელექტრიკ კომპანი"), ფირმა დასთანხმდა პროექტის შემუშავებაზე უფასოდ. ამასთანავე ფირმამ რკინის გზების სამმართველოს აღუთქვა, რომ იგი ამერიკაში მიმავალ საბჭოთა ინჟინერებს დახმარებას გაუწევს ელექტრო მავალების და ელექტრომოძრაობისათვის საჭირო მოწყობილებათა წარმოების და საერთოდ ელექტრონის რკინის გზების მშენებლობის და მათი ექსპლოატაციის საქმესთან გაცნობაში.

### ინგლისელების წინადადება

ინგლისურმა ფირმამ „მეტრო-ვიკერს"-მაც განაცხადა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ტეხნიკური პროექტის დამუშავების და ელექტრომავლების და საჭირო ელექტრომოწყობილობის მოწოდების სურვილი.

გზათა კომისარიატმა პროექტის დამუშავება მიანდო ორივე ფირმას. დამუშავების შემდეგ ორთავე პროექტი განსახილველად გადაეცემა უცხოელ და საბჭოთა სპეციალისტებისაგან შედგენილ ავტორიტეტულ ექსპერტთა კომისიას და არჩეული იქნება ის პროექტი, რომელსაც ექსპერტიზა უკეთ სცნობს.

ვინაიდან ამერიკა დაკვეთების შესრულების დროს შეღავათებს იძლევა, ასეთივე მოთხოვნილება შეღავათების შესახებ წარედგინება ინგლისის ფირმას, თუ, რასაკვირველია, უკანასკნელის პროექტი მოწონებული იქნება.

### საბჭოთა სპეციალისტების გაგზავნა ამერიკაში

ტეხნიკური პროექტის დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში იგზავნება ხუთი სპეციალისტი, ერთი „გლაველექტრო"-დან, ორი გზათა სახ. კომისარიატიდან და ორი ა.-კ. რკინის გზებიდან.

ა.-კ. რკინის გზებიდან ამერიკაში იგზავნება ინჟ. ჰოლმი და ლევინი.

## კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

ცენტრალურ კომუნალურ ბანკის მიერ 1928-29 წელში ამიერ-კავკასიის საბინაო მშენებლობისათვის გადადებული 4.850.000 მანეთი ა.-კ. სახკომსაბჭომ გაანაწილა შემდეგ ნაირად:

სამრეწველო-საბინაო მშენებლობისთვის გამოყოფილია 1.300.000 მან., რომლიდანაც საქართველოს მიეცა 165.000 მან. (სატყეო მრეწველობისთვის—100.000 მან. და სამთა-მადნო ტრესტისთვის—65.000 მან.); აზერბეიჯანს—725.000 მან. (განჯის თამბაქოს ქარხნისთვის—475,000 მან. და „აზთევზი"-სთვის—250.000 მან.) და სომხეთს—410.000 მან. (ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკისათვის—285.000 მან., სომხეთის სატყეო მრეწველობის ტრესტისთვის—30.000 მან. და ტყავტრესტისთვის—95.000 მ.).

წითელ დროშოვანი არმიის უფროსშემადგენლობის ბინების მშენებლობისთვის გამოყოფილია—100.000 მან. და ხანძრისგან დაზარალებულ ქუთაისის უბნის აღსადგენად—250.000 მანეთი. დანარჩენი თანხა 3.200.000 მან. რაოდენობით განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა—960.000 მან.; აზერბეიჯანს—1.504.000 მან. და სომხეთს—736.000 მანეთი. ა.-კ. რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცა საბინაო მშენებლობისათვის გადადებული თანხა ერთი კვირის განმავლობაში განაწილონ საბინაო კოოპერაციასა და აღმასკომებს შორის.

# ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოში

### ბალანსების და ანგარიშების დამტკიცების ვადა

1927—28 წლის ანგარიშების და ბალანსების დამტკიცების უკანასკნელ ვადათ ა.-კ. სახკომსაბჭომ დააწესა 1929 წლის 1 მაისი. ყველა წარმოებებმა, რომელნიც ვალდებული არიან გამოაქვეყნონ თავისი ანგარიშები, ეს ანგარიშები და ბალანსები დასამტკიცებლად უნდა წარადგინონ რესპუბლიკანური ფინანსთა სახ. კომისარიატში. ანგარიშების და ბალანსების თავის დროზე წარდგენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება წარმოების ადმინისტრაციას და მთავარ ბუხჰალტერს, ხოლო ბალანსების და ანგარიშების თავის დროზე დამტკიცებისათვის თვალყურის დევნება ევალება მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

### სას.-სამ. მანქანების შერჩევა

ამიერ-კავკასიის რაიონებისათვის სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შემრჩევი კომისიის ხარჯთაღრიცხვა ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა 64.130 მან. რაოდენობით. ამ მიზნით საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამიერ-კავკასიისათვის გადადებული აქვს 40.650 მან., დანარჩენი თანხა—23470 მან. დაფარული უნდა იქნეს „ზაკსელმაში"-ს მოგებებიდან.

### სას.-სამ. იარაღ-მანქანების ასორტიმენტი

ა.-[illegible]ხკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. რაიონებისთვის [illegible]ოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემრჩევ კომისიის მიერ შემუშავებული სას.-სამ. იარაღ-მანქანების წინასწარი ასორტიმენტი. სას.-სამ. იარაღ-მანქანების საბოლოო ასორტიმენტი შემუშავებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 1929 წლის 1 ივლისისა.

# საქართველოს სახკომსაბჭოში

### ადგილობრივი მრეწველობის მოგების განაწილება

სახკომსაბჭოს დადგენილებით ადგილობრივი მრეწველობის 1927—28 წ. მოგებიდან საშემოსავლო გადასახადში გადაირიცხა 10 პროც., უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური განათლების საჭიროებისათვის—3 პროც., დანარჩენი თანხა განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10 პროც., სარეზერვო კაპიტალში—10 პროც., საწარმოთა გასაფართოებლად—25 პროც., ხელმძღვანელი პერსონალის წასაქეზებელი ჯილდოს ფონდში—0,25 პროც., ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდში—20 პროც. და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ—37,75 პროც.

### რძის ნაწარმოების კონტრაქტაცია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა რძის ნაწარმოების კონტრაქტაციის გეგმა, წარმოდგენილი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ.

საჭიროდ იქნა ცნობილი ეთხოვოს სახელმწიფო ბანკის ა.-კ-ის კანტორას [illegible] სას.-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით რძის ნაწარმოების კონტრაქტაციის ჩატარება. რისთვისაც გაიღოს 480.000 მან.

### მეფრინველეობის სადგურის მოწყობა ლანჩხუთში

ოზურგეთის მაზრისათვის სას.-სამეურნეო კრედიტის ხაზით გამოყოფილი 100.000 მანეთიდან ლანჩხუთის მეფრინველეობის სადგურის მოსაწყობად გადაიდო 10.000 მან.

# ქვანახშირის მრეწველობის რაციონალიზაცია ტყიბულში

### ნახშირის ამოღების გადიდება

სამთო მრეწველობის ტრესტი დიდი ხანია ამუშავებს საკითხს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიდან ნახშირის ამოღების გადიდების შესახებ. ამ ორი წლის წინად სამთო ტრესტმა ტყიბულში დაიწყო ორი კაპიტალური ახალი გვირაბის გაყვანა, რომელთა საშუალებებითაც შესაძლებელი გახდებოდა ქვანახშირის მდიდარი ბუდობებიდან ნახშირის ამოღების დაწყება და ამგვარად ნახშირის ამოღება ერთიორად გაიზრდებოდა.

ამჟამად სამთო მრეწველობის ტრესტმა ტყიბულის მრეწველობის რაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და შესაფერი პროექტის დამუშავება მიანდო საბჭოთა კავშირის საქციო საზოგადოებას „გიპროშახტას".

„გიპროშახტასა" და სამთო მრეწველობის ტრესტს შორის დადებული ხელშეკრულებით ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის რაციონალიზაცია უნდა მოხდეს იმ ვარაუდით, რომ ყოველ წლიურად შესაძლებელი გახდეს 25.000 ტონა ქვანახშირის ამოღება.

„გიპროშახტა" დაამუშავებს როგორც ახალი მაღაროების გაყვანის პროექტს, ისე ქვანახშირის ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოების მოწყობის გეგმას. კერძოთ, გადაწყვეტილია, რომ მაღაროებიდან რკ. გზის უახლოეს სადგურამდე (სადგ. ტყიბული) გაყვანილი იქნეს საჰაერო რკინის გზა. ამასთანავე გაუმჯობესებული იქნება ნახშირის რეცხვის წესი.

მაღაროებში ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია ახალი მაღაროები და კაპიტალური გვირაბები გაყვანილ იქნეს ახალი ე. წ. ჰიდრავლიური სისტემით.

საზ-ბა „გიპროშახტა" მუშაობას შეუდგება ერთ თვეში.

# ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ

საქ პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ურთიერთ დამხმარე სალაროებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები: შესამჩნევად გაიზარდა აღებულ სესხების დაფარვა, გაძლიერდა სალაროების გამგეობათა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, გაუმჯობესდა ფაბქარხადგილკომების, სამაზრო განყოფილებათა და სამპროფბიუროების ხელმძღვანელობა. გაიზარდა სესხის ამღებთა რიცხვი, გაცემულ სესხის სიდიდე და სხვა.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნულ მიღწევებისა, — სალაროების წევრთა რიცხვი არ არის საკმაო და მთელ რიგ პროფორგანიზაციებში სალაროები აერთიანებენ კავშირის მომუშავე წევრთა ნახევარზე ნაკლებ რაოდენობას.

ამ მოვლენის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი არის სალაროს წევრთა შემადგენლობიდან გასვლის დროს შეტანილ საწევრო გადასახადების ნაწილობრივ დაბრუნების (70—75 პროც.) წესი, რომელიც სალაროების უმეტესობას აქვს შემოღებული, რის გამო სალაროს წევრი, მიუხედავად იმისა. სარგებლობს ის თუ არა სალაროს დახმარებით. კარგავს შეტანილ საწევრო გადასახადის ნაწილს (25—30 პროც.)

ასეთი წესის გამო, კავშირის ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით მატერიალურად უკეთესად უზრუნველყოფილი ნაწილი, არ არის დაინტერესებული ურთიერთ დამხმარე სალაროში მონაწილეობით და ამიტომ არც შედის სალაროში.

ასეთ მდგომარეობის შესაცვლელად სრ. საქ. პროფ.კ. მე-7 ყრილობამ დაადგინა შემო[illegible] საწევრო გადასახადების 100 პროცენტით დაბრუნება.

ადმინისტრატიულ- სამეურნეო და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად და ფონდების (სათადარიგო, დახმარებათა და სხვ.) შესაქმნელად ყრილობამ შესაძლებლად აღიარა, რათა სესხის ამღებთ გადახდის პროცენტი რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიურად 12-ს.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირებს, სამპროფბიუროებსა და სამაზრო განყოფილებებს, რათა ა. წ. 1-ლი აპრილიდან დაწყებულ იქნეს მუშაობა სალაროებში შეტანილი საწევრო გადასახადის 100 პროცენტით დაბრუნების წესის შემოსაღებად. ამ მიზნით სალაროს მონაწილეთა საერთო კრებებზე სალაროს დებულებაში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო შესწორებები.

ეს მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს 1-ლ ივლისამდე.

# დაფნის ფოთოლი

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წლამდე საქართველოში დაფნის ფოთოლს ამზადებდა სამომხმარებლო კოოპერაცია და ნაწილობრივ კერძო დამამზადებლები. დაფნა მზადდებოდა ძალიან ცუდი ხარისხის. რის გამო დაფნის მომხმარებელი ორგანიზაციები ერიდებოდნენ მის შეძენას.

მიმდინარე წელს დაფნის დამზადება მთლიანად იკისრა „სოფლის კავშირმა", რომელმაც წინადადება მისცა ძირითად ამხანაგობებს გლეხებისაგან მიიღონ ჩხირებისაგან სრულიად გაწმენდილი და ჩრდილში გამხმარი დაფნის ფოთოლი. მიუხედავად ამისა გლეხობა განაგრძობს დაფნის ძველი წესით დამზადებას და ზოგიერთი ამხანაგობანი ადგილებზე ღებულობენ ცუდი ხარისხის დაფნას. ვინაიდან ცუდი ხარისხის დაფნის გატანა გამოიწვევს ბევრ გაუგებრობას და შესაძლოა დიდი ხნით დაიკარგოს ჩვენთვის დაფნის ბაზარი, „სოფლის კავშირს" წინადადება მიეცა დაფნის ფოთლის სტანდარტის დამრღვევთ ამხანაგობათა წინააღმდეგ მიიღოს სასტიკი ზომები (სტანდარტის დარღვევაში დამნაშავე პირნი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში და მოხსნილი იქნებიან სამსახურიდან).

ჯერ-ჯერობით დამზადებულ და გადაგზავნილია საკავშირო ბაზარზე—1500 ცენტნერი დაფნის ფოთოლი. ახლო მომავალში გადაიგზავნება დაფნის ფოთლის ახალი პარტია — [illegible]000 ცენტნერის რაოდენობით.

# 23 და 25 თებერვლის დღესასწაულისათვის

### დემონსტრაციის გეგმა 25 თებერვალს

1) დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენ: ა) მუშები და მოსამსახურეები, ბ) ჯარის ნაწილები (უიარაღოთ), გ) ფიზკულტუროსნები, დ) მოწაფეები (მერვე ჯგუფიდან დაწყებული) და ე) პიონერები (9 წელს ზევით).

2) ქალაქი რაიკომების მიხედვით იყოფა 3 რაიონად. დილის 8 საათზე თვითეულ რაიონში რაიონული კომისიების მიერ აღნიშნულ პუნქტებში იკრიბებიან დემონსტრაციის მონაწილენი და დილის სრულ ათ საათზე თავისი მოწინავე კოლონებით ეწყობიან შემდეგ პუნქტებში: ლენრაიონი—ყორღანის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხე, 26-ის რაიონი—კარლ მარქსის მოედანი, ქალაქის რაიონი—სოლოლაკის ქუჩა (რაიკომის შენობასთან).

3) აღნიშნულ წესით დაწყობილი რაიონები ცენტრალური კომისიის წევრის განკარგულებით იწყებენ მსვლელობას შემდეგი მარშრუტით: 1) ლენრაიონი—დილის 10 საათზე დაიძრება მთავარ პუნქტიდან (ყორღანის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხე) და გაემართება ყორღანის ქუჩით, აივლის ელბაქიძის აღმართს, რუსთაველის პროსპექტით (მარცხენა მხარეზე) გაუვლის ტრიბუნას (სასახლის წინ), დაეშვება. მუზეუმის ქუჩით ლორის-მელიკოვის ქუჩაზე, იშლება და ბრუნდება თავის რაიონში. კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ფანცულაია.

4) „26"-ის სახელობის რაიონი 10 საათზე და 30 წუთზე დაიძრება მთავარი პუნქტიდან (კ. მარქსის მოედანი), გაივლის კარლ მარქსის ხიდს და მესანგრეთა ქუჩით მიდის ტელეფონის სადგურის შენობასთან, უხვევს რუსთაველის პროსპექტზე (იმგვარად. რომ წინა კოლონა უშუალოდ მიჰყვეს ლენრაიონის კოლონას) და რუსთაველის პროსპექტით მიჰყვება ლენრაიონს, გაუვლის ტრიბუნას, მუზეუმის ქუჩით დაეშვება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, იშლება და ბრუნდება თავის რაიონში. კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ტერ-ვართანოვი.

5) ქალაქის რაიონი—ცენტრალური კომისიის წევრის მითითებით მსვლელობას იწყებს მთავარ პუნქტიდან (რაიკომის შენობა), მიემართება თავისუფლების მოედნისაკენ, სასახლის ქუჩით გაუვლის ტრიბუნას მიდის რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეზე, განაგრძობს მსვლელობას ლენინის ქუჩით, იშლება იქ და ზედა-ქუჩებით ბრუნდება რაიონში. კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. მორჩილაძე.

6) დაწესებულია დემონსტრაციების მოძრაობის შემდეგი წესრიგი: ა) თვითეულ რაიონის კოლონის სათავეში ჩამწკრივებული არიან პიონერები, შემდეგ მოწაფეები და ფიზკულტუროსნები, მუშები, მოსამსახურეები, [illegible] რვა-რვა კაცი რიგში, ორ-ორი ნაბიჯი ინტერვალის დაცვით, თვითეულ ორ რიგს შორის კი უნდა იყვეს 4 ნაბიჯი ინტერვალი, ყოველ ორ რიგს უნდა ჰყავდეს ერთი უფროსი (რომელიც მიდის პირველ რიგში მარცხენა მხრიდან); ბ) კოლონები მიდიან ერთი-მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით (ორივე—როგორც ვერის დაღმართიდან მომავალი, ისე თავისუფლების მოედნიდან მომავალი), მსვლელობა ხდება ქუჩის მარცხენა მხარეზე, ტრამვაის ხაზის დაკავება დაუშვებელია.

7) სასახლის წინ მოწყობილი იქნება ტრიბუნა, საიდანაც დემონსტრაციას მიესალმებიან ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის და საბჭოთა საქართველოს მთავრობების წევრები და მუშათა, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

8) დემონსტრაციის ჩატარების საერთო ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ამხ. ბედიას, მიქაძეს, ხმალაძეს და მეხს.

**დღესასწაულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.**

24 თებერვალს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. მ. ტოროშელიძე გააკეთებს მოხსენებას უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

◆ **სამეურნეო მუშაკები მუშათა კლუბებში.** საქ. სამეურნეო მუშაკთა სექციამ გამოყო თავის წარმომადგენლები მუშათა კლუბებში მოხსენებების გასაკეთებლად მიღწევების შესახებ სამეცნიერო დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლისთავისთვის.

# ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიაში

### რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შეკეთება

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს წარუდგინა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შეკეთების პროექტი, რომლის მიხედვით საჭიროა გადადებული იქნეს: აზერბეიჯანში 1441 კილომეტრის შესაკეთებლად—1.100.000 მანეთი, აქედან 150.000 მან. ხიდების ასაგებად; საქართველოში—710 კილომ. შესაკეთებლად—950.000 მანეთი, აქედან 63.000 მანეთი ხიდების ასაგებად; სომხეთში—431 კილომ. შესაკეთებლად 550.000 მანეთი, აქედან ხიდების ასაგებად 25.000 მანეთი.

სულ ამიერ-კავკასიაში 2.582 კილომ. შესაკეთებლად გადადებული უნდა იქნეს 2.600.000 მანეთი აქედან ხიდების ასაგებათ 238.000 მან.

### ენერგო-ბიუროების დაარსება

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა დებულება რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკ. ენერგო-ბიუროს შესახებ. ენერგო-ბიურო ეწყობა რესპუბლიკანურ ს.მ.უ. საბჭოსთან თბილისში, ბაქოში და ერევანში. ენერგო-ბიუროს ევალება ენერგეტიული მეურნეობის და სათბობი მასალის მიწოდების მოწესრიგება. თანხები ენერგო-ბიუროს შესანახად გაღებული უნდა იქნეს საკავშირო და რესპუბლიკანურ ს.მ.უ. საბჭოებიდან.

# საკლუბო მშენებლობის მოსაწესრიგებლად

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს, და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საქ. პროფკავშირების საკლუბო თათბირის გადაწყვეტილების თანახმად, პროფკავშირებს ევალებათ კლუბების სამშენებლო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები წინასწარ შეათანხმონ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საკლუბო მშენებლობის კომიტეტთან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პროფესიონალური ორგანიზაცია დღემდე უგეგმოთ აწარმოებს კლუბების მშენებლობას და შეკეთებას, არ ადგენს გეგმებს, ხარჯთაღრიცხვას და არ უთანხმებს კულტგანყოფილებას სამშენებლო პროგრამებს.

ამის გამო ხშირია ტეხნიკური ხასიათის შეცდომები, საჭირო ხდება უკვე დაწყებული მუშაობის შეჩერება, რის გამოც კავშირებას თვალსაჩინო სახსრები უმიზნოდ და უსარგებლოდ იხარჯება.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს აუცილებლად იხელმძღვანელონ საკლუბო თათბირის დირექტივით და თავიანთი სამშენებლო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები შეუთანხმონ ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების საკლუბო მშენებლობის კომიტეტს. საპროფკავშირო ორგანიზაცია, რომელიც კლუბის აგების ან შეკეთება-გადაკეთებას იწყებს, ვალდებულია წინასწარ შეადგინოს ვრცელი სამშენებლო პროგრამა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას.

კლუბის აგება ან შეკეთება-გადაკეთება ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების საკლუბო მშენებლობის კომიტეტი სამშენებლო პროგრამას და გეგმას დაამტკიცებს.

# ბიბლიოგრაფია

**ქ. ა. პოპოვი**

**„კ. მარქსი და ფ. ენგელსი გლეხობის როლის შესახებ პროლეტარულ რევოლიუციაში".**

სახელგამი, გვ. 103 ფასი 80 კაპ.

გლეხობის საკითხს უდიდესი ადგილი უჭირავს სოციალიზმის პრაქტიკულად მშენებლობის ხანაში. გლეხობის საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობითაა დასმული ლენინის მოძღვრებაში პროლეტარული რევოლიუციის შესახებ. ლენინის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, მისი მოძღვრების (ლენინიზმის) სიძლიერე პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ლენინის მიერ ყველაზე ღრმად და დაწვრილებით იქნა დამუშავებული გლეხობის საკითხი საერთოდ ყოველი კაპიტალისტური ქვეყნისთვის და პირველ რიგში ქვეყნების იმ წყებისათვის, სადაც კაპიტალიზმის განვითარება იმ დონემდე არ მისულა. რომ მინიმუმამდე შეემცირებინოს წვრილი წარმოების როლი და ხვედრითი წონა მთლიან სახალხო მეურნეობაში.

გლეხობის საკითხი ჯერ პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლის პროცესში და შემდეგ კი სოციალისტური საზოგადოების აშენებაში მეტად აქტუალური პრობლემაა. რომლის დადებით გადაჭრაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ისეთი ქვეყნებისთვის კი, როგორიცაა რუსეთი, გლეხობის საკითხის ამა თუ იმ გადაჭრაზე დამოკიდებულია პროლეტარული რევოლიუციის მთელი ბედ-იღბალი. გლეხობა, როგორც წვრილ მწარმოებელთა მასა საბოლოოდ დაპყრობილი უნდა შეიქნეს (მაგრამ არა ძალდატანებით, ჩაყლაპვით არამედ მისი გადამუშავებით, მასთან თანამშრომლობით) სოციალისტური საზოგადოების მშენებელ პროლეტარიატის მიერ. გლეხობა (მისი ღარიბი და საშუალო ნაწილი) არა მხოლოდ დამხმარე და ხელისშემწყობი უნდა იყოს მუშათა კლასისა, არამედ ის თვითონ აქტიურად უნდა ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში და მუშათა კლასთან ერთად მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

მაგრამ ამისათვის გლეხობას, როგორც წვრილ მწარმოებელს, სჭირდება სათანადო ხელმძღვანელობა და მისი სამეურნეო განვითარების პროლეტარიატისთვის მისაღები გზით წარმართვა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როდესაც მოხდენილია წარმოების ყველა ძირითად საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება, როდესაც მთელი პოლიტიკური ხელისუფლება და ეკონომიური მბრძანებლობის მაღლობები გამარჯვებულ მუშათა კლასს უპყრია ხელთ,—გლეხობის მასას, მის როგორც ღარიბის, ისე მცირე და საშუალო შეძლების ნაწილს, მხოლოდ ერთი გზა დარჩენია თავისი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლისათვის—ესაა მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირი, მასთან ხელიხელ ჩაკიდებული სვლა.

არსებობს მისთვის მეორე გზაც. ესაა გზა მასიური გაღატაკებისა, გზა კაპიტალისტური დიფერენციაციისა, რომელიც წარმოების საშუალებებს თავს უყრის ერთი მუჭა შეძლებულთა, სოფლის კაპიტალისტების ხელში და გლეხურ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გადისვრის სიღატაკისა, სიმშილისა და უმუშევრობის მორევში.

ჩვენს პირობებში ეს გზა არაა მთლად თავიდან აცილებული. მაგრამ მისი გამარჯვება შეუძლებელია, რადგან არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, რადგან საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორები პროლეტარიატის ხელშია. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გლეხობა მხარში უდგება პროლეტარიატს, ხდება გლეხური მეურნეობის გარდაქმნა კოლექტიურ საფუძველზე და ამით ძირი ეთხრება წვრილი მეურნეობის ინდივიდუალიზმს.

ამხ. პოპოვის შრომა სწორედ ამ საინტერესო საკითხს ეხება. ავტორი მიზნად ისახავს [illegible] მარქსიზმის შეხედულება გლეხურ საკითხზე, გააცნოს მკითხველს მარქსის და ენგელსის აზრები გლეხის ბუნების. მისი მეურნეობის ევოლიუციის შესახებ კაპიტალიზმის პირობებში, გაშუქოს მოჩვენებითი წინააღმდეგობანი მარქსსა და ლენინს შორის ამ საკითხში, გაარკვიოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და დასახოს გლეხობის როლი პროლეტარულ რევოლიუციის მომენტში და თვით სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. პოპოვი შესავალში აკრიტიკებს ზოგიერთ თეორიულ გაუგებრობას. რომლებიც არსებობს გლეხთა საკითხში და რომელთაც სამწუხაროდ ადგილი აქვთ მას შემდეგაც, რაც ამხ. ლენინმა მოგვცა გარკვეული ორიენტაცია გლეხობის ადგილის შესახებ პროლეტარულ რევოლიუციაში. ავტორი დიდხანს ჩერდება მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა დასასაბუთებლად. გლეხის, როგორც წვრილი მწარმოებლის ისტორიული „ბედის" საკითხზე. „გლეხობის საკითხი პროლეტარულ რევოლიუციაში—სწერს ამხ. პოპოვი—შესდგება ორ ძირითად საკითხისაგან: 1) საკითხი გლეხობისა და კაპიტალისტურ ბურჟუაზიის დამოკიდებულებისა და 2) საკითხი გლეხობის და პროლეტარიატის დამოკიდებულებისა. ამის დასაბუთება შეადგენს ამხ. პოპოვის შრომაში ძირითად ამოცანას.

ავტორი ადარებს მარქს-ენგელსის და ამხ. ლენინის დაყოფას გლეხობისას სხვადასხვა ფენებად და მიდის იმ დასკვნამდე, რომ კერძოდ ენგელსის მიერ კაპიტალიზმის დროს გლეხობის დაყოფა განსხვავდება ძველ რუსეთის გლეხობის ჩვეულებრივ დაყოფისაგან, ენგელსის წვრილი გლეხი—ეს ლენინის ძველი რუსეთის საშუალო გლეხია. ენგელსის „საშუალო გლეხი" იმავე ძველი რუსეთის შეძლებული გლეხია და, ბოლოს, მსხვილი გლეხი ძველი ნოვოროსიის გუბერნიის ანუ ციმბირის კულაკის მკვიდრი ძმა არის, სოფლის მოჯამაგირეს ენგელსი პროლეტარიატს აკუთვნებს. მაგრამ გაურკვეველი რჩება, ვის აკუთვნებენ ენგელსი და მარქსი გლეხობის იმ ფენას, რომელიც იმყოფება „წვრილ გლეხობას" შორის. ე. ი. სოფლის ღარიბებს.

ამხ. პოპოვის აზრით უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარქს-ენგელსი ღარიბ გლეხობას აკუთვნებენ ან წვრილ გლეხობას ან და სოფლის პროლეტარიატის კატეგორიას. მაგრამ ყველაზე საყურადღებო, ძირითადი და მნიშვნელოვანი ელემენტი საერთოდ გლეხობაში—ლაპარაკობს ამხ. პოპოვი—არის ენგელსისათვის სწორედ წვრილი გლეხობა. წვრილი გლეხობა არის მარქსისა და ენგელსისათვის კაპიტალისტური ეპოქის ტიპიური გლეხობა. რომელსაც ვერ მიაკუთვნებენ ვერც პროლეტარიატს და ვერც ბურჟუაზიას. უნდა ითქვას, რომ გლეხობის ეს ნაწილი, რომელსაც ჩვენში საშუალო გლეხობას უწოდებენ. თვით ლენინისათვისაც ყურადღების მთავარ საგანს წარმოადგენდა.

ამხ. პოპოვი ვრცლად ჩერდება ამ წვრილი გლეხობის, ჩვენებური გაგებით საშუალო გლეხობის, ადგილზე სხვა სოციალურ ძალთა შორის. არკვევს საშუალო გლეხობის საშუალედო მდგომარეობის მიზეზებს, მისი, როგორც სოციალური ფენის. მერყეობას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის და აქედან გამომდინარე იმ [illegible] ბუნებას, რომელიც ახასიათებს საშუალო გლეხობას კაპიტალიზმის პირობებში.

ამის შემდგომ ამხ. პოპოვი იხილავს ამხ. ლენინის ცნობილ სამ ლოზუნგს სხვადასხვა ისტორიული პერიოდებისათვის გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ. ეს დამოკიდებულება გამოიხატება გლეხობის სხვადასხვა ფენებთან კავშირში და ზოგი ნაწილის სრულ გარიყვაში. ან მისი ე. წ. ნეიტრალიზაციაში. ამხ. პოპოვი იხილავს საშუალო გლეხობის კიდევ მეტ დაახლოების აუცილებლობას პროლეტარიატთან კაპიტალისტურით წინ მდგომ ქვეყნებში—ე. ი. ისეთ ქვეყნებში, სადაც ღარიბი და საშუალო გლეხობა უფრო მწვავე შევიწროებას განიცდიან. „ბუნებრივია, რომ ამ პირობებში სოფლის ღარიბ გლეხობის პოზიცია უფრო დაახლოვდება პროლეტარიატის პოზიციას და საშუალო შეძლების გლეხობის პოზიცია კი მარცხნივ გადიხრება—ნეიტრალობიდან პროლეტარიატთან კავშირამდე. სწორედ ამას წინაც სჭვრეტდა ლენინი თავის გლეხურ-აგრარულ საკითხის თეზისებში კომინტერნის მეორე კონგრესისათვის, სწორედ ამიტომ პროლეტარიატის მოკავშირედ დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატის გადატრიალების მომენტში ლენინი გულისხმობს არა მხოლოდ სოფლის პროლეტარს და ნახევრად პროლეტარს, არამედ აგრეთვე სოფლის წვრილ გლეხობას. რომელიც ლენინის თქმით იმავე სოციალურ-ეკონომიური ნიშნების მქონეა, როგორც ჩვენი საშუალო შეძლების გლეხი ოქტომბრამდე".

წიგნის ბოლო ნაწილში განხილულია პროლეტარიატის კავშირის ფორმები გლეხობასთან ხელისუფლებისათვის უშუალო ბრძოლის მომენტში და, რაც მთავარია პროლეტარიატის დიქტატურის დროს. მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ ამხ. პოპოვის წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომთაგანია უკანასკნელ ხანებში ლენინის ძირითად შეხედულებათა პოპულარიზაციისათვის გლეხურ საკითხში.

წიგნის თარგმანი ალაგ-ალაგ მოიკოჭლებს.

**მარქსისტი.**

# შემნახველ სალაროების ერთთვიური

## სალაროების მნიშვნელობა გლეხობისათვის

### ჩვენი სამეურნეო მშენებლობის წარმატებანი და სიძნელენი

1. უკანასკნელ წლებში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ სამეურნეო მშენებლობის დარგში როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამას ადასტურებს მსხვილი მრეწველობის და ტრანსპორტის ზრდა, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის წარმატებით შესრულება, ქალაქის მეურნეობის განმტკიცება და სამრეწველო ცენტრების გაძლიერება.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებებს მივაღწიეთ იმ მხრივ, რომ გაფართოვდა ტეხნიკური კულტურების ნათესები, სოფლად გავრცელდა მიწის დამუშავების ახალი, გაუმჯობესებული მეთოდები, გაძლიერდა მანქანიზაცია. გაფართოვდა კოლმეურნეობათა მშენებლობა, განვითარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვ.

2 მიუხედავად ამისა, ჩვენს სამეურნეო მშენებლობას თან სდევს მრავალი სიძნელე. ასე. მაგალითად, სამრეწველო საქონლის ხაზით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვსპეთ საქონლის ნაკლებობა. თუმცა ჩვენი მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სოფლის მეურნეობა, მაგრამ მისი პროდუქცია ჯერ კიდევ არ კმარა მოსახლეობის გადიდებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მეორეს მხრით. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მრეწველობის ზრდის გამო ყოველ წლობით იზრდება მოთხოვნილება ნედლეულზე და სურსათზე, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობას, რომელიც მრეწველობაზე უფრო ნელი ტემპით ვითარდება, არ შეუძლია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

### საბჭოთა კავშირის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია

3 იმისათვის. რომ უზრუნველყოფილ იქნას წარმატებით სამეურნეო მშენებლობა, საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

რა არის საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია და რას ნიშნავს იგი გლეხისათვის?

ძველი რეჟიმიდან ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ჩამორჩენილი მრეწველობა და კიდევ უფრო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა.

იმისათვის, რომ არ გადავიქცეთ უცხოეთის კაპიტალის კოლონიად, ჩვენ მრეწველობა უნდა განვავითაროთ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ჩვენ შეგვეძლო ჩვენთვის საჭირო საქონელი ყოველწლივ შეგვეძინა საზღვარგარეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ უცხოეთის კაპიტალის მონობაში ჩავარდებოდით. ჩვენი ქვეყანა მალე სრულებით გაღატაკდებოდა.

მაგრამ მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობის სათანადო განვითარების გარეშე შეუძლებელია.

ამიტომ საჭიროა სოფლის მეურნეობა ავიყვანოთ ტეხნიკური განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ე. ი. გავატაროთ მანქანიზაცია, შემოვიღოთ მიწის დამუშავების საუკეთესო მეთოდები და სხვ.

ამის გამო საბჭოთა კავშირის ცეკას მეოთხე სესიამ (დეკემბერში) მიიღო მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ასაწევად.

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ბოლო მოვუღოთ საქონლის და ნედლეულის ნაკლებობას და უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის წარმატებით მშენებლობა.

### ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო თანხები

4. სახელმწიფოს შემოსავალს შეადგენს გადასახადები და სახელმწიფო ქონებიდან და წარმოებებიდან მიღებული შემოსავალი. ამ თანხებს სახელმწიფო ხარჯავს როგორც სამეურნეო მშენებლობის საჭიროებებისათვის ([illegible], სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.), ისე მოსახლეობის კულტურულ-სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ეს თანხები საკმაო არ არის.

ფულს კაპიტალისტები არ მოგვცემენ. ამიტომ საჭიროა დამატებითი თანხები გამოვძებნოთ ჩვენი ქვეყნის შიგნით. სახელმწიფო სწორედ ასე იქცევა. იგი მიმართავს შინაურ სესხებს, ებრძვის მფლანგველობას სახელმწიფო თანხების ხარჯვაში, მტკიცედ ატარებს მომჭირნეობის რეჟიმს და სხვ. მთავრობა მოუწოდებს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ—დაეხმარონ სახელმწიფოს, რათა მუშურ-გლეხური თვითკრიტიკის საშუალებით ადვილი გახდეს ბრძოლა მფლანგველობასთან და სახელმწიფო მეურნეობის დაუდევრად გაძღოლასთან.

5. მაგრამ ეს არ კმარა. მთავრობა და პარტია სცდილობენ, რომ სახალხო ქონების დაზოგვასთან და სახელმწიფო მეურნეობის მომჭირნეობით გაძღოლასთან ერთად, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა მუშამ და [illegible]მა ანგარიშიანობა და მომჭირნეობა გამოიჩინოს თავის პირად ყოფა-ცხოვრებაში და [illegible]ურნეობაში.

სწორედ ამიტომ ჩვენი მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო შემნახველ სალაროებს; ეს სალაროები უნდა შეიჭრან ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო ფენებში და უნდა გახდნენ მათთვის გონიერი მომჭირნეობის სკოლად.

ამავე დროს. რაც უფრო მეტი თანხები მოგროვდება შემნახველ სალაროებში, მით უფრო ადვილი იქნება სახელმწიფოსათვის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გზით გადალახოს სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი.

### სალაროები და გლეხის ყოფა-ცხოვრება

6. უნდა შევინახოთ თუ არა ფული სახლში? სოფლად ფული ხშირად იკარგება სხვადასხვა მიზეზის გამო (ცუდად შენახვა, ხანძარი, ქურდობა და სხვ.).

7. ფული შენახულ უნდა იქნას შემნახველ სალაროში, რადგან ეს არის გონიერი დაზოგვის ერთ-ერთი საშუალება, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც სურს თავისი დაზოგილი თანხა თავისუფლად დახარჯოს ნაწილობრივ ან მთლიანად, როცა ექნება საჭიროება ან როცა დაზოგილი თანხა შეგროვდება ისეთი რაოდენობით, რომ იგი საკმარისი იქნება მეურნეობაში საჭირო ნივთის შესაძენად.

8. რატომ სჯობია ფულის შენახვა შემნახველ სალაროში, ვიდრე სახლში?

შემნახველ სალაროში შეტანილი ფული არ შეიძლება დაიკარგოს: ფულის მთლიანად შენახვისათვის პასუხს აგებს მთავრობა. იმ შემთხვევაში, თუ შემნახველი სალაროს წიგნაკი დაიკარგა, ფული არ დაიკარგება, რადგან ფულს მიცემენ მხოლოდ მის პატრონს და არა იმას, ვის ხელშიაც შემთხვევით მოხვდება შემნახველი სალაროს წიგნაკი. არავის არ აქვს უფლება შემნახველ სალაროდან გამოიტანოს ფული მეანაბარის ნებადაურთავად. გარდა ამისა, არავის არ შეუძლია, გაიგოს, თუ რამდენი ფული აქვს მეანაბარეს შემნახველ სალაროში, ეს შეუძლია იცოდეს მხოლოდ მეანაბარემ. კანონი მტკიცედ იცავს ანაბარების საიდუმლოს.

### შეღავათები და სარგებლობა

9. შემნახველი სალაროები სასარგებლოა გლეხებისათვის. შემნახველ სალაროში შეტანილ ფულს ემატება მოგება: 8 კაპ. წლიწადში ყოველ მანეთზე (8 პროცენტი). შემნახველი სალაროები თავის მეანაბარეებს უწევენ კიდევ სხვა სამსახურსაც: შემნახველი სალაროების საშუალებით შეიძლება გადახდილ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. შემნახველი სალაროები ამ გადასახადს იღებენ საგადასახადო ფურცელით, გადახდის შესახებ აღნიშნავენ ფურცელზე და აძლევენ ქვითარს.

10. მეანაბარე გლეხს შემნახველ სალაროში შეუძლია მიიღოს უფასო ცნობა და რჩევა-დარიგება ყოველგვარ საკითხზე, საბჭოთა ყველა კანონის შესახებ. ამისათვის იგი უნდა შეეკითხოს იმ სალაროს, სადაც ანაბარი აქვს შეტანილი, ან შეკითხვა შეუძლია პირდაპირ მოსკოვშიც გაგზავნოს, შემდეგი მისამართით: ტვერის ქუჩა, ნასტასინის შესახ. № 8, სახელმწიფო შემნახველი სალაროების მთავარი სამმართველო; წერილში აღნიშნულ უნდა იქნას შეკითხვის გამგზავნელის მისამართი პასუხისათვის.

11. შემნახველ სალაროში შეიძლება დაგირავებულ იქნას სახელმწიფო სესხების ობლიგაციები და ამ ობლიგაციების გირაოს ქვეშ შეიძლება მიღებული იქნას ფულადი სესხი, ეს ობლიგაციები შემნახველ სალაროში შეიძლება შეტანილ იქნას უფასოდ შესანახად (100 მან.-მდე) ან იმ პირობით, რომ შემნახველმა სალარომ თვალყური ადევნოს, თუ როდის უნდა მოიჭრას კუპონი და გადაიცვალოს ფულზე; თვალყური ადევნოს, მოიგო თუ არა ობლიგაციამ ტირაჟის დროს და თუ მოიგო, შემნახველმა სალარომ უნდა აცნობოს ობლიგაციის პატრონს: რამდენი და სად უნდა მიიღოს მოგება, ხოლო თუ მოგება არ აღემატება 500 მანეთს, შემნახველი სალარო თვითონ მისცემს ამ თანხას, ყოველივე ამისათვის შემნახველი სალარო მეანაბრესაგან იღებს მხოლოდ მცირეოდენ გადასახადს.

ის, ვინც თავის ობლიგაციას დააგირავებს შემნახველ სალაროში, ობლიგაციით მოგების უფლებას არ ჰკარგავს. ობლიგაცია გირაოდ მიიღება უვადოდ და შეიძლება გამოსყიდულ იქნას ყოველ დროს.

12. იმათთვის, ვინც სოფლიდან შორს მიემგზავრება (გადასახლებულნი, სამუშაოდ გასულნი), სასარგებლოა თავისი ფული ჩააბაროს შემნახველ სალაროს და ამ ფულის ნაცვლად გამოართვან განსაკუთრებული დოკუმენტი (ამ დოკუმენტს ეწოდება აკრედიტივი) რომლითაც ეს ფული შეიძლება მიღებულ იქნას მთლიანად ან ნაწილობრივ მთელი კავშირის ყოველ შემნახველ სალაროში. შემნახველ სალაროს აკრედიტივი ფულს იცავს გზაში მოპარვისა და დაკარგვისაგან.

იმ გლეხებისათვის, რომლებიც თავისი სოფლიდან ქალაქში ან სხვა ადგილას მიდიან სამუშაოდ (სეზონო მუშები, ტრანსპორტები, შინამრეწველნი), სასარგებლოა შემნახველ სალაროს მეანაბარედ ყოფნა, შემნახველ სალაროში შეტანილი ფული დაცული იქნება სხვა პირებთან ცხოვრების დროს, ნაკლები იქნება ცდუნება ამ ფულის დახარჯვისა ღვინო არაყის დასალევად, ბანქოს თამაშისათვის, უსარგებლო ნივთების შეძენისათვის და ამიტომ შეიძლება მეტი ფული გაეგზავნოს ოჯახს სოფელში.

შემნახველ სალაროს შეიძლება დაევალოს ამ ფულის გადაგზავნა ფოსტით: იგი სწრაფად და ბეჯითად შეასრულებს ამ დავალებას.

13. საბჭოთა კავშირში სულ არის 16 ათასი შემნახველი სალარო. ქალაქში შემნახველი სალარო იმყოფება ფინგანყოფილებაში, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ფოსტაში, დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინის გზის სადგურებზე. სოფლად შემნახველი სალაროები უმთავრესად არის ფოსტაში; გარდა ამისა, შემნახველი სალარო არის რკინისგზის თითქმის ყოველ სადგურზე. მშრომელი მოსახლეობის მიერ შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბარების თანხა 1929 წ. 1 იანვრ. მთელ კავშირში უდრის 353.558 ათას მანეთს, მეანაბარეთა რიცხვი 4.077.936. შემნახველი სალაროების სამსახურით უფრო მეტად სარგებლობენ ქალაქის მცხოვრებნი, უფრო ნაკლებ გლეხები. 130 მილიონი გლეხი მოსახლეობიდან შემნახველი სალაროების მეანაბარენი არიან მხოლოდ 900 ათასი კაცი. ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ანაბარების რაოდენობა იმავე დროისათვის უდრიდა 6.983 ათას მანეთს, მეანაბარეთა რიცხვი—59.359. აქედან სოფლის შემნახველ სალაროებში ირიცხება—836.600 მანეთი, გლეხ მეანაბარეთა რიცხვი შეადგენდა 8.485. რატომ ასე ნაკლებად სარგებლობენ გლეხები შემნახველი სალაროებით? იმიტომ, რომ სოფლად ჯერ კიდევ უმეცრებაა გამეფებული. ქალაქის მშრომელთ უფრო მეტად აქვთ შეგნებული შემნახველი სალაროების სარგებლობა და ამიტომ უფრო ხშირად მიმართავენ ამ სალაროებს თავისი მეურნეობის როგორც გაძღოლისათვის, გლეხებმა შემნახველი სალაროების შესახებ გაცილებით უფრო ნაკლები იციან, ვიდრე ქალაქში მცხოვრებლებმა. ზოგიერთმა გლეხმა სრულებითაც არ იცის, რომ არსებობს მათთვის ასეთი სასარგებლო დაწესებულება.

14. სერტიფიკატი—ყველაზე უფრო სასარგებლო საშუალებაა ფულის შესანახად.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სერტიფიკატები გამოშვებულია საკავშირო ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 1927 წლის 6 აგვისტოს თარიღით; სერტიფიკატები გამოშვებულია იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას მიეცეს საშუალება მოხერხებულად და სასარგებლოდ შეინახოს თავისი ფულადი თანხები და დანაზოგი ფული.

სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს ყველა დამოუკიდებელ და ცენტრალურ სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროებში და მათ საქალაქო განყოფილებებში.

სერტიფიკატი სახელმწიფო სესხის ობლიგაციისაგან განსხვავდება იმით, რომ სერტიფიკატს არ აქვს ვადიანი კუპონები და მოგების პროცენტი დაერიცხება მათ პირვანდელ ღირებულებას; ამიტომ სერტიფიკატის ფასი მატულობს.

სერტიფიკატები უფრო გამოსადეგია ფულის შემნახველისათვის, რომელსაც არ სურს თვალყური ადევნოს ვადიან კუპონებს (მოსჭრას ეს კუპონები და გადასცვალოს ფულზე), რადგან სერტიფიკატის მეორე მხარეზე სწერია, თუ რამდენი ღირს იგი ყოველი 1-ლი რიცხვისათვის.

სერტიფიკატებზე დარიცხული პროცენტი მათი ბრუნვის მთელი 6 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 12 პროც. წლიურს (მანეთი მანეთზე). ამასთან, პროცენტის რაოდენობა წლითი-წლობით მატულობს, ხოლო ყოველ ნახევარ წელში დარიცხული პროცენტები ემატება კაპიტალს და პროცენტების შემდგომი დარიცხვა სწარმოებს მომატებულ კაპიტალზე. ამგვარად, სერტიფიკატის ღირებულება სულ უფრო და უფრო სწრაფად იზრდება და ექვსი წლის ბოლოს ერთი-ორად მატულობს, რაიც სასარგებლოდ ხდის ფულის უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვას სერტიფიკატების საშუალებით.

15. გლეხ-ქალმა განსაკუთრებით უნდა იზრუნოს და ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ დანაზოგი ფული შეიტანოს შემნახველ სალაროში. ოჯახს ბევრ უბედურებას აყენებს ლოთობა, რომელიც იმდენად განვითარებულია, რომ მთავრობა იძულებული შეიქნა გადამჭრელი ბრძოლა დაეწყო ამ ბოროტებასთან.—„ნათლიაზე", ქორწილზე, საეკლესიო დღესასწაულებზე და სხვ. ყოველ წლობით იხარჯება ათეული მილიონი ფუთი პური შინაური არაყის გამოსახდელად. არაყს კი ოჯახში შეაქვს გარყვნილება, ქეიფი, გადამდები ავადმყოფობანი და სხვ. ქალის მოვალეობაა სოფლად—ყოველგვარი საშუალებით შეუწყოს ხელი მთავრობას არაყის გამოხდასთან ბრძოლაში. ეს არის საუკეთესო საშუალება ყოფა-ცხოვრების გასაჯანსაღებლად. ამისათვის ერთ-ერთი გზაა—უნდა შევეცადოთ, რომ გლეხის ოჯახის შრომით მონაპოვარი ფული შენახულ იქნას შემნახველ სალაროში.

### დასკვნა

მთავრობა ანხორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს გლეხური მეურნეობის რაც შეიძლება მეტად განვითარებას, სახელდობრ: გაადიდოს პურის ფასები, შეამციროს სამრეწველო საქონლის ფასები, გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარის, სასუქის და სხვ. მიწოდება გლეხობისათვის.

გლეხობამ ამ ღონისძიებებს თავის მხრივ უნდა უპასუხოს იმით, რომ შევიდეს მეანაბარედ შემნახველ სალაროში და დაიცვას როგორც სახელმწიფო მეურნეობის, ისე საკუთარი მეურნეობის მომჭირნეობა და თანხების დაზოგვა.

**სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მთავარი სამმართველო.**

## მოსამზადებელი მუშაობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. ცენტრალურ შემნახველ სალაროს ცნობით, ამიერ-კავკასიაში ჩატარებული იქნება შრომის შემნახველ სალაროების ერთთვიური (საბჭოთა კავშირის დანარჩენ ტერიტორიაზე ტარდება ორკვირეული), შემნახველ სალაროების ერთთვიური ამიერ-კავკასიაში დაიწყება 1 მარტს და დამთავრდება 1 აპრილს.

ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა, შემნახველი სალაროების ერთთვიურის ჩასატარებლად ა.-კ. ცაკთან მოწყობილია ამ.-კავკასიის ცენტრალური კომისია, ასეთივე კომისიები მოწყობილია ა.-კ. ცალკე რესპუბლიკებში, მოსამზადებელი მუშაობის სახელმძღვანელოთ ადგილებზე გაგზავნილია 7 პასუხისმგებელი მუშაკი და საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი. კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ამოძრავებული იქნება მთელი აქტივი, როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლად. განსაკუთრებით ენერგიული მუშაობა ჩატარდება სოფლად, ვინაიდან სოფლის მოსახლეობა ძალიან სუსტად არის ჩაბმული შემნახველ სალაროებში. ადგილებს ეგზავნებათ ბროშიურები, ლოზუნგები, პლაკატები, ფურცლები და სხ. საქართველოს სახ. კინომრეწველობას შეკვეთილი აქვს სპეციალური საგიტაციო მულტიპლიკაციური კინო-ფილმები ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე. ეს სურათები ნაჩვენები იქნება ამიერ-კავკასიის ყველა კინოებში. კამპანიაში ფართოდ იქნებიან ჩაბმული კომკავშ. ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები, რომლებიც უშუალოთ არიან დაკავშირებული სოფლის მოსახლეობასთან, გლეხთა სახლებთან და მუშათა კლუბებში მოეწყობა შემნახველი სალაროების კუთხეები.

წარმოება-დაწესებულებებში და სოფლის ყრილობებზე გაკეთებული იქნება პოპულიარული მოხსენებები შემნახველ სალაროების შესახებ. მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები შემნახველ სალაროების მუშაობის საპოპულიარიზაციოდ. ამ მიზნით მოეწყობა საუბრები, ინსცენირობები და სხ. როგორც მოსამზადებელ მუშაობის, აგრეთვე თვით ერთთვიურის დროს ფართოდ იქნება გამოყენებული რადიო.

ამჟამად ამიერ-კავკასიაში ირიცხება 580 შემნახველი სალარო 60 ათასამდე მეანაბრით და 7 მილიონ მანეთამდე ანაბარებით.

შემნახველი სალაროების ერთთვიურის განმავლობაში განზრახულია მეანაბრეთა რიცხვი გადიდება 120.000 კაცამდე, და ანაბარების აყვანა 11 მილიონ მანეთამდე. გარდა ამისა განზრახულია შემნახველ სალაროების ქსელის გაფართოება აზერბეიჯანში, სადაც გახსნილი იქნება 60-მდე ახალი სალარო.

# ქრონიკა

### ჰანრი ბარბიუსის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ფრანგი მწერალი ჰანრი ბარბიუსი, რომელმაც თბილისში დაჰყო ორ კვირაზე მეტი.

მოსკოვში ჰანრი ბარბიუსი რამოდენიმე დღე დარჩება და შემდეგ გაემგზავრება ბერლინში, საიდანაც პარიზში დაბრუნდება.

### ამხ. კუზნეცოვის დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ნ. თაკუბოვი განთავისუფლებულია ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს წევრობისაგან. ა.-კ. ეკონომსაბჭოს წევრად დანიშნულია ამხ. კუზნეცოვი.

### პროფსაბჭოს პლენუმი

27 თებერვლისათვის მოწვეულია პროფსაბჭოს მეშვიდე მოწვევის მესამე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები.

მრეწველობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა; მუშათა დაწინაურების საკითხი, პროფსაბჭოს ხარჯთაღრიცხვა, პროფესიონალური კავშირების სამუშაო გეგმა. კოლხელშეკრულებათა კამპანიის შედეგები და ცენტრ. საკონტროლო კომისიის მოხსენება თვითკრიტიკის შესახებ პროფესიონალურ კავშირებში.

### წითელი ჯვრის თბილისის კომიტეტის დაარსება

საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს წითელი ჯვრის თბილისის კომიტეტის დაარსება, ამჟამად აწარმოებს წინასწარ საორგანიზაციო მუშაობას.

თბილისის მაზრაში ეს მუშაობა უკვე დამთავრებულია. არჩეული არიან დელეგატები კონფერენციისათვის.

თვით ქალაქში მუშაობა დამთავრდება ამ დღეებში და 25 თებერვლიდან დაიწყება კონფერენციის დელეგატთა არჩევნები.

11 მარტს გაიხსნება კონფერენცია. კონფერენცია მოისმენს საქ. წითელი ჯვრის ცეკას ანგარიშს, მოხსენებას მასიური მუშაობის შესახებ წითელი ჯვრის ხაზით და აირჩევს წითელი ჯვრის თბილისის კომიტეტს.

### კავკასიის მინერალური წყლების სამმართველოს წარმომადგენლობა დაეკისრა საქ. წითელ ჯვარს

კავკასიის მინერალური წყლების სამმართველოს წარმომადგენლობა საქართველოში და სომხეთში დაეკისრა საქართველოს წითელ ჯვარს.

### შაქრის ქარხნის აგების გარშემო

გუშინ მიწადმოქმედების სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. ქურდაძემ შაქრის ტრესტის თავმჯდომარის—ამხ. ადამოვიჩისაგან მოსკოვიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

უკვე დაწყებულია პროექტის დამუშავება გორის მაზრაში შაქრის ქარხნის ასაგებათ. მარტის მეორე ნახევარში „შაქრის ტრესტი“ დაიწყებს მუშაობას გორის მაზრაში ჭარხლის მთესველთა კოლექტიური მეურნეობის მოსაწყობათ. კოლექტიური მეურნეობა მოწყობილი იქნება გომი-აგარას რაიონში“.

### „სამშენი“-ს საქმიანობა

თბილისის აღმასკომმა წინადადება მისცა საზოგადოება „სამშენს“ შეუდგეს იმ სააღმშენებლო მასალების რეალიზაციას, რომელიც მას არ დასჭირდება მიმდინარე წლის განმავლობაში. ეს მასალები შეფასებულია 200.000 მანეთად.

გარდა ამისა, თბილისის აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს „სამშენის“ ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა და გამოიმუშაოს შესაფერი ღონისძიებები.

### საწარმოო თათბირების მუშაობა ტყიბულში

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ ტყიბულის მაღაროებში. მოხსენებიდან გამოირკვა რომ მაღაროების ადმინისტრაცია გულგრილად ეკიდება საწარმოო თათბირის დადგენილებებს და ხშირად მათ არ ატარებს ცხოვრებაში.

ამის გამო პროფსაბჭომ მიმართა სამთო მრეწველობის ტრესტს, რომ უკანასკნელმა მიუთითოს ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციას, რათა დაუბრკოლებლივ იქნეს განხორციელებული საწარმოო თათბირების დადგენილებები.

### თბილისის აღმასკომში

◆ **წყალდიდობასთან ბრძოლა.** თბილისის აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას მოახდინოს თბილისის იმ მიდამოების გამოკვლევა, სადაც მოსალოდნელია წყალდიდობა. ასეთ ადგილებათ მიჩნეულია კრწანისის და ვერის ბაღები და მადათოვის კუნძული.

◆ **სახლების დავალიანება.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით საბინაო ამხანაგობებს ეპატიათ ის დავალიანება, რომელიც ირიცხებოდა მათთვის ახლად გადაცემულ სახლებზე.

◆ **სახლის აგება წითელ არმიის მეთაურთათვის.** კომუნალურ განყოფილებას დავალებული აქვს შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა თბილისში წითელი არმიის მეთაურთა საცხოვრებელი სახლის ასაგებათ.

◆ **სასწრაფო დახმარება.** თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას მიენდო სპეციალური ფონდიდან გაიღოს თანხა სასწრაფო დახმარების მუშაკთა შტატების გასადიდებლად.

### ს. მ. უ. საბჭოში

◆ **სპეციალისტების მომზადება საკონსერვო ქარხნებისათვის.** სმუს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა შრომის ეკონომიკის განყოფილებას დაამუშაოს საკითხი საკონსერვო ქარხნებისათვის სპეციალისტების მომზადების შესახებ.

◆ **საექსპორტო საქონლის გადაცემა.** სამთო მრეწველობის ტრესტს დაევალა მთელი საექსპორტო საქონელი გადასცეს საზოგადოება „პრომექსპორტს“ იმ პირობით, თუ უკანასკნელი გაიღებს კრედიტებს სამთო ტრესტის საექსპორტო საქონლის დამამზადებელ წარმოებათა გასაუმჯობესებლად.

◆ **სატყეო ქიმიური ქარხანა.** ახლო ხანში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა „ხიმსტროის“ სპეციალისტთა კომისია საქართველოში სატყეო-ქიმიური ქარხნის ასაგები ადგილის ამოსარჩევად.

### სხვადასხვა

◆ **წერა-კითხვის უცოდინარობის გამოკვლევა.** პოლიტგანათლების მთავარმა მმართველობამ დაამთავრა წერა-კითხვის უცოდინარობის გამოკვლევა ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებში.

◆ **საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში.** დღეს საღ. 8 საათზე სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში შესდგება საქ. ექიმთა საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც მოხსენებებით გამოვლენ პროფ. ს. ყიფშიძე და ექ. ა. რუხაძე. მოხსენებების თემაა: სიმპატიკური ნერვიული სისტემის ტონუსის მდგომარეობა კიდურების ზოგიერთ დაავადებათა მიმდინარეობის დროს.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სამტრედიიდან—კარსანიძეს, სურამიდან—აბიშვილს ნორაშინოდან—ახუნდოვისას, საჩხერიდან—კანდელაკს და მარტყოფიდან—ჯანარაშვილს.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პ. სამსონიძის მოთხრობა „პირველი ქარტეხილი“. გამოცემა „შრომა“-სი.

### „სოფლის კომუნისტი № 2

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ №2. შინაარსი: საქ. მთავრობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადში ცვლილებების შეტანის შესახებ. საბჭოთა არჩევნების მე-3 პერიოდი, აკ. ჭუონია—საბჭ. საქართველოს 8 წელი, **დ. დოლიძე**—სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები და აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაცია. **ვ. მ.** მანქანა სოფლის მეურნეობაში, **გ. ლომთათიძე**—ცვლილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადში, **გ. მ.**—წყლის გადასახადის შესახებ, **ნ. გვანცელაძე**—კოოპ. მუშათა კადრების შემოწმება. **პ. ბოჩიძე**—საწევრო გადასახადი შემოსავლის მიხედვით კოოპერაციაში, **ს. ჯუღელი**—საგაზაფხულო თესვისათვის, **ს. ხოშტარია**—საწარმოო თათბირები სოფლად, **კ. ხომერიკი**—გლეხკომები და გაზაფხულის თესვის კამპანია. **ა. ნესტოროვი**—კომკავშირის ლაშქრობა მოსავლის გასადიდებლად, **ს. მეგრელიშვილი**—რატომ არის აუცილებელი კომ. პარტ. გაწმენდა, **დ. ორაგველიძე**—აგიტპროპმუშაკთა თათბირის შედეგები. **ნ. ს—ლი** როგორ ჩავატაროთ 8 მარტი, **თ. სიხარულიძე**—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ადგილობრივი ცხოვრება ბიბლიოგრაფია.

# სასამართლო

### დაუდევრობისა და გაფლანგვისათვის

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **კუპრაშვილის** თავმჯდომარეობით 19 თებერვალს გაარჩია არკადი სარქისოვის საქმე.

არკადი სარქისოვი 1927 წლის დეკემბრიდან სად. გარდაბანში განაგებდა ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო -სამომხმარებლო საზოგადოების ფარდულს № 76. იმ მიზნით, რომ გამგეს თვალყური ედევნებია ფარდულისათვის, მას ბინა მიჩენილი ჰქონდა იქვე—ფარდულის შენობაში. ვინაიდან სარქისოვი დაავადებული იყო ჭლექით, მისი ბინა კი არ თბებოდა; იგი ხშირად ღამისგასათევად ჩამოდიოდა თავის სახლში (თბილისში). ან ღამეს ათევდა სადგურის შენობაში. კოოპერატივის მომხმარებლებს არა ერთხელ გაუფრთხილებიათ იგი, რომ მას უპატრონოთ და უმეთვალყურეოთ არ მიეტოვებია ფარდული, მაგრამ ბრალდებული ამ გაფრთხილებას ყურს არ უგდებდა. გასული წლის აპრილის ერთ ღამეს ბოროტმოქმედებმა ისარგებლეს გამგის ფარდულში არ ყოფნით, გაალეს იგი და გაიტანეს ფულად და საქონლით 1.246 მანეთი. გამოძიებით გამოირკვა, რომ სარქისოვს ჩაუკეტია მხოლოდ ფარდულის უკანა კარები და ისიც უბრალო ბოქლომით. (ფარდულში შესასვლელად კი საჭიროა სამი კარის გავლა). ვინაიდან კოოპერატივს გაქურდვამდი რევიზია არ ყოფილა, გამოურკვეველი დარჩა, ზარალი კოოპერატივს მთლიანად ქურდებმა მიაყენეს, თუ საქონლისა და ფულის ნაწილი მითვისა ბრალდებულმა.

მიუხედავად ასეთი დაუდევრობისა, სარქისოვი „ზაკტპის“ გამგეობამ მაინც დასტოვა თავის თანამდებობაზე. დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ მას გაუკეთეს რევიზია, აღმოჩნდა, რომ 3 მაისიდან 22 მაისამდე კოოპერატივს დაკლებია 360 მანეთი. ამ თვიდან სარქისოვი მიდის ხანგრძლივ შვებულებაში. სამსახურში დაბრუნებისთანავე პირველ აგვისტოდან მას ნიშნავენ სად. ნავთლუღის კოოპერატიულ ფარდულის გამგეთ. ერთი თვის შემდეგ აქაც სარქისოვს რევიზიამ აღმოუჩინა 389 მანეთის დანაკლისი. მთელი თავისი სამსახურის დროს სარქისოვმა ა. კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას მიაყენა 2.212 მანეთის ზარალი.

გამოძიებისა და საქმის გარჩევის დროს ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო და დანაკლისი მიაწერა არა ბოროტ განზრახვას, არამედ თავის გამოუცდელობას ვაჭრობის საქმეში.

სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, კოოპერატიული ზარალის და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება და ამასთან ერთად აუკრძალა კოოპერატიულ და სახელმწიფო-სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა ხუთი წლის ვადით.

### ექიმ მარგველაშვილის საქმე

გუშინ თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო შეუდგა ექიმ კარლო მარგველაშვილის საქმის გარჩევას.

1927 წლის 31 მაისს მეეზოვე ბოხანაშვილს, დაეჯახა მოტოციკლეტი და თავის ქალა დაუზიანა. სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად იგი წაიყვანეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს ამბულატორიაში, სადაც იმ დროს მორიგეობდა ექიმი კარლო მარგველაშვილი. ექ. მარგველაშვილმა დაჭრილს შეუხვია ჭრილობა, რომელიც მან იმდენად სერიოზულად არ ჩასთვალა, რომ დაეტოვებია სამკურნალოდ საავადმყოფოში. ჭრილობის შეხვევის შემდეგ მან ავადმყოფს წინადადება მისცა წასულიყო.

დაჭრილმა გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი, მაგრამ სიარული ველარ შესძლო და ჩამოჯდა იქვე ამბულატორიის დერეფანში. მალე საავადმყოფოში შემოვიდა უბნის გამომძიებელი ამხ. ნოზაძე, რომელსაც უნდა გამოერკვია ამ უბედურ შემთხვევის მიზეზი და შედეგი.

გამომძიებლის შეკითხვაზე, სად და როგორ მდგომარეობაშია დაჭრილი, მარგველაშვილმა უპასუხა:

— ვინაიდან ჭრილობა სახიფათო არ აღმოჩნდა, პირველ დახმარებისთანავე ავადმყოფი სახლში გავისტუმრეო.

ექიმის კაბინეტიდან გამოსვლისას გამომძიებელი ნოზაძე წააწყდა იქვე დერეფანში მყოფ ბოხანაშვილს, რომელსაც ლაპარაკის უნარი წართმეოდა.

გამომძიებელი შებრუნდა ექიმთან და კატეგორიულად მოსთხოვა ხელახლა შეემოწმებია ავადმყოფის მდგომარეობა და, თუ საჭირო იქნებოდა, მოეთავსებია საავადმყოფოში.

— მე ვალდებული არა ვარ ორჯერ გავსინჯო ერთი და იგივე ავადმყოფი. არ მცალია სხვებიც მყავს მოსავლელიო.—იყო ექიმ მარგველაშვილის პასუხი.

გამომძიებელ ნოზაძის განმეორებითი მოთხოვნით დაჭრილის ჯანმრთელობა შეამოწმა მეორე ექიმმა, რომლის დასკვნის თანახმად დაჭრილი მოათავსეს საავადმყოფოში.

ბოხანაშვილს დიდხანს არ უცოცხლია, იგი მალე გარდაიცვალა.

ექსპერტების დასკვნით ბოხანაშვილის სიკვდილი გამოწვეულია თავის ქალის მძიმე დაზიანებით—ტვინის შერყევით.

ბრალდებული კ. მარგველაშვილი თავს დამნაშავედ არ სცნობს; იგი აღიარებს მხოლოდ თავის შეცდომას დიაგნოზის დასმაში, გუშინ დაჰკითხეს ბრალდებულსა და რამოდენიმე მოწმეს.

ვ—ნი.

# რკინის გზებზე

### მუშების დაწინაურება

სამტრედიის ძაფსახვევი და ქუთაისის მაუდის ფაბრიკების დირექტორების თანამდებობაზე რკინის გზელთა პროფკავშირის სამტრედიის საუბნო კომიტეტმა წამოაყენა სამტრედიის დეპოს მუშების ამხ. **ხუჭუას და ახობაძის** კანდიდატურა.

### მატარებლის დამტვრევა

19 თებერვალს, ნალბანდ-ამამლის (სომხეთის ხაზზე) გადასარბენზე დაიმტვრა საბარგო მატ. № 120.

მატარებლის სვლის დროს მთიდან დაეშვა თოვლის ზვავი, რომელიც დაეჯახა ორთქლმავალს.

დაჯახების გამო ორთქლმავალი და ერთი პულმანის სისტემის ვაგონი გადავარდა ფერდობზე. გარდა ამისა ლიანდაგს ასცდა კიდევ შვიდი ვაგონი.

ოცი მეტრის მანძილზე გაფუჭდა ხაზი და დაიფარა თოვლის ზვავით. დაჯახების გამო რელსები ხუთ ადგილას გადატყდა.

ორთქლმავლის გადავარდნის დროს დაიჭრა მემანქანე **ზაკატჩენკო**, ხოლო მისი თანაშემწე **მკირტიჩ** ოგანესიანი მოკვდა.

კატასტროფის ადგილზე ლენინაკანიდან და კარაკლისიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები.

ათი საათის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ხაზი შეაკეთეს და მოძრაობა აღადგინეს.

### ქარბუქი აღმოსავლეთ უბანზე

ა.-კ. რკინის გზების აღმოსავლეთ უბანზე მძვინვარებს ძლიერი ქარბუქი. აჯიკაბულ-ხაჩმასის რაიონში განუწყვეტლად თოვს.

ხსენებულ უბანზე ყველა მატარებლები მიდიან საგრძნობი დაგვიანებით.

სუმგაით-ბალაჯარისა და ბაქო-ფუთას რაიონებში ქრის ძლიერი ქარი. აღნიშნულ სადგურთა შორის მოსალოდნელია თოვლის ნამქერები. ნამქერებთან ბრძოლისათვის მზად არიან თოვლსაწმენდები, ორთქლმავლები და მუშათა გუნდები.

### მატარებელი ვერ შეაჩერა

სადგ. კვითისხევში მიმავალი მატარებელი მემანქანემ ვერ შეაჩერა და გაიარა სადგური.

გასასვლელი ისრები მომზადებული არ აღმოჩნდა ამის გამო ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი და ერთი ვაგონი.

თბილისიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

მოძრაობა შეწყვეტილი იყო ორი საათის განმავლობაში.

### გაუფრთხილებლობის გამო

სადგ. ძეგამში სწარმოებდა სამანევრო მუშაობა. მანევრების დროს ორთქლმავალი მძლავრად დაეჯახა შემადგენლობას, რის გამო დაიმსხვრა ერთი ვაგონი.

ხაზის გასაწმენდად აქსტაფიდან გაგზავნეს მუშები.

# უძველესი საფარის აღმოჩენა

სოფ. ბორში (შორაპნის მაზრა, კიცხის თემი) ადგილობრივმა მცხოვრებმა გლეხი მეგრელიშვილმა სავენახე მიწის გადაბრუნების დროს შემთხვევით წააწყდა უძველეს საფლავს. საფლავის გათხრის დროს იქ აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი და უძველესი ძვირფასი არქეოლოგიური ნაშთები: ოქროს ფულები, ბეჭდები, სამაჯურები და სხვა.

მთელი ეს ძვირფასი და საინტერესო განძეულობა გადაეგზავნა ქ. ქუთაისში ადგილობრივი მუზეუმის დირექტორს ტრ. ჯაფარიძეს.

საჭიროა, რათა ჩვენმა არქეოლოგებმა ამ რაიონის გამოკვლევას არქეოლოგიური თვალსაზრისით მიაქციონ სერიოზული ყურადღება, რადგან, იმავე სოფელში 1904 წელს ადგილობრივმა მცხოვრებმა მაჭავარიანმა სავენახე მიწის გადაბრუნების დროს (მაჭავარიანის ვენახი მდებარეობს იმ მიწის მეზობლად, რომელსაც ამუშავებდა მეგრელიშვილი) იპოვა დიდძალი უძველესი დროის ნაცნები.

ამის შესახებ მაშინ ცნობა გაეგზავნა პეტერბურგში ერმიტაჟის დირექტორს პროფ. სმირნოვს, რომელიც ჩამოვიდა ადგილობრივ და შეიძინა ყველა ნაპოვნი ნივთები.

ა. ქ.

# დახმარება ხევსურეთს

ამ დღეებში სოფ. ჯუთიდან (ხევსურეთში) თბილისში ჩამოვიდნენ სოფ. ჯუთის წარმომადგენლები გოგიტა არაბული და აკია არაბული. ეს სოფელი ძალზე დაზარალდა დიდი თოვლის გამო.

თბილისის აღმასკომმა სოფ. ჯუთისათვის გადასდო 2000 მან. ფულად და 2000 მანეთის სათესლე მასალა.

საქ. მთიელთა საზოგადოებამ სოფ. ჯუთაში გაუხსნა სკოლა და თავის ხარჯზე გააგზავნა მასწავლებლები. გარდა ამისა, ამავე საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მომავალ ზაფხულის განმავლობაში ააშენოს თავის ხარჯზე ჯუთის სკოლისათვის ახალი შენობა.

# შემთხვევები

### ხანძარი სისხლის სამართლის მილიციაში

გუშინ, დილით, საკვამლე მილის გაუწმენდობის გამო ცეცხლი გაუჩნდა სისხლის სამართლის მილიციის შენობას. სასწრაფოდ გამოწვეულმა სახანძრო რაზმმა ცეცხლი 5 წუთში ჩააქრო ზარალი არ არის.

### გვამის პოვნა

სამშაბათს, 19 თებერვალს, მენავე შაქრო მარტიროვი მდ. მტკვარში კარლ მარქსის ხიდის მახლობლად წააწყდა დამხრჩვალ ქალს. მენავემ მკვდარი ამოათრია წყლიდან. ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას და პროკურატურას. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში. მკვდარის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია. როგორც გამოირკვა, დამხრჩვალი ქალი ეროვნებით რუსია, დაახლოვებით 50 წლისა. სწარმოებს გამოძიება.

### მოწამვლა

გუშინწინ, წამლის ზედმეტი დოზის დალევის გამო მოიწამლა მარგო მიხეილის ასული მურადოვა (მცხ. არაქელის ქ. № 11). იგი გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

### „გასტროლიორები“

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ორი „გასტროლიორი“ ჯიბგირი. სურენ გურიანცი და მიკირტიჩ არუთინოვი (უბინაონი).

### ქურდობა

გაქურდეს გიორგი შავგულიძის ბინა (ყაზბეგის ქ. № 36). წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—ამავე ალიხანიანის ბინიდან (თეატრის ქ. № 1) მოიპარეს 205 მანეთის [illegible] ნივთები.—გარდა ამისა, 19 თებერვალს, ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

### ბავშვის დაკარგვა

— სახლიდან წავიდა და არ დაბრუნებულა მეოთხე შრომის სკოლის მოწაფე ვიქტორ სპირიდონის ძე დიდებულიძე, 17 წლისა, შუა ტანის, შავგვრემანი, თუ ვინმემ იცის მის შესახებ რაიმე, სთხოვენ აცნობონ პეტროვის ქ. №50. ს. დიდებულიძეს.

# ნარევი

### პირველი რუსული კალენდრის შემდგენელის ნეშტის პოვნა

ლუთერანთა ეკლესიის სკლეპში (სამარხში), მოსკოვში, იპოვეს პეტრე პირველის თანამშრომელის ბრიუსისა და მისი ცოლის ჩონჩხი. ჩონჩხზე დარჩენილია კარგად შენახული ტანისამოსი. ბრიუსმა 1709 წ. შეადგინა პირველი კალენდარი. ბრიუსის თავის ქალა და ტანისამოსი გადაეცა მუზეუმს.

### ნიუტონის ბიბლიოთეკა

კლოჩესტერში (ინგლისი) იპოვეს 860 ტომიანი ბიბლიოთეკა, რომელიც ეკუთვნოდა ცნობილ მეცნიერ-მათემატიკოს ნიუტონს. იქვე იპოვეს დიდძალი უცნობი ხელთნაწერი.

### მსახიობის დაღუპვა

ამერიკელი კინო-მსახიობი ქალი ვიხარდი კინო-სურათის გადაღების დროს პარაშიუტით უნდა დაშვებულიყო მიწაზე. მაგრამ პარაშიუტი არ გაიხსნა და ვიხარდი დაიღუპა.

### უჩვეულო შემთხვევა

ამერიკის საექიმო ჟურნალი იუწყება უჩვეულო შემთხვევის შესახებ. ერთ ციებით ავადმყოფს ჰქონდა 43,6 გრად. სიცხე. ავადმყოფი გადარჩა. ეს არის უმაღლესი ტემპერატურა, რომელიც ოდესმე აღნიშნულა ადამიანისათვის (ნორმალური ტემპერატურა 37 გრად. უდრის).

# იურიდიული დახმარება

### ბეჟან თემურაზის ძეს ამაშუკელს

შეკითხვა:

ვმსახურობდი რკინის გზაზე 1928 წლის 29 აგვისტომდე 31 წლის განმავლობაში. დამზღვევ სალარომ მიცნო მეორე ჯგუფის ინვალიდათ და დამინიშნა პენსია თვეში 44 მან. 40 კაპ. ჯამაგირს კი ვიღებდი თვეში 97 მან., ხოლო სავერსო ჯილდოს 30 მან. თვეში. ამიტომ არ ვარ კმაყოფილი დანიშნული პენსიით. გთხოვთ მიპასუხოთ სად შემიძლია გავასაჩივრო დამზღვევ სალაროს დადგენილება?

პასუხი:

დადგენილება პენსიის დანიშვნის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სოცდაზღვევის უმაღლეს ორგანოში, ისე, რომ თუ პენსია დაგინიშნათ უბნის დამზღვევი სალარომ, მისი დადგენილება შეიძლება გაასაჩივროთ ა. კ. საგზაო სოცდაზღვევის სალაროში, სამი თვის ვადაში დღიდან პენსიის დანიშვნისა.

### ნიკოლოზ ბასილაიშვილს

კითხვა:

ვცხოვრობდი ცოლთან, როგორც ჩასიძებული, 3 წელიწადს შემდეგ კი გავეყარეთ, ცოლთან დარჩა 4 წლის ვაჟი, ეკუთვნის თუ არა მას კანონიერად ეს შვილი?

პასუხი:

თუ არ არსებობს შეთანხმება მშობლებთა შორის იმაზე, თუ რომელ მათგანთან იცხოვრონ მცირე წლოვანმა ბავშვებმა, სადაო საკითხს ამის შესახებ გადასწყვეტს ადგილობრივი სახ. სასამართლო, რომელიც საკითხის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელებს მხოლოდ იმით თუ რომელი მხარე უფრო უზრუნველყოფს ბავშვის მოვლა-პატრონობას და სწორ აღზრდას. ყოველ შემთხვევაში ბავშვის დახმარება შეადგენს ორივე მხარის ვალდებულებას.

# რადიო-გადაცემა

### ხუთშაბათი, 21 თებერვალი

გადაცემა ამიერ-კავკასიის რკ. გზ. პროფკავშირის საუბნო კომიტეტის სტუდიიდან.

### პარასკევი, 22 თებერვალი

22 თებერვალს, რადიო-გადამცემი სადგური 1075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას: 17—00—17—25 საათზე—ოქტომბრელის საათი (ერთგულ უმცროსისათვის), 17—25—18—00—გაზეთი „ენი კენდ“ რადიოთი თურქულ ენაზე, 18—05—18—55 რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 18—55—19—20—სომხური—ნეხვის და ნაცარის მნიშვნელობა მოსავლის გადიდების საქმეში ქართულ ენაზე. 19—20—20—00 კომკავშირელის რადიო გაზეთი რუსულ ენაზე. 20—00 ტრანსლიაცია ოპერა „მეფის საცოლე“-სი მგზავის და სტეპანოვას მონაწილეობით, ინფორმაცია თბილისის მეცხრე პარტკონფერენციის მუშაობის შესახებ ქართულ და რუსულ ენაზე, უკანასკნელი ამბები. ამინდის ბიულეტენი ქართულ და რუსულ ენაზე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 8 ნახ. საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია პოლიტკოლეჯების და წრეების ყველა ხელმძღვანელების, მამასახლისების, უჯრედების რწმუნებულების და უჯრედების აგიტპროპორგანიზატორთა თათბირი. სავალდებულოა ყველა ამხანაგის დასწრება დაუგვიანებლად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია 22 თებერვალს, შუადღის 12 საათზე პარტკოლეგიაში იწვევს ამხ. ნიკოლოზ იოსების ძე შავიშვილს, პალადი ნესტორის ძე ძიგვაშვილს და გრიგოლ ლევანის ძე ზასიევს.

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება [illegible] 21 თებერვალს, [illegible] 12 საათზე [illegible] კანდიდატთა გარდა [illegible] გ. ანდღულაძე, [illegible] შ. [illegible] ს. [illegible] გარეიშვილი და ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მიღების ან პარტიაში გადარიცხვის შესახებ.

23 თებერვალს საღამოს 5 საათზე, საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. 20) შესდგება კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. სავალდებულოა მიმღები კომისიის წევრების და იმ ამხანაგების დასწრება, რომელნიც დამტკიცებულ უნდა იქნან კანდიდატებად.

---

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ლიდა ფოლადოვისა, მეუღლე მიტო დედ-მამით გრიგოლ და ანიჩკა თაყუელიშვილებით, ბიძია ვასილი და დეიდა ეკატერინე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს. რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

**ელიზა**

გამოსვენება 22 თებერ. 3 ნახ. საათზე ბოჭორიშვილის 1-ლი ქუჩა № 14. 539

---

დამწუხრებული მეუღლე ნინა, შვილები ლადო, კოლია, ვარო და თინიკო მუჯირები, სიძე ვლადიმერი შვილებით ლელია და ჯულიეტი გუგუშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარ ექიმ

**იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირის**

მოსაგონებლად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 23 თებერვალს ქ. ზუგდიდში 3 საათზე. ნ. 2286

---

დამწუხრებული მშობლები გაიოზი და კატო, მეუღლე ევა, ძმა მინა რძალი სონიჩკა, დები ლიუცია, ალექსანდრა, სეფორა, ერმონია, პატარა ძმა დათიკო და ძმის შვილი შოთიკო აუწყებენ საზოგადოებას რომ გარდაიცვალა

**პარმენ გაიოზის ძე ჭელიძე**

გამოსვენება ქალ. 1-ლ საავადმყოფოდან ა/წ. 22 თებერვალს 4 საათზე. დაკრძალვა ველაბრის სასაფლაოზე (რკ. გზ. გადაღმა) 537

---

ბათომის სანაპირო რაზმის და აჭარისტანის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი და ადმინისტრაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ 18 თებერვალს გრიპისაგან გარდაიცვალა სანაპირო რაზმის ძველი თანამშრომელი ამხ.

**ალექსანდრე ვასილის ძე კუტელია**

განსვენებულის ცხედარი 20 თებერვალს ბათომიდან გამოიგზავნა თბილისში დასაკრძალავად. ნ. 2284

---

შვილები: ვლადიმერ, ეკატერინე აუწყებენ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი დედა

**ეფემია ლევანის ასული ბაგრატიონისა**

გამოსვენება რესპ. მთ. საავადმყოფოდან 21 თებერვალს, 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 528

---

დამწუხრებულნი შვილები: ქსენია, გალაკტიონი, ივლიანე, ჟორჟი, გულნარა, მათიკო, რძლები: ოლღა. ოლია, ანიჩკა, შვილებით, სიძეები: ალექსანდრე შავდია, ევგენი სანაძე და შვილისშვილები აუწყებენ ნათესავთ დაუვიწყარი დედის

**მარგალიტა პავლე ჯიქიას ასული გაწერელიას**

გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი 21 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, გამოსვენება 22 თებერვალს დღის 4 საათზე პეტრიაშვილის ქ. 19. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 529

---

გულმოკლული და უზომო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელისაბედ ალექსის ასული. შვილები ბესარიონი, დომენტი, ერემია, მიშა, სილოვანი, ქალიშვილი აგრაფინა, სიძე ანდრო მესხიშვილი, რძლები შურა და ჟენია, შვილისშვილები ანგელინა, კოლია, ვლადიმერი, ედუარდი და ლეილა აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

**პავლე ოტიას ძე რაზმაძის**

დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. ჩხენიში (სამტრედია) 23 თებერვალს 535

---

**რუსთაველის თეატრი**

2—1 ნ. 2278

ხუთშაბათს, 21 თებერვალს პრემიერა 1-ლი აბონემენტის მე-6 წარმოდგ.

**„უდეგა“** გ. როგაქიძის დრამა 4 მოქმ.

დადგმა: ალ. ახმეტელის დ შ. ალსაბაძის მხატვ.: ირ. გამრეკელ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

აბონემენტის მე-5 გადასახადის უკანასკნელი ვადა 21 თებერვ. საღამოს 8 საათ.

სახკინმრეწვის კინო თეატრები

| | | | |
|---|---|---|---|
| განთიადი | | ნამდვილი ჯენტლმენი | მონტი ბენქსის მონაწილ. |
| აპოლო | მხატვრული სურათი | ეკატერინე მეორეს კაპრიზები | |
| სოლეი | მხატვრული სურათი | ჯიმი ხიგინს | ბუჩმას მონაწ. |
| მინიონი | კარმენ ბონი სურათში | სანაძლეო ქორწინება | |
| არფასტო | სეზონის საუკეთესო კომედია | მეშვიდე ცაზე | ლოიდ გაროლდის მონაწ. |
| პალასი | სეზონის საუკეთესო ფილმი | ყინულთა სამეფოში | (ლაშქრობა ყინულებში) |
| დარბაზი | | ტარზანი—ჯუნგლების მბრძანებელი | 1 და 2 სერია ერთად |
| პროლეტარი ბულვარი | | ყინულის სახლი | |

მალე

კინო აპოლო
მხატვრული სურათი
**ეკატერინე მეორეს კაპრიზები**

კინო სოლეი
სეზონის საუკეთესო ფილმი
**ჯიმი ხიგინს**
სინკლერის რომანის მიხედვით

მალე

ნ. 2281

**ცირკი კოლოსი**

ტელეფ. № 8—64

3—2 ხ. 2271

დღეს
განახლებული სანახაობა
პროგრამა 3 განყოფილებად
ილიუზიონისტ **ფრანკფორდის**
პირველი გამოსვლა
გრძელდება ქსილოფონზე დამკვრელ სოლისტ
პეტრაკოვსკაიას გასტროლები
უცხოეთის ცირკების გიმნასტი არტისტები 2 ედერი
აგრეთვე მთელი დასი
დასაწყისი 8 ნახ. საათზე

ყველა ხელისმომწერლების და კონტრაგენტების

**საყურადღებოდ**

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობა აცხადებს, რომ წლიური ხელის მოწერა გაზეთზე კარლ მარქსის „კაპიტალი“-ს დამატებით **შეწყვეტილია**

დღეიდან კინო-თეატრებში

**აპოლო**
მხატვრული სურათი
**ეკატერინე მეორეს კაპრიზები**
რეჟისორი ჩარდინინი
ოპერატორი დემუცკი

**პალასი**
სეზონის საუკეთესო ფილმი
**ყინულთა სამეფოში**
(ლაშქრობა ყინულებში). „კრასინ“-ის და „მალიგინ“-ის გმირული გალაშქრება. პრესა ამ სურათით აღფრთოვანებულია

**სოლეი**
ბუჩმა, ხოლნცევა, პანოვი
სურათში
**ჯიმი ხიგინს**
ე. სინკლერის რომანის მიხედვით

**არფასტო**
ორიგინალური კომედია
**მეშვიდე ცაზე**
ლოიდ გაროლდის მონაწილეობით

ნ. 2286

ამ დღეებში
მხატვრული ფილმი
**სალამანდრა**
„მეჟრაბპომფილმ“-ის მოსკოვი და პრომეთეუსის ბერლინი
პირველი საერთო დადგმა
ნ. 2286

**თბილისის კომუნალური მეურნეობა აცხადებს**

რომ აბონენტებს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, რომლებიც თავის დროზე არ გადიხდიან წყალის და ელენერგიის საფასურს,

**შეუწყდებათ წყალის და ელენერგიის მიწოდება**

დავალიანება გადახდებათ საერთო წესით, ყოველივე ხარჯის მათგან ანაზღაურებით.

2—1 ნ. 2285. კომუნალურ მეურნ. გამგე **ასრიევი.**

---

**გაზეთ „კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ**

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

**მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.**

თებერვლის დამლევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ მარტიდან შეწყვეტილი იქნება.

**პროვინციის** წლიური ხელისმომწერლებმა მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს მარტის 1-მდე წინააღმდეგ შემთხვევაში—მარტის 1-ან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი“-ს გზავნა.

0—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ლოგოპედი
**ა. ა. კაიშაური**
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
**ასწორებს**
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., № 132.
13—1 352

ექიმი
**კ. ი. ჯალალოვი**
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ბ. 25—19.

ქ. ქუთაისი
ექიმი
**ი. ხ. შველიძე**
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართ ანოვ-მარდალევი ი შვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბაღათურიასი

ექიმი
**კ. ს. ფონ-ირტელი**
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი—ვენეროლოგი
**ნინო მირიანაშვილი**
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
**ი. პ. მჭედლიშვილი**
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
**თ. ვ. აკოფაშვილი**
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25

ექიმი
**ი. ვ. ახმეტელი**
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი
**ს. ი. ანდრეევისა**
დაბრუნდა და ახალა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.
18—ნ. 25—1

**უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში**
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—11

ექიმი
**ა. დ კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
**გ. მ. ფხალაძე**
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6 8

ექიმი
**ი. ი. ქეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
25|1

კბილის ექიმი
**დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი **ხელოვნური** კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

**თმის მკურნალობა**
**ვ. ი. დანილევსკაიას**
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ექიმი
**ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს)“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. **ი. დ. თოფურიძე**
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ.
ქალები10—11 დილით

ანა ვასილის ასული
**მიქაბერიძე**
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
**„სილამაზის ინსტიტუტი“**
მასაჟი სახის, კისრის. ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—1

თვალის ექიმი
**მალაევი**
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

**ნ. გ. კანტოროვიჩისა**
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

**დავკარგე** „ზაკტპოს“ წიგნაკი № 32457 კოწია დარახველიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2278

**დავკარგე:** თბილისის სამიწათმოწყობა ტექნიკუმის კურსდამთავრების ატესტატი № 864 შალვა ვლადიმერის-ძე მერებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 534

**დავკარგე:** ფოთის ჰუმანიტარული ტექნიკუმის მიერ გაცემული 8 კლასის დამთავრების მოწმობა № 1321 შალვა კირილეს-ძე კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 536

**დავკარგე:** მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 16807 გიორგი ურუშაძის სახელზე ჩ. გ. 532

**დავკარგე:** სოც.-უზრუნველყოფის მოწმობა № 53 ეზეკო ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 53[illegible]

**დავკარგე:** სოციალური მდგომარეობის მოწმობა № 160 ილარიონ ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 5[illegible]

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.